140 /
1992/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0868-7177

ცისკარი

5●6
1992

იაკობ გოგებაშვილი

გარდაცვალებიდან 80 წლისთავი

დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ (1912 წლის 1 ივნისი) მთელი საქართველო დაამწუხრა. არ დარჩენილა არცერთი ქართული გაზეთი თუ ჟურნალი, რომელიც ამ ფაქტს არ გამოხმაურებოდეს.

საუმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" (მოზრდილთათვის) 1912 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ი. ირემაშვილის წერილი, რომელსაც აქვე, მოგდევნო გვერდზე, გთავაზობთ.

დიდი იაკობი გვასწავლის

ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა; ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა.

ბავშვი, დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებელს გავლენას... ემგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შაშვის სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მოეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას.

მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის ითვლება ერთ-ერთ დედაბოძად ქვეყნის წარმატებისათვის. ამ კავშირს ისე არაფერი განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც ხალხისნური ენის, ეროვნულის ლიტერატურის, სამშობლო ქვეყნის ტერიტორიის და ისტორიის შესწავლა.

ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა.

პატრიოტია ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია.

საბავშვო ჟურნალი, რომელშიც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრ სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში... ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრ მხნეს და გულწრფელს მამულიშვილსა.

თუ თქვენს შვილს პატარაობიდანვე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გონებას უვარჯიშებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას.

ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალის ინტელიგენციისა, აღრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლას და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის.

საბავშვო რამეების წერა, შესაბამისად, მიზნის შესაფერისად, ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისათვის — ლიტერატურული შრომა.

რომელ თქვენგანს არ გაუგონია, ბავშვებო, ეს საყვარელი და ძვირფასი სახელი; რომელ თქვენგანს არ უსწავლია დედა-ენა, ბუნების კარი, ვის არ წაუკითხავს მისი „იავნანამ რა ჰქმნა“, „კონა“, „კოკორი“, „აკიდო“ და სხვები?! სკოლაში მისვლისთანავე სამშობლო დედა-ენას მისგან შედგენილი სახელმძღვანელო წიგნის საშუალებით გასწავლიან; მისივე „ბუნების“ კარი გიღებთ თქვენ ბუნების კარებს, შეჰყევხართ შიგ და გაცნობთ და გასწავლით მრავალფეროვან ბუნებას მთელი თავისი შინაარსით. ამ სახელმძღვანელოების გარდა მან დასწერა კიდევ მრავალი სხვა და სხვა წიგნები და წერილები გაზეთებში, რუსულ და ქართულ ენაზე. არც ერთი ქართველი მწერლის წიგნები არ არის ისე მრავლად მოდებული და გავრცელებული ხალხში, როგორც განსვენებული იაკობ გოგებაშვილისა. გამოუანგარიშნიათ და აღმოჩნდა, რომ ორმოცდაშვიდი წლის განმავლობაში 1865 წლიდან დაწყებული 1912 წლამდე, მისი წიგნები ქართულ და რუსულ ენაზე სულ 171677000 ცალი დაბეჭდილა და გავრცელებულა.

განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხის სწავლა-განათლების საქმეს და განსაკუთრებით კი — თქვენს სწავლა-აღზრდას შეალია. ნახევარ საუკუნეზე მეტი ის ჭეშმარიტი მშობლიური სიყვარულით და მზრუნველობით ავსებ დასტრიალებდა და ევლებოდა ქართველ ბავშვებს, რომლების ნორჩ გულში მტკიცედ ნერგავდა სამშობლო ენის, სამშობლო ქვეყნის და მშობელი ხალხის სიყვარულს. მან აამაღლა, გააფაქიზა და ააყვავა ქართული ენა, ეს უძლიერესი იარაღი ქვეყნის კეთილ-დღეობისა.

იაკობ გოგებაშვილის სიკვდილით ჩვენ დავკარგეთ ქართველი ხალხის ჭირისუფალი, დიდებული მოამაგე და მოჭირნახულე; ქართველმა ერმა დაჰკარგა ჭეშმარიტი შამა, დაობლდნენ ქართველი ბავშვებიც.

და აი, ამისთვის ამჟამად გულდათუთქული გლოვობს მას მთელი ჩვენი მხარე.

დიდის ამბით, მრავალი ხალხის, მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი დეპუტაციების დასწრებით დაასაფლავეს ჩვენი ძვირფასი მოღვაწე. მრავალი გულითადი სიტყვები წარმოითქვა დასაფლავებაზე.

დიაღ, აღარ გვყავს იაკობ გოგებაშვილი, რომლის ნეშტი 10 ივნისს დიდუბის ეკლესიის სავანემ მიისვენა ცივ გულზე, მაგრამ უკვდავი დარჩა მისი სახელი. იაკობ გოგებაშვილი ღრმად ჩაიმარხა მისი საყვარელი ქართველი ხალხის გულში, და მუდამ იქნება მისი ხსოვნა და სიყვარული, სანამ ქართველი ხალხი არსებობს ქვეყანაზე.

საქართველოს რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს
ყოველთვიური
საყმაწვილო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

№ 5/6 მაისი ივნისი 1992

გამოდის 1926 წლიდან

ნომრის შინაარსი

შ. გაგოშიძე — ერთი მითის საიდუმლო (მოთხრობა)	4
კლუბი მე-15 გვერდზე	15
მსოფლიო კიდით კიდემდე	16
ნ. ხარაზიშვილი — ნორჩი ტექნიკოსები კვლავ წარმატებებზე ფიქრობენ	18
ალ. ლორია — საიდუმლო ავტორალი (მოთხრობა)	21
ჩემი პირველი სურათბიანი ბიბლია	31
ნინო ნაკაშიძე-120	36
იალქანი	38
ნ. ქადაგიძე — მზის ყვავილი (ზღაპარი)	40
ვლ. ასლამაზიშვილი — შეჯიბრი (მოთხრობა)	54
ანზორ აბულაშვილი-60	52
ს. კოლეტი — ბუხართან (მოთხრობა)	54
მუსიკალური ნოტი	60
არა მარტო შვიდი საოცრება	61

ბარეკანის პირველ გვერდზე —
ნანა იაშვილის ნახატი

და, აი, ვეღარ ვიტანეთ სკოლას

ათასობით მოზარდისთვის დაირეკება ამ დღეებში სკოლის ბოლო ზარი. დაეშვებიდობებიან ისინი მასწავლებლებს, სკოლის კედლებს და დამოუკიდებლად არჩეულ გზაზე პირველ ნაბიჯს გადადგამენ. საქართველოსთვის განსაკუთრებულ ხანაში უწევთ მათ ამ გზაზე გასვლა. სხვადასხვა ფიქრებით, საეჭვოებით, საგონებელ გებებით თუ იმედებით იწყებენ ისინი ცხოვრების ახალ მონაკვეთს.

მოვუსმინოთ თბილისის რკინიგზის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს, ანა ნათენაძეს, რომელმაც სურვილი გამოთქვა, გაგვიზიაროს თავისი ფიქრები, აზრები, გულისტკივილი და ოცნებები.



ანა ნათენაძე

...რა ვიცი, რაღაც უცნაური გრძნობით ვემშვიდობები სკოლას — თითქოს მიხარია, თითქოს გულიც მწყდება, დაბნეულიც ვარ. ყველა გვეუბნება, დამთავრდა თქვენი ბავშვობა, უკვე დიდები ხართ. დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებთო. კი, პატარები რომ აღარა ვართ, თვითონაც ვიცით... რის პატარები, აგე, რამდენი თანაკლასელი გაგვითხოვდა, ზოგს შვილიცა ჰყავს... რაც შეეხება დამოუკიდებელ ცხოვრებას, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე მაინც არ გვესმის, რას ნიშნავს იგი. რომ გვკითხოთ, რას აპირებთ სკოლის შემდეგო, უმრავლესობა, და დარწმუნებული ვარ, მარტო ჩვენ, ჩემი კლასელები და სკოლელები კი არა, სხვა ჩვენი თანატოლებიც გიპასუხებენ, უმაღლესში სწავლის გაგრძელებასო. და იცით, მათ შორის ცოტა თუ იქნება ისეთი, ვინც მართლაც გატაცებით, შეგნებულად, არჩეული დარგის სიყვარულით თუ ინტერესით არჩევს სასწავლებელსა თუ ფაკულტეტს. რაღა დაგიმალოთ და, მეც მათ რიცხვს ვეკუთვნი. არ ვიცი, შეიძლება, რომ ჩავირიცხებით (თუ ჩავირიცხეთ, რა თქმა უნდა), მაშინ მივხვდებით არჩევანის სისწორეს თუ მცდარობას... ვთქვათ, ვერ ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები, მერე? რა უნდა ვაკეთოთ?.. მე, პირადად, არ ვიცი. აი, ამ „მერეს“ მოუმზადებლები ვხვდებით. ვითომ ვიმუშავებთ ჩვენ, დავუშვათ, შიკრიკად, ფოსტალიონად, დამლაგებლად, მუშად? არა მგონია. არც მშობლებს მოუმზადებიათ ამისთვის, არც სკოლას. რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალიც არის. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გვეთაკილებოდეს ისეთ სამუშაოზე მუშაობა. ჩვენ რომ ცხვირაბზუებით „შავს“ ვეძახით?.. ყველაფერში რომ უცხო ქვეყნებს და იგივე ამერიკას ვბაძავთ, იქ, თურმე მილიონერების, სენატორების, მსხვილი ბანკირების შვილებიც კი უბრალო საქმით იწყებენ, არავის ეთაკილება მუშაობა, საქმის კეთება, და არც მშობლების კალთას არიან ჩვენი იქაური თანატოლები გამოკერებული...

ახლა, როცა უმაღლესი სკოლების საგამოცდო პროგრამებს ვეცნობით, ვხვდებით, რომ ცოდნაც ბევრი დაგვაკლდა. ამ ბოლო ორ წელიწადში ხომ საერთოდ ამოვვარდით კალაპოტიდან, ის კი არა, გაკვეთილებიც კი არ გვიტარდებოდა ხეირიანად. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, და ხელზე დავიხვიეთ, ყველაფერი სკოლას გადავაბრალეთ, არადა, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც ხომ ჩვენზე იყო დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, სახლში გვემეცადინა, მაგრამ...

ვგრძნობ, რომ საერთო განათლებაც გვაკლია. რომ ვუყურებ, როგორი ასპარეზი გვეშლება ახალგაზრდებს, სწავლისა და შრომის ასპარეზი, ვნანობ, რომ პირადად მე ისე გაბედულად ვერ გადავდგამ პირველ ნაბიჯს... თუმცა, ყველაფერი არც ისე ცუდადაა. ახლა მაინც გვმართებს შეგნებული დამოკიდებულება ჩვენი უფლება-მოვალეობებისადმი. იცით, მე უფროსების შეცდომად მიმაჩნია ის ამბავი, რომ ადრეულ ბავშვობიდან სხვა ბევრ რამესთან ერთად იმასაც არ გვინერგავდნენ, რომ რაც უფრო გამრჯე, შეგნებული იქნება თითოეული ჩვენგანი, მით უფრო ღონიერი და დაწინაურებული იქნება მთელი ერი. ერისშვილის პასუხისმგებლობას ყველა უნდა გრძნობდეს — ასე მგონია მე...

იმასაც გვეუბნებიან, მერე უფრო მიხვდებით, რა კარგი იყო სკოლის წლებიო. მჯერა, რომ ასეც იქნება. თერთმეტი წელი ვიყავით ერთად, ალბათ, მთელი სიცოცხლე გაგვყვება ჩვენი ამხანაგობა, არც კარგი მასწავლებლები დაგვავიწყდება არასდროს, და ისედაც, მთელი ჩვენი ბავშვობა სკოლასთან იყო დაკავშირებული და... რა დამავიწყებს სკოლას... თუმცა მე და ჩემს კლასელებს დიდი გულისტკივილიც მიგვყვება თან — სულ რამდენიმე თვის წინ ბრმა შემთხვევას შეეწირა ჩვენი ამხანაგი, ჩვენი ჯამაელ, ბიჭები იარაღს სინჯავდნენ, ერთ-ერთს გაუვარდა და... ჩვენ ახლა ბოლო ზარის ზეიმიც გვექნება, ბანკეტსაც გადავიხდით. ჯამათა კი არ იქნება ჩვენ შორის... ცუდია, ძალიან ცუდი, ამდენი იარაღი რომ ტრიალებს... ეს არეულობაც გვაშინებს, ამდენი სისხლისღვრაც, რამდენი ბიჭი დაგვაკლდა, ზოგი თითქმის ჩვენი თანატოლი იყო...

ვხვდებით, რომ სწორედ ჩვენმა თაობამ უნდა ჩაიბაროს ხვალ საქართველო, და რომ სწორედ ჩვენზე იქნება დამოკიდებული მისი აღორძინება-აყვავება. შევძლებთ კი, გავამართლოთ უფროსი თაობების იმედები, თვით საქართველოს იმედები?.. უნდა შევძლოთ!...

გაისად ისევ მოვა ზაფხული

ზაფხული!

წლის ყველაზე უფრო მხიარული და საინტერესო დრო!

როგორ ატარებთ მას, დღევანდელო ყმაწვილებო?

მე მახსოვს ჩემი ბავშვობის რამდენიმე ზაფხული. ისინი უმთავრესად ომსა და ომისშემდგომ მძიმე წლებს დაემთხვა. ქვეყანა დანგრეული და გაპარტახებული იყო, ვისაც როგორ შეგვეძლო, უფროსებს ვეხმარებოდით, ვმარგლავდით, ვთოხნიდით, ვბარავდით, მოსავალს ვიღებდით, შეშას ვაპობდით, საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდით მშობლებს, ხანაც ვთამაშობდით.

რას ვთამაშობდით? — მგელობანას (დაჭერობანას). დამალობანას. ვისი სული გსურს? ომობანას. რიკ-ტაფელას (ჩილიკა-ჯოხს). კლასობანას. ლახტს... ვკენწლაობდით, ფეხბურთს ვთამაშობდით (ჩვრის ბურთით, ძუის ბურთით, უკეთეს შემთხვევაში — რეზინის უხეში ბურთით (თუ ვიშოვიდით)... გოგონები ცოცხის ღეროებისა და ჩვრებისაგან დედოფალებს აკეთებდნენ და „ოჯახში“ ფუსფუსებდნენ. ბიჭები მშვილდ-ისრის კეთებაში ვოსტატდებოდით.

და — ვკითხულობდით. ცხადია, თუ რამ საინტერესო ჩაგვივარდებოდა ხელში. მაშინ ბიბლიოთეკები დღევანდელზე გაცილებით ღარიბი იყო, მაღაზიებში კი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა საინტერესო წიგნი, ისიც —რუხ, უსახურ ქაღალდზე დაბეჭდილი (პირველი სქელტანიანი წიგნი, რომელიც ხელში ჩამივარდა, ჟიულ ვერნის „ხაიდუმლო კუნძული“ იყო. დამიჯერებთ? — თერთმეტჯერ წავიკითხე! თითქმის ზეპირად დავისწავლე. მეოთხე კლასში ვიყავი მაშინ).

არ იყო ტელევიზორი და მაგნიტოფონი. რადიოს შავი ნიჟარებიდან ხრიალი და გაურკვეველი ბგერები ისმოდა. თითო-ოროლას თუ ჰქონდა რადიომიმღები.

ახლა?

სათამაშო? — რამდენიც გინდა, რანაირიც გინდა.

ტელევიზორი? — ფერადი თუ შავთეთრი... სამამულო თუ უცხოური... ორ-ორი და სამ-სამიც კი უდგათ ოჯახებში... ვიდეოც... მაგნიტოფონიც...

თუმცა ყოველივე ეს არც წლის სხვა დროს გაკლიათ დღევანდელ ყმაწვილებს.

ბურთი? — ნაირ-ნაირი: კოპლებიანი, ავტოგრაფებიანი — ნამდვილი ოსტატების ბურთი.

ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის კეთილმოწყობილი სტადიონები გაქვთ (ეზოებშიც!), მშვენიერი ჩოგბურთის კორტები, ველოტრეკები, „პინგ-პონგის“ მაგიდა კი ყველა პარკში და ბევრ ეზოში გიდგათ.

აღარაფერს ვამბობ ჭადრაკზე, ნარდზე, დომინოზე (ყველაფერი ეს წინათ დეფიციტი იყო), კინოთეატრზე; აგრეთვე ტბაზე, ზღვაზე თუ მდინარეში ცურვასა და ნავით სეირნობაზე, ან, თუნდაც, მეკლდეურობაზე (კლდეზე ცოცვაზე).

კი, ბატონო! მაგრამ ლახტს თუ თამაშობთ? „მგელობანას“, „დამალობანას“, „კლასობანას“ თუ თამაშობთ? თუ მთელ დღეს და შუალამემდე ტელევიზორთან ხართ მიმსხდარნი, ან ვიდეოთი იღამებთ თვალებს?

თუ კითხულობთ? გულახდილად მითხარით, წაგიკითხავთ „იყალთოელი ბიჭები“, „ყვანჩა“, „სალამურას თავგადასავალი“, „აივენჰო“, „მთვარის სპეკალი“, „პეპი-გრძელი წინდა“, „უთავო მხედარი“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“, „ბიძია თომას ქოხი“ და კიდევ სხვა, უამრავი დიდებული, სულის შემხუთველად საინტერესო წიგნი?

გაქვთ შინ ეს წიგნები?

თუ არა გაქვთ, ბიბლიოთეკაში ხართ ჩაწერილი? პირადად მე ტელევიზორის წინააღმდეგი როდი ვარ. მე ის არ მინდა, საათობით ისხდეთ ეკრანის წინ და საეჭვო ესთეტიკური ღირსების მქონე ფილმების ცქერით დაიელმოთ თვალები. გადიდ ეზოში ითამაშეთ, თან ფენიმორ კუპერი, რადიარდ კიპლინგი, ართურ კონან დოილი წაიყოლიეთ, ტბის თუ მდინარის პირას ჩეროში დასხედით, წიგნი გადაშალეთ და ჩაუღრმავდით არა მარტო მის შინაარსს, არამედ ენობრივ ქსოვილსაც. მდინარის დუდუნში, ფოთლების შრიალში, ჩიტების ჭიკჭიკში უფრო მეტად შეისისხლხორცებთ წაკითხულს, ჩასწვდებით ავტორის სულს, გაითავისებთ მის მიზანს... და თავად გამდიდრდებით და ამაღლდებით სულიერად, კითხვისაგან მიღებულ სიამოვნებასა და სიხარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ზაფხული...

გამოიყენეთ იგი მაქსიმალურად, ვიდრე დრო გაქვთ: იკითხეთ და ითამაშეთ, ითამაშეთ და იკითხეთ. თორემ მერე აღარ გეცლებათ საამისოდ.

თუ ამ თვალსაზრისით წლევანდელი ზაფხული დაგეკარგათ, გაისადაც ხომ ისევ მოვა ზაფხული!

ზაფხული — წლის ყველაზე უფრო მხიარული და საინტერესო დრო!

ნუგზარ აფხაზავა

ფოტო
ანზორ კოპლაძისა

20193
საქართველოს ეროვნული

ეროვანი ეთოლ

ლიდერი

შოთა
გაგოშიძე

იოსებ სამსონაძე
მხატვარი

გუნოს ფაუსტი

ვარსკვლავთმფრენის პირველი კლასის მფრინავი გივი ოძელი ბოლო რეისმა საკმაოდ დაღალა, იმდენად არა მისმა ხანგრძლივობამ, არამედ დ.ძაბულობამ. სახუმარო საქმე როდი იყო ვარსკვლავ — პლანეტა გაგარინიდან (რომელიც შუ.ლედური კოსმოსური სადგური იყო) გასტროლებზე მყოფი ბალეტის მსახიობების დედამიწაზე წამოყვანა. მოცეკვავეებმა გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით გააწამეს კაცი, ყველგან ცხვირს ყოფდნენ, ყოველ კუნჭულში დაბორიალობდნენ. კოსმონავტს სულ იშის შიში ჰქონდა, ამ დამთხვეულებს შემთხვევით რაიმე ხელსაწყო არ გაეფუჭებინათ. მაღლობა ღმერთს, როგორც იქნა, საღამო ხანს მშვიდობიანად დაფრინდნენ კოსმოდრომზე...

დილით გივი პნევმატური ფოსტის ზარმა გამოაღვიძა. უსიამოდ შეიშმუშნა და თვალი გააბილა. კარგა ხნის გათენებული იყო. მთქნარებით მიუახლოვდა კედელში დატანებული პნევმატური ფოსტის უჯრას და ალუმინის კაფსულა ამოიღო. სახურავი ახადა და თვალებს არ დაუჯერა — შიგ მოსაწვევი ბარათი იდო, ოპერის თეატრში „ფაუსტზე“ ეპატიჟებოდნენ.

„რა მეოპერება ახლა მე? წუხელ ჩამოვფრინდი და დღეს რა მინდა სპექტაკლზე? განა სხვა საქმე არა მაქვს? ყელამდე სავსე ვარ ამ მსახიობთა ყურადღებით“, — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა მან. მერე დაასკვნა, ნამდვილად ერთ-ერთი მგზავრის ოინი უნდა იყოსო.

კაფსულაში ბარათიც იდო. შიგ ეწერა:

„დამდეთ პატივი და ერთად მოვუსმინოთ ოპერას. შესანიშნავი შემსრულებლები მონაწილეობენ. ლეონიდ მიგაი“.

გივიმ მხრები აიჩეჩა. „რა უნდა ახლა ჩემგან ამ კაცს!“ — გაიფიქრა. მიხვდა, რომ პროფესორი ლეონიდ მიგაი — არამიწიერ ცივილიზაციებთან კონტაქტების კომისიის მთავარი სპეციალისტი — მხოლოდ ოპერის მოსასმენად არ მიიწვევდა. ეტყობა, რაღაც საქმე უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინცდამაინც ოპერაში და ისიც „ფაუსტზე“ რად უნიშნავს პაემანს?

სპექტაკლის დაწყებამდე ათი წუთი რჩებოდა, როცა გივი ოძელი დარბაზში შევიდა და თავისი ადგილი მოძებნა. მალე ლეონიდ მიგაიც გამოჩნდა. გივის ხელი ჩამოართვა და ხენეშით დაჯდა. სახე ოდნავ წამოწითლებოდა.

გივიმ აცალა, სანამ პროფესორი სულს მოითქვამდა.

— არჩევანში არ შემცდარხართ, — უთხრა მერე, — ღღეს მართლაც საუკეთესო მომღერლებს მოვუსმენთ.

ოპერის დამთავრების შემდეგ პროფესორმა გივის ფეხით გასეირნება შესთავაზა. მცირე ხანს ჩუმად მიაბიჯებდნენ.

— თქვენ, ალბათ, მიხვდით, რომ „ფაუსტზე“ შემთხვევით არ მომიწვევიხართ, — ბოლოს და ბოლოს, თქვა მიგაიმ, — იგულისხმეთ, რომ ეს წინასწარ ნიადაგის მომზადება გახლდათ, რათა გაგეაზრებინათ საშუალო საუკუნეების ატმოსფერო, როცა ფაუსტის ტრაგედია დატრიალდა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ უკვე საკმაოდ მომზადებული ვარ საამისოდ.

ლეონიდ მიგაის გაეცინა:

— კაცი ვერაფერს გამოგაპარებთ, გივი. უნდა შემისრულოთ ერთი თხოვნა.

— მზად ვარ გემსახუროთ.

— როგორც გავიგე, ათი დღის შემდეგ სირიუსის პლანეტათა სისტემაში უნდა გაფრინდეთ, რათა დედამიწის ელჩი ჩამოიყვანოთ პლანეტა ლედაზე. უკვე რამდენიმე წელია, რაც ამ ახლადაღმოჩენილ ცივილიზაციასთან კონტაქტი დავამყარეთ...

— დიახ, ასეა.

— ჩემი გულისათვის პლანეტა ზეტას ხომ არ ესტუმრებით, რომელიც კოსმოსის იმავე სექტორშია?

— რა თქმა უნდა.

— კარგად ვიცი, ზეტას მკვიდრნი დიდ პატივს გცემენ: თქვენ ხომ მათი ერთ-ერთი კოსმოსური ხომალდი გადაარჩინეთ დაღუპვას!

— იყო ასეთი შემთხვევა...

— შეგისრულებენ თუ არა ნებისმიერ სურვილს?

— იმედი მაქვს. ოღონდ ეს სურვილი გონიერებისა და შესაძლებლობის საზღვრებს არ უნდა სცილდებოდეს.

— ზეტელები ათვისებულ გალაქტიკაში ერთადერთი რასაა, რომელსაც ძალუძს დროში მოგზაურობა. გათხოვებენ თუ არა ქრონომფრენს ერთი საქმისათვის?

„აი, თურმე რა სურს მოხუცს!" — გაიფიქრა გივიმ.

— საეჭვოა, ზეტელებმა დროში მოგზაურობის უფლება მომცენ. მათი კანონით სხვა პლანეტის მკვიდრთ ეს აკრძალული აქვთ და, კაცმა რომ თქვას, არც ვამტყუნებ. ერთობ ძნელია, უცხო ცივილიზაციის წარმომადგენელს ენდო ამ საქმეში, გაუფრთხილებელ ნაბიჯს კი შეიძლება დიდი უსიამოვნება მოჰყვეს. ამიტომაც ფრთხილობენ. ეგ კი არა და, როდესაც თავისიანთაგან ვინმეს აირჩევენ ხოლმე ამ აქციისათვის, ათასნაირად ამოწმებენ, რათა დროში მოგზაურობისას რაიმე გაუფრთხილებელი ნაბიჯი არ გადადგას.

— მაგრამ თქვენ ხომ ამასწინათ ზეტელებმა თავიანთი პლანეტის საპატიო მოქალაქის წოდება გიბოძეს! თქვენ ერთადერთი უცხოპლანეტელი ხართ, რომელსაც დროში მოგზაურობის შანსი აქვს. გამოიყენეთ იგი.

— არ ვიცი, პროფესორო, რა გამომივა. ერთი ეს მიბრძანეთ, დავუშვათ, რომ ქრონომფრენის მართვის უფლება მომცეს, რომელ ეპოქაში გნებავთ აღმოვჩნდე და რისი დაზუსტება გსურთ?

— გერმანია. მეთექვსმეტე საუკუნე. უფრო ზუსტად — 1540 წელი. უნდა დაადგინოთ, სად გაქრა დოქტორი ფაუსტი. და არა მარტო იგი. არის ცნობები, რომ იმ დროს არცთუ ისე ცოტა ადამიანი დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

— ღირს კი ასეთი უმნიშვნელო რამისთვის შეწუხება? რაში გაინტერესებთ, რა ბედი ეწიათ საშუალო საუკუნეების მოქალაქეებს, რაც უნდა უცნაურ გარემოში მომხდარიყო მათი გაუჩინარება? რა ღირებულება აქვს თქვენთვის ამ ფაქტს?

— ჩემი ვარაუდით, ამ საქმეში რომელიღაც არამიწიერი ცივილიზაციის ხელი ურევია... უნდა ერიოს. თვითონ განსაჯეთ, რატომ მაინცდამაინც მეთექვსმეტე საუკუნეში გაჩნდა მითი ეშმაკისადმი სულის მიყიდვისა და მასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე? ადრე ხომ ბნგავს რამეზე კრინტი არავის დაუძრავს. ხალხი კი, მოგეხსენებათ, ბრძენია. ასეთ ფანტაზიას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონოდა... უთუოდ რაღაც მითქმა-მოთქმა იყო ამის შესახებ და ამიტომაც ამოტივტივდა მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში მეფისტოფელსა და ფაუსტს შორის დადებული წერილობითი ურთიერთვალდებულების ისტორია.

— ისე გამოდის, რომ თქვენ მართლა გჯერათ მეფისტოფელის არსებობა, — გაეცინა გივის.

— გულახდილად რომ ვთქვათ, ბოროტი სული კი არ მაინტერესებს, არამედ ის, ვინ იყო ამოფარებული მეფისტოფელის ნიღაბს. რატომ, რა მიზნით? ან ამ ხელშეკრულების დადების საიდუმლო... რატომ დახჭირდა ხალხს მისი გამოგონება, თუკი რაღაც რეალური საფუძველი არ ჰქონდათ? თუ თეოლოგიური პროპაგანდისტები ვიმსჯელებთ, სატანის მსახურნი, რაო, მის გარეშეც ვერ მიისაკუთრებდნენ ცოდვილის სულს? რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ასეთი დოკუმენტის შექმნა? იქნებ მეფისტოფელი მობიუროკრატო მოხელე იყო? სწორედ ეს პედანტიზმი ბადებს ეჭვს და როგორღაც არ ესადაგება რელიგიურ წარმოდგენებს.

— უკაცრავად, მაგრამ ისეთ კითხვას სვამთ, მათზე პასუხის გაცემა არავის ძალუძს.

— უკვე მივაგენი ასეთ კაცს. ეს თქვენა ხართ. უნდა ჩაატაროთ გამოძიება მეთექვსმეტე საუკუნეში, თუკი, ცხადია, ზეტელები ამაში ხელს შეგიწყობენ.

— ყოველმხრივ ვეცდები, პროფესორო. თუმცაღა, გასაგები მიზეზების გამო, წარმატების იმედი ნაკლებად მაქვს.

სტუმრად პლანეტა ზეტაზე

მას შემდეგ, რაც გივი ოძელმა დედამიწის ელჩი ლედაზე მიიყვანა, ორ პლანეტას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკმაოდ მომქანცველი ცერემონიის დამთავრებისთანავე კოსმოსში ისე გავიდა, რომ არ დაუსვენია. ეს რა საჩოთირო რამ აუტეხა ლეონიდ მიგაიმ?! მართალია, ზეტელები გივისადმი უაღრესად მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ თავს მაინც უხერხულად გრძნობდა. როგორ მიმართოს მათ თავისი თხოვნით? ჩათვლიან თუ არა იმ არგუმენტებს სარწმუნოდ, რომლებიც მხოლოდ ვარაუდებზეა აგებული? მოსალოდნელი იყო, რომ ეს უცნაური მისია მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ხომალდი მაინც მიმართა ზეტასკენ.

ზეტა... გალაქტიკის სხვა ცივილიზაციებისაგან განსხვავებით, იგი დედამიწელებს როდი აღმოუჩენიათ. ზეტელები თვითონ იყვნენ კონტაქტის ინიციატორები, რადგანაც პირველნი გადაეყარნენ კაცობრიობის ერთ-ერთ ფორპოსტს კოსმოსში — ვარსკვლავ-პლანეტა გაგარინს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ზეტას კულტურა სამყაროს ყველა ცივილიზაციას, მათ შორის დედამიწასაც, რამდენიმე საფეხურით უსწრებდა.

პლანეტის კოსმოპორტის დისპეტჩერმა ხომალდს ერთ-ერთ სექტორში დაჯდომის ნება დართო. როდესაც გივიმ ძრავები გამორთო და ვარსკვლავთმფრენის ლუკი გამოაღო, შეცბა: მთელი კოსმოპორტი ხალხით იყო გაჭედილი. დამხვდურებს მყისვე ნარინჯისფერ ტანსაცმლიანი კაცი გამოეყო და გივის მიუახლოვდა. ეს იყო გივის მიერ გადარჩენილი ერთ-ერთი ზეტელი კოსმონავტი — ლონდრაგი. მან მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და გალაქტიკურ ენაზე წამოიძახა:

— ჩვენი მხურვალე სალამი კოსმონავტ გივი ოძელს!

— სალამი კოსმონავტ გივი ოძელს! — დაიგრიალა ხალხმა.

გივიც ხელაწეული მიესალმა იქ მყოფთ და ლონდრაგს გაჰყვა. ისინი ჰელიკოპტერის მსგავს საფრენ აპარატში ჩასხდნენ, რომელმაც კურსი პლანეტის დედაქალაქისაკენ აიღო.

— ერთობ გამახარე, გივი, რომ გვესტუმრე! ჭეშმარიტად ბედნიერი დღე გამითენდა!

— მეც დიდად მესიამოვნა, რომ შეგხვდი. კარგა ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს. რა არის შენთან ახალი?

— ისეთი არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეორე ვაჟი შემეძინა.

— მომილოცავს, ძმაო, ამაზე კარგი ამბავი რა უნდა გეთქვა?

— მადლობას მოგახსენებ, ოღონდ უნდა მომიტევო: ჩემს შვილს შენი სახელი დავარქვი.

— რაა აქ საბოდიშო?! პირიქით, საამაყოა, რომ კოსმოსელი სეხნია მეყოლება.

ამ საუბარში დედაქალაქს მიუახლოვდნენ და ერთერთი სახლის სახურავზე დასხდნენ. ლონდრაგი წარუძღვა სტუმარს და ლიფტის კაბინასთან მიიყვანა.

— დღეს მასპინძლობას მე გაგიწევ, არავის დავანებებ შენს თავს, — უთხრა მან, — თუმცა ბოდიში უნდა მოგიხადო, მეუღლე და ბავშვები ამჟამად ეკვატორულ სარტყელში არიან. როგორ მინდოდა, რომ ისინი გენახა!

საუზმეზე გივიმ ლედაზე მგზავრობის ამბავი მოუთხრო მასპინძელს და ბევრი აცინა, როდესაც დედამიწელი ელჩის მიღების რიტუალი აუწერა.

— საკვირველი ხალხია ეს ლედელები, — დაუდასტურა ლონდრაგმა, — ცერემონიების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. თუმცა ამას მოვეშვათ. გულახდილად მითხარი, გივი, ვხედავ, რაღაც გაწუხებს, რაღაცის თქმა გსურს და, თითქოს, გერიდება. ასეა, ხომ?

გივი მიხვდა, რომ გაჭიანურება აღარ ღირდა.

— ქრონომფრენი მჭირდება ერთი საქმისათვის, ჩემო კოსმოსელო ძმაო.

— ჰოო?.. რა ვქნა, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი. კარგად მოგეხსენება ჩვენი კანონის ამბავი, უცხოპლანეტელთათვის დროში მოგზაურობა აკრძალულია.

— იქნებ არის რაიმე გამოსავალი?

— პრაქტიკულად — არავითარი. მანქანას არ განდობენ.

— კეთილი, ვთქვათ, ეს ასეა. გულახდილად გეტყვი, რომ ქრონომფრენის მართვა სულაც არ მეხალისება. უბრალოდ, მინდა, ერთ ისტორიულ მონაკვეთში აღმოვჩნდე... დე, ქრონომფრენი ვინმე თქვენიანმა მართოს. მე ჩვეულებრივი მგზავრი ვიქნები.

— ესეც სათუოა, მაგრამ მაინც რაღაც უნდა ვიღონოთ. მივიდეთ ხვალ დროის აკადემიაში და ვნახოთ, რა პასუხს გაგვცემენ.

დილით გივი და ლონდრაგი დროის აკადემიის პრეზიდენტს ეახლნენ. როდესაც პრეზიდენტმა დედამიწელის სათხოვარი მოისმინა, მცირე ხნით ჩაფიქრდა.

— ერთპიროვნულად ვერაფერს გადავწყვეტ, — თქვა შემდეგ. — აკადემიის სხვა წევრებსაც უნდა მოვეთათბირო.

გივის იმედი გადაეწურა. ინანა კიდეც, რომ ტყუილუბრალოდ შეაწუხა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მეგობარი.

ოთახში აკადემიკოსები შეიკრიბნენ. გივიმ მათ დაწვრილებით მოახსენა, რისთვის სჭირდებოდა დროში მოგზაურობა. აკადემიის წევრები ყურადღებით უსმენდნენ.

— მეგობრებო! — მიმართა დამსწრეებს პრეზიდენტმა, როდესაც გივიმ ლაპარაკი დააბოლოვა. — ალბათ, საჭირო იქნება განვიხილოთ გივი ოძელის ინფორმაციის ორი ასპექტი: პრობლემის მიზანშეწონილობა და დროში მოგზაურობის ეთიკური მხარე. დავიწყოთ პირველით. ვის სურს თავისი აზრი გამოთქვას?

სიტყვა ახალგაზრდა აკადემიკოსმა ითხოვა:

— იმან, რაც აქ მოვისმინეთ, სერიოზულად ჩამაფიქრა. ჩემი შეხედულებით, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ, მართლაც, უცხოპლანეტელთა აქციასთან გვქონდეს საქმე. მოდით, მივიღოთ ეს სამუშაო ჰიპოთეზად. დამეთანხმებით, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ხელშეკრულებით თუ უიმისოდ ხდებოდა დედამიწელთა ემიგრაცია. ეს უნდა შეფასდეს, როგორც არაჰუმანური მოქმედება — საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენონ სხვა პლანეტების ბინადარნი...

— საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ურთიერთვალდებულების დოკუმენტის შექმნა? — იკითხა პრეზიდენტმა.

— ვგონებ, არ უნდა ვცდებოდე, — ჩაება საუბარში ლონდრაგი, — მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარგზავნილები უნდა ყოფილიყვნენ ის უცხონი და მათი ეთიკური ნორმებით, ეტყობა, დაუშვებელი იქნებოდა აბორიგენთა ძალით მოტაცება. შესაძლოა, ამიტომაც დებდნენ ხელშეკრულებას დედამიწელებთან, რათა ისინი ნებაყოფლობით გადასულიყვნენ უცხოპლანეტელთა განკარგულებაში. საკუთარ სინდისთან, ალბათ, ალალმართალნი ჩანდნენ, სინამდვილეში კი მზაკვრული ხერხებით ხელყოფდნენ გონიერ არსებათა ღირსებასა და თავისუფლებას.

— კი მაგრამ, რისთვის დასჭირდათ დედამიწელთა გადაბირება? კოსმოსის გზებზე გასული ცივილიზაციის შვილებს არ ეკადრებათ მსგავსი საქციელი! იქნებ არაჰუმანოიდებთან გვაქვს საქმე? თქვენ რას იტყოდით, პატივცემულო გივი?

— აქ გამოთქმული ეჭვები სამართლიანად მეჩვენება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის უცნობები ფორმალურად, მე ვიტყოდი, მექანიკურად იცავდნენ ეთიკურ ნორმებს, რატომღაც იძულებულნი იყვნენ, ასე მოქცეულიყვნენ. რატომ? რას უნდა გამოეწვია ასეთი გაორება? დამაფიქრებელი კიდევ ის არის, რომ თუკი მსგავსი რამ ნამდვილად მოხდა, გალაქტიკის ცივილიზაციები დაზღვეულნი ვერ იქნებიან ახალი ექსპანსიისაგან. ცხადია, საშუალო საუკუნეების ადამიანთაგან განსხვავებით, ჩვენს წინააღმდეგ უფრო დახვეწილ, მოქნილ ხერხებს გამოიყენებენ. საქმეში დროულად გარკვევა, ალბათ, ამიტომაც იქნება საჭირო.

— ჩქვენ გინდათ თქვათ, რომ დედამიწელთა მოტყუებითი იმიგრაციის ფაქტის დადგენა უბრალო ცნობისმოყვარეობით არ შემოიფარგლება? — იკითხა პრეზიდენტმა.

— დიახ. უფრო ამიტომ გავბედე თქვენი შეწუხება. ნუთუ თქვენთვისაც საინტერესო არ არის, საით და რა მიზნით წაიყვანეს უცნობებმა ჩემი თანამემამულენი? ხომ შეიძლება, რომ ზეტელებიც ხვალ ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ? თუკი ეს საფრთხე, თუნდაც, ჰიპოთეზის სახით მაინც არსებობს, გვაქვს უფლება გულხელდაკრეფილნი ვიყოთ?

კამათის შემდეგ აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება, მოეწყო ექსპედიცია. მოსაგვარებელი დარჩა მეორე პრობლემა — ვინ უნდა გამგზავრებულიყო ქრონომფრენით. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: საშუალო საუკუნეების ევროპას ერთი დედამიწელი და ერთი ზეტელი — გივი ოძელი და ლონდრაგი უნდა სწვეოდნენ, პირველი — როგორც მგზავრი, ხოლო მეორე — როგორც ოპერატორი. ამასთანავე, ორივენი მკაცრად გააფრთხილეს, რომ მხოლოდ დამკვირვებელთა როლი შეესრულებინათ, არაფერში ჩარეულიყვნენ. არც სიტყვით, არც საქმით ისეთი რამ არ გაეკეთებინათ, რაც ისტორიის ბუნებრივ განვითარებაში რაიმე ცვლილებას გამოიწვევდა.

მზადებისათვის მგზავრებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ. გივი შესანიშნავად ფლობდა ლათინურს, რომელიც დედამიწაზე იმ პერიოდში საერთაშორისო ენად ითვლებოდა. მაინც მოიმარაგეს პორტატული სათარგმ-

ნი აპარატი — ლინგვასკოპი, რომლის დახმარებით ადამიანს ნებისმიერ ენაზე შეეძლო საუბარი. ლეონიდ მიგაის მიერ გამოტანებული ალბომის მიხედვით ზეტელებმა მოკლე ხანში მეთექვსმეტე საუკუნის შესაფერი ტანსაცმელი, ფული და სხვა ნივთები დაამზადეს. როდესაც გივი და ლონდრაგი ისე აღიჭურვნენ, რომ გერმანელი ბიურგერი მათ თავისი თანამემამულეებისაგან ვერც კი გაარჩევდა, სტარტის დღეც დაინიშნა.

როგოტთა ცივილიზაციის პარადოქსი

— ათეული წლების შრომა წყალშია გადაყრილი. მხოლოდ ცოცხალი უჯრედის მიღება შევძელით. ალბათ, — ეს შეუძლებელია. მართალია, ჩვენ თითქმის ისეთ ვაზროვნებთ, როგორც ისინი, არსებობისათვის იდეალური პირობებიც შევქმენით, მაგრამ სრულყოფილებამდე მაინც შორსა ვართ.

— ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ უფრო ზუსტად და უმეცდომოდ ვირჯებით, ვიდრე ადამიანები.

— ვინ უწყის, იქნებ უპირატესობის ერთ-ერთი მაჩვენებელი სწორედ ის იყოს, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ადამიანს შეუძლია, შეცდომა ჩაიდინოს...

— ჩვენ ხომ პრაქტიკულად ყველაფრის გაკეთება ძალგვიძს, როგორც მათ. ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ გონებრივი პოტენციალის თვალსაზრისით.

— თითქმის-მეთქი, რომ მოგახსენეთ, შემთხვევით არ



უსასრულოდ დიდი დრო იქნება საჭირო, რათა პრიმიტიული ორგანიზმები შევქმნათ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ვერ ვახერხებთ გონიერი არსების — ადამიანის სინთეზირებას. ამის პერსპექტივა, საერთოდ, ნულს უახლოვდება.

— ჩვენ ღმერთები როდი ვართ...

— ერთადერთი გზა დაგვრჩენია: გავიდეთ კოსმოსში და ვეძებოთ აქედან წასული ადამიანები. ჩვენი ცივილიზაცია იმ ზღვარს მიადგა, რომლის იქით მას განვითარება აღარ უწერია.

— ნუთუ მათ გარეშე ვერ გადავწყვეტთ ჩვენს პრობლემებს?

მითქვამს. ყველაფერი ადამიანისა გვაქვს. გარეგნობაც, აზროვნებაც, მაგრამ ნაკლებად გაგვაჩნია წარმოსახვის ძალა და ფანტაზია, ამის გარეშე კი არ იქნება პროგრესი. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაზე სტატისტიკაც მეტყველებს: უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ორიოდე უმნიშვნელო მეცნიერულ აღმოჩენას თუ მივითვლით. ჭეშმარიტი წინსვლა კი ფუნდამენტურ ძვრებს მოითხოვს. ჩვენ ხომ, სინამდვილეში, ერთ ადგილს ვტკეპნით. პროგრესი აშკარად შეფერხდა.

— მაინც არ მესმის. ადამიანის თავის ტვინისა და ჩვენი ტვინის შესაძლებლობები ერთნაირია. რა გვაკლია?

— განცდის უნარი, ემოციურობა და, რაც მთავარია, ქვეცნობიერება. ეს თვისებები, ალბათ, მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკური ფუნქცია თუა. მათი ხელოვნურად შექმნა, როგორც ჩანს, უნაყოფო ოცნებაა.

— სად წავიდნენ ისინი? რატომ გაეცალნენ მშობლიურ პლანეტას და რატომ მიგვატოვეს?

— დიდხანს ეს აუხსნელი გამოცანა იყო. მხოლოდ ახლახანს, შემთხვევით აღმოვაჩინეთ ერთი ჩანაწერი, რომელიც ნაწილობრივ შუქს ჰფენს ადამიანების ასეთ ნაბიჯს: ისინი წავიდნენ იმიტომ, რომ საკუთარი თავი გადაერჩინათ.

— რაო, გადაერჩინათ? ჩვენ ხომ ერთგულად ვემსახურებოდით, ყოველგვარ მათ სურვილსა თუ განკარგულებას უყოყმანოდ ვასრულებდით, ვუმსუბუქებდით არსებობას, ვათავისუფლებდით მრავალი საქმისაგან. თითქმის ყველა სფეროში, არა მარტო მეურნეობასა და ტექნიკაში, თვით მეცნიერებაშიც კი ვცვლიდით მათ. არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდათ. პირიქით, ჩვენი წყალობით უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ. მეტი რაღა უნდოდათ? ალოგიკურია! ეს ხომ...

— საერთოდ, ალოგიკურობა დამახასიათებელია ადამიანებისათვის და, ალბათ, განვითარების ერთ-ერთი სტიმული ესეც უნდა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში მათი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკურად გამოიყურება.

როდესაც მთავარი კოორდინატორიხა და ბიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელობის საუბარი შეწყდა, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. კოორდინატორთა საბჭოს წევრები, რომლებიც პლანეტა არმაარის ბედ-იღბალს განაგებდნენ, ღრმად ჩაფიქრებულნი ისხდნენ.

— ძვირფასო კოლეგებო! — მიმართა მათ ბოლოს მთავარმა კოორდინატორმა, — ახლა გაგაცნობთ ზემოხსენებულ დოკუმენტს, რომელიც გარკვეულწილად ნათელს მოჰფენს ამ საკითხს. ეს გახლავთ პირადი წერილის ნაწილი. იგი იმ ადამიანს ეკუთვნის, ერთ-ერთმა პირველმა რომ მიატოვა პლანეტა. როგორც იცით, ისინი ისე იდუმალად გაემგზავრნენ, რომ ჩვენ არაფერი შეგვიტყვია, და ეს, შემთხვევით აღმოჩენილი პლასტიკის ნაგლეჯი რომ არა, ახლაც არაფერი გვეცოდინებოდა.

„სელვი ჩივარი ანოდრამ ლაის!

გაფრენამდე სულ რამდენიმე წუთიღა რჩება. საიდუმლოების დაცვის მიზნით წერილს მეგობრის ხელით გიგზავნი. მინდა, კარგად ჩაუფიქრდე შექმნილ ვითარებას და მერყევ ადამიანებს შეაგნებინო ჩვენი ნაბიჯის სიხწორე. შენ დიდი გავლენა გაქვს და ეჭვი არ მეპარება, ყველას დაარწმუნებ არმაარის მიტოვების აუცილებლობაში, ჩვენს კვალს მიჰყვებით და შევხვდებით შენთვის ცნობილ კოორდინატებში.

ჩვენ დავივიწყეთ, თუ რისთვის გავჩნდით ქვეყანაზე, რა არის ჩვენი მთავარი დანიშნულება. დავივიწყეთ, რადგანაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროში არმაარის გენიალურმა მოაზროვნემ ლეჰაგმა ბრძანა, რომ სამყარო, რომელიც გარს გვაკრავს, უნიკალურია თავისი თვისებებით, რომ ბუნებას უთვალავი ცდა დასჭირდა, რათა იგი ბოლოს და ბოლოს ისეთი შექმნილიყო, როგორიც არის. ყოველი აფეთქების შემდეგ იგი უსასრულოდ უბრუნდებოდა სინგულარობას და კვლავ ხელახლა ფეთქდებოდა. ვინ იცის, რამდენი მილიარდი დეფექტური და არამყარი სამყარო შეიქმნა და მოისპო, სანამ ერთ-ერთი აფეთქების დროს არ წარმოიშვა ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. იგი არასოდეს განმეორდება და ჩვენ, ადამიანებმა, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, თუ როგორ გავუხანგრძლივოთ არსებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ჩვენ?

ლეჰანგმა ამ კითხვასაც უპასუხა.

სამყაროს განვითარება შემთხვევითი და ქაოსური პროცესი როდია. იმის შედეგად, რომ ობიექტურად შეიქმნა ხელსაყრელი ფიზიკური პირობები, ბუნების ევოლუციის ერთ-ერთ საფეხურზე დასაბამი მიეცა ორგანიზებული, თვითრეგულირებადი სუბსტანციის ფენომენს — სიცოცხლესა და გონიერებას. მაშასადამე, გვასწავლის ლეჰანგი, სიცოცხლე და გონიერება ბუნების საალერსო ფუნქციაა და რადგან ამ ქვეყნად ყველაფერი გაპირობებულია მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, ადამიანსაც გარკვეული დანიშნულება აქვს სამყაროს განვითარების ჯაჭვში.

მთავარია, ეს დანიშნულება შევიგნოთ და ვიმოქმედოთ. ჩვენ იმისთვის გავჩნდით, რომ სამყაროს ვუშველოთ კრიტიკულ სიტუაციებში. და მუდამ უნდა გვახსოვდეს — უნიკალურ ფიზიკურ კანონზომიერებებს გაფრთხილება უნდა, გვევალება, შევინარჩუნოთ სამყაროს არსებობა ჩვენი შორეული შთამომავლობისათვის. პირველ ეტაპზე სიცოცხლე უნდა დავუბრუნოთ ხანდაზმულ და ჩამქრალ ვარსკვლავებს, აღვადგინოთ მათი პირვანდელი სახე, ასე ვთქვათ, გავაახალგაზრდაოთ ისინი. შემდეგ შევუტიოთ შავ ხვრელებს, გავათავისუფლოთ იქ მყოფი ციური სხეულები გრავიტაციული არტახებისაგან და ასე შემდეგ. ამას, ალბათ, მილიონობით წელი, ათასობით თაობის დაძაბული შრომა და რუდუნება დასჭირდება. მაგრამ რა არის მარადისობისათვის დროის ეს მონაკვეთი? ერთი წამი თუა მხოლოდ"?..

— რა უცნაური მსჯელობაა, — შეაწყვეტინა კითხვა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, — განა ვინმეს ძალუძს, რაიმე ზეგავლენა მოახდინოს სამყაროზე, გლობალური მასშტაბით გადააკეთოს ციური სხეულები, თუნდაც რომ კეთილი განზრახვით დააპიროს ეს?

— მათი ძლიერება განუზომელია. შეგახსენებთ მხოლოდ მათ ერთ-ერთ ექსპერიმენტს, როცა ჩვენი მზის სისტემის მიდამოები ნისლოვანებათაგან სულ რაღაც ერთ თვეში გაწმინდეს. კოსმოსის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა ნამდვილად ხელეწიფებათ... ახლა დავუბრუნდეთ წერილს...

„რაც შეეხება ჩვენი პლანეტის ცივილიზაციის განვითარებას, სამწუხაროდ, იგი არასწორი გზით წარიმართა. ვცდილობდით მხოლოდ არსებობისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას, რასაც რობოტექნიკის საშუალებით მივაღწიეთ კიდეც. მაგრამ რა გამოვიდა? უზრუნველმა ცხოვრებამ და ფუფუნებამ თანდათან მოადუნა ჩვენი გონება. ყველაფერი, რასაც კი მოვისურვებდით, ყოველგვარი დაძაბულობისა და სიძნელის გარეშე სრულდებოდა. გული მოგვიყირჭდა. რობოტექნიკამ ისეთი უზრუნველობის კომპლექსი გაგვიჩინა, რომ მისგან განკურნებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ამას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როდესაც რობოტების სამსახურისაგან გავთავისუფლდებით, დავიბრუნებთ თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობას. ახალ პლანეტაზე, სადაც დავსახლდებით, რობოტექნიკაზე მთლიანად არ ვიტყვით უარს, მაგრამ აღარ გავიმეორებთ იმ შეცდომას, რაც ადრე ჩავიდინეთ, ანუ აღარ შევქმნით ხელოვნურ ინტელექტს, მოაზროვნე მანქანებს, რადგანაც ისინი საფრთხეს უქმნიან ჭეშმარიტ ცივილიზაციას, დროთა განმავლობაში ადამიანებში

ოწვევენ ჯერ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს და, შემდგომ, ალბათ, გენეტიკურ მუტაციებსაც, რაც მათ თანდათან მომხმარებლებად აქცევს. და, საბოლოოდ, კაცობრიობის არსებობა ილუზორული ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადაგვარების გზაზე დავდგებით, ხელიდან გამოგვეცლება ცივილიზაცია, რომელსაც დაეუფლება მისი კანონიერი შემკვიდრე — რობოტი. ხოლო რაც შეეხება ჩვენს კოსმოსურ მისიას, ბუნებამ რომ დაგვაკისრა, ვერასოდეს შევასრულებთ...“

მთავარმა კოორდინატორმა კითხვა დაამთავრა.

— აქ წყდება წერილი? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— დიახ. როგორც შოგახსენეთ, ამ უსტარის მხოლოდ ერთ ნაგლეჯს მივაკვლიეთ.

— თუ მათ ხელს ვუშლიდით, რატომ უნდა მიეტოვებინათ არმაარი და გახიზნულიყვნენ? განა არ შეეძლოთ ჩვენი მოსპობა?! — გაიკვირვა ბიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა.

— რაც უნდა იყოს, ჩვენ ხომ ადამიანთა შემოქმედების საყოფი, ეროგვარად მათი შვილები ვართ. მორალი არ მისცემდათ უფლებას, ასეთი რამ ჩაედინათ. მათ გაცლა ამჯობინეს და, ალბათ, ეს ერთადერთი, ყველაზე უფრო გონივრული ნაბიჯი იყო.

რამდენიმე კოორდინატორის აზრით, საჭირო იყო მზვერავი ვარსკვლავთმფრენების გ. გზავნა სამყაროს სხვადასხვა კუთხეში. და თუკი ისინი არმაარიდან წასულ ლტოლვილებს გადაეყრებოდნენ, უნდა ეთქვათ თავიანთი გასაჭირი და ეთხოვათ, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც დაბრუნებულიყო პლანეტაზე.

მთავარმა კოორდინატორმა ხელი ცისაკენ აიშვირა.

— იქ, კოსმოსის უკიდეგანო სივრცის რომელიღაც კუთხეში არმაარის მკვიდრნი ახალ სამყაროს აგებენ. ვინ იცის, იქნებ უკვე დაიწყეს კიდეც თავიანთი მოვალეობის შესრულება კოსმიური მასშტაბით. ხოლო რაც შეეხება მათ პოვნას, ძებნას, როგორც აქ ზოგიერთი ფიქრობს, ეს სრულიად შეუძლებელია. სავარაუდოა, რომ ისინი საიმედოდ გაეშიჯნენ გარესამყაროს. ჩვენი ტექნიკის მეოხებით ვერასოდეს შევძლებთ მათ მიერ შექმნილი ზღუდეების გადალახვას.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? სადაა გამოსავალი? — ისმოდა შეშფოთებული კითხვები.

— მაქვს ერთი ოპტიმალური მოსაზრება, — თქვა მთავარმა კოორდინატორმა, — განა გალაქტიკაში სხვა გონიერი არსებები არ სახლობენ? მოვიწვიოთ ისინი.

— ჩინებული აზრია, — დაუდასტურა ბიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა. — მაგრამ, საკითხავია, მოინდომებენ კი ჩვენთან წამოსვლას? ძალადობას ხომ ვერ მივმართავთ...

— თუ ზეცივილიზაციებს წავაწყდით, ცხადია, ვერაფერს გავხდებით. მაგრამ პრიმიტიულ აბორიგენებს კი როგორმე ვაიძულებთ, ნებაყოფლობით მიატოვონ თავიანთი პლანეტა. და კიდევ ერთი მოსაზრება მინდა გაგიზიაროთ: თუ არმაარელთათვის აგრერიგად ძვირფასია ეს სამყარო, რომელიც თურმე მრავალი ცდის შემდეგ შეიქმნა და არასოდეს განმეორდება, განა თქვენთვის სულერთი უნდა იყოს მისი ბედ-იღბალი? განა ჩვენც ბუნების ნაშიერები არა ვართ? ვფიქრობ, უნდა მივბაძოთ არმაარელებს — ჩვენც შევიტანოთ წვლილი კოსმოსის გარდაქმნაში, ამას კი მხოლოდ ადამიანთა დახმარებით შევძლებთ, განვითარების მძლავრ იმპულსს მათი საშუალებით თუ მივიღებთ. სხვა გზას ვერ ვხედავ, — დაასკვნა მთავარმა კოორდინატორმა.

დიდებულ ქალაქ შტუდჰარტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმაციითა და, განსაკუთრებით, გლესნერის გამოწვეული ქარიშხლების შემდეგ ვიურტემბერგის სა ჰერცოგოს დედაქალაქ შტუდჰარტის ცხოვრება შედარებით მშვიდობიან კალაპოტში ჩადგა.

ახალამოსული მზე სასიამოვნო სხივებს უხვად აფრქვევდა, როდესაც ქალაქის სამხრეთ შესასვლელში ორი ცხენოსანი გამოჩნდა. შემხვედრნი მოწიწებით გზას უთმობდნენ და მზერით აცილებდნენ მათ.

— რა შესანიშნავი ცხენებია! — გადაულაპარაკა ერთმა დარბაისელმა მოქალაქემ მეორეს, — თვით ჰერცოგის საჯინიბოშიც კი, არა მგონია, მოიძებნებოდეს მათზე უკეთესი.

— მხოლოდ ცხენები? — გამოეხმაურა მეორე. — ერთი შეხედე, რა მდიდრულად ჩაცმულები და აღკაზმულები არიან!

ცხენოსნებს წინ ხელებგაწვდილი ბავშვი გადაუდგა.

— რაინდებო, ღვთის გულისათვის, გაიღეთ მოწყალება!

მგზავრებმა სადავეები მოზიდეს.

ერთი მოქალაქე ბავშვთან მიიჭრა და ქეჩოში წვდა.

— როგორ ბედავ, მათხოვარო, კეთილი ადამიანების შეწუხებას? დაიკარგე აქედან!

ბავშვი ატირდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენოსნები პატარას გამოესარჩლნენ და მოქალაქეს სთხოვეს, ხელი გაეშვა. ერთმა რაინდმა ქისა გახსნა და ბიჭუნას ორი გროში გადაუგდო.

— მიიღე საჩუქარი, პატარავ, — დაყვავებით დააყოლა.

— თვალები შეიმშრალე, ნულარ სტირი. რა გქვიან?

— პეტერი. დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ ასეთი გულუხვობისათვის.

მეორე ცხენოსანმა ბავშვს გადასძახა:

— აბა, პეტერ, წაგვიძეხი სასტუმროსაკენ.

ბიჭუნა კუნტრუშით გაუძღვა მათ. ორსართულიანი ქვითკირის სახლის შესასვლელში სასტუმროს პატრონი, ჩასუქებული წითური მამაკაცი გამოეგებათ, მდაბლად თავის დაკვრით მიესალმა მგზავრებს, რომლებმაც დაიქვეითეს და აღვირები პ. ტარა პეტერს გადასცეს.

— კეთილი იყოს, ბატონებო, თქვენი მობრძანება. ტომას ლედერი ეცდება, საკადრისი მასპინძლობა გაგიწიოთ — შემდეგ კი ბავშვს მიუბრუნდა: — ახლავე წაიყვანე ცხენები საჯინიბოში და მომვლელს ჩააბარე, უთხარი, შვრია და თივა ბლომად დაუყაროს.

მგზავრები, ტყავის ხელჩანთებით ხელში, სასტუმროს პატრონს შენობაში შეჰყვნენ და ხის კიბით მეორე სართულზე ავიდნენ. ოთახი, სადაც ისინი მოთავსდნენ, მომცრო, მაგრამ ნათელი იყო. როდესაც მასპინძელმა კარი გაიხურა, ორივეს სიცილი წასკდა.

— ვგონებ, პირველი გამოცდა ცუდად არ ჩავაბარეთ, ა, რას იტყვი, გივი?

— ლონდრაგ, ეს მართლაც კარგი დასაწყიხია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თითოეული ჩვენი სიტყვა და ნაბიჯი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

— ცხადია, დიდი დაკვირვებულობა გვმართებს. ახლა ჯობია, კარი ჩაკეტოთ და ვნახოთ, რა ხდება ეთერში.

ლონდრაგმა ხელჩანთა გახსნა და მცირე ზომის, მაგრამ ზემძლავრი, ატომურ ბატარეებზე მომუშავე რადიოაპარატი ამოიღო. ერთხანს ამაოდ ატრიალებდა სახელურს. რეპროდუქტორი ჯიუტად დუმდა.



— რაო, ლონდრაგ, არაფერი გამოდის? აბა, სცადე ოცდაერთი სანტიმეტრი სიგრძის დიაპაზონზე!

— რატომ მაინცდამაინც ამ ტალღაზე?

— მაქვს ერთი მოსაზრება, რომელიც არა იმდენად მეცნიერულს, რამდენადაც ფსიქოლოგიურ ვარაუდს ემყარება.

— ვითომ ფსიქოლოგია გვიშველის?

— ვცადოთ, იქნებ რაიმე გამოგვივიდეს. ოცდაერთი სანტიმეტრი ვარსკვლავთშორისი ნეიტრალური წყალბადის რადიოხაზის მახასიათებელია. ზეცივილიზაციებისათვის, რომლებსაც კრნმოხთან აქვთ საქმე, ეს უეჭველად ცნობილი იქნება და მათი წარმომადგენლები, ინერციით თუ ქვეცნობიერად, სწორედ მას აირჩევდნენ.

ლონდრაგი აპარატისაკენ დაიხარა და ისარი ოცდაერთ სანტიმეტრზე გააჩერა. რეპროდუქტორი ჩუმად ბუზღუნებდა.

— იქნებ საღამოსათვის გადავდოთ, — თქვა გივიმ. — თუ ჩვენს ძველ გადმოცემებს დავუჯერებთ, ყოველი განსაცხადებელი სიბნელის დადგომისთანავე იჩენს ხოლმე თავს. საიდუმლოებათა საიმედო გასაღები ღამეა. ჩვენც მოთმინებით დაველოდოთ მის დადგომას. მანამდე კი ერთი საქმე უნდა მოვაგვაროთ. როგორ ფიქრობ, იქნებ აგვეყვანა ჰეტერი მოსამსახურედ? აქაურის დახმარება ნამდვილად დაგვჭირდება. ხოლო ბავშვი ყველაზე მეტად გამოგვადგება.

ლონდრაგმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მიმღები ხელჩანთაში ჩადო. გივი წამოდგა და კარი გამოაღო.

— მასპინძელო, ჰეი, მასპინძელო!

კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. მალე აჭარხალებული სასტუმროს პატრონი გამოჩნდა.

— რა გაქვთ ვახშმად? — ჰკითხა გივიმ.

— შემწვარი ქათამი და ბატი, მშრალად მოხარშული ხბოს ხორცი, ყველი, შესანიშნავი რაინის ღვინო, თუ ისურვებთ, ფრანგულიც მოგვეპოვება.

— ხბოს ხორცი და ყველი იყოს. ღვინო რაინისა ჩამოასხით.

— ბატონი ბრძანდებით!

— ჰო, კიდევ ერთი რამ: პატარა ჰეტერი გამოგვიგზავნეთ. გადავწყვიტეთ, ხელზე მოსამსახურედ ავიყვანოთ. აჰა, ხუთი ოქრო. ბიჭს ახალი ტანისამოსი უყიდეთ, იხეთი, ჩვენს მსახურს რომ შეეფერება.

ერთი საათის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა.

— შეიძლება, ბატონებო?

— მობრძანდით, — გაეპასუხა გივი.

ოთახში ლოყებაჟღაჟა სასტუმროს პატრონი შემოვიდა, ხელში ხონჩა ეჭირა. უკან ბიჭუნა მოაბიჯებდა, ძლივს მოჰქონდა ღვინით სავსე მოზრდილი ხელადა. ტომასმა მაგიდაზე დაალაგა სანოვაგე.

— მიირთვით, ბატონებო. შენ კი, — მიმართა მან ჰეტერს, — წესიერად მოიქეცი, როგორც გითხარი, დღეიდან მათ სამსახურში იქნები, ყველა სურვილს უსიტყვოდ შეუსრულებ.

ჰეტერი ისე გამოეცვალა ახალ ტანსაცმელს, კაცი ძლივს იცნობდა. მან ჭიქები ღვინით შეავსო და მორიდებით განზე გადგა.

— მძიმე შრომა არ გექნება, — უთხრა გივიმ ბიჭს, — ერთი ეს მითხარი, ვინ გყავს ოჯახში?

— მარტო მე და ბებია ვართ.

— მშობლები?

— ადრე დავობლდი. ბებია ღრმად მოხუცებულია და მე ვინახავ.

მოგზაურებს შეეცოდათ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი პატარა ბიჭუნა. გივიმ გალაქტიკურ ენაზე გადაულაპარაკა ლონდრაგს:

— ვითომ დავაშავებთ ისტორიის წინაშე, რომ ამ ბავშვს მატერიალურად დავეხმაროთ, რათა ჩვენი წასვლის შემდეგაც ადამიანურად იცხოვროს?

— არა მგონია, რომ ჩვენმა აქციამ რაიმე გაუთვალისწინებელი კატაკლიზმები გამოიწვიოს. დიდი-დიდი უმნიშვნელო ცვლილებები მოხდეს, რომლის შედეგები საუკუნეთა განმავლობაში ნულამდე დავა.

— კეთილი, თუ შენც თანახმა ხარ...

ჰეტერი ჩუმად შეჰყურებდა გივისა და ლონდრაგს, რომლებიც მისთვის უცხო ენაზე საუბრობდნენ. „დიდად

განათლებულნი არიან ჩემი კეთილშობილი პატრონები. მართლაც ბედი მწყალობს, — ფიქრობდა ბიჭუნა.

— პეტერ, ამბობენ, თქვენს ქალაქში ერთი სწავლული კაცი იმყოფება — დოქტორი ფაუსტი. თუ გაგიგონია რაიმე მის შესახებ? — ჰკითხა გივიმ.

— დოქტორ ფაუსტს ვინ არ იცნობს! აქვე, ახლოს ცხოვრობს.

— ამჟამად ქალაქშია?

— დიახ, სწორედ გუშინ დავინახე, როცა სახლიდან გამოდიოდა ვიღაც მამაკაცის თანხლებით.

ლონდრაგმა და გივიმ ერთმანეთს გადახედეს.

— ის მამაკაცი აქაური არ არის?

— ნამდვილად არა. ქალაქის მკვიდრს ყველას ვიცნობ, მოგეხსენებათ, დღედაღამ ქუჩაში ვარ. ის კი ადრე არასოდეს მინახავს.

— დიდი ხანია, რაც უცნობი აქ გაჩნდა?

— ერთი წელი იქნება. პირველად შარშან, აღდგომის მეორე დღეს ვნახე.

— დოქტორ ფაუსტთან ცხოვრობს?

— არა, მაგრამ ხშირად ესტუმრება ხოლმე. ბევრჯერ მინახავს, ერთი-ორჯერ ფულიც კი მაჩუქა.

ფულის ხსენებაზე გივის წელანდელი საუბარი მოაგონდა ლონდრაგთან.

— პეტერ, დღეს შენ თავისუფალი ხარ. აი, შენი გასამრჯელო, — და ბავშვს რამდენიმე ოქროს ფული გაუწოდა, — წინასწარ გაძლევთ, რომ ბებია გაახარო. ხვალ დილით გამოცხადდი ჩვენთან.

ბიჭუნამ ათრთოლებული ხელით გამოართვა ფული, აღელვებისაგან კინაღამ გული შეუწუხდა. გაოგნებული ბავშვი გივის ხმამ გამოაფხიზლა:

— დოქტორ ფაუსტის სახლთან ჩაიარე. კარგად დააკვირდი, რა ხდება იქ. გაიგე, ის უცნობი მამაკაცი თუა მასთან. რასაც შეამჩნევ, ხვალ მოგვახსენე.

— კარგი, ბატონო.

ბავშვის წასვლისთანავე ფაუსტზე საუბარი განახლდა.

— როგორ ფიქრობ, გივი, ის უცნობი მამაკაცი, პეტერმა რომ ფაუსტთან ნახა, ჩვენი ყურადღების ღირსია? იქნებ დოქტორის ნათესავია, ან, ვთქვათ, მისი მოწაფე სხვა ქალაქიდან?

— ვარიანტი მრავალი შეიძლება იყოს. ძნელია, დაბეჯითებით რომელიმეს მივანიჭოთ უპირატესობა. ერთადერთი სასინჯი ქვა — ეთერია.

ლონდრაგმა რადიოაპარატი ჩართო და მყისვე რეპროდუქტორიდან შიშინის ხმა მოისმა.

— ჩქარა, მოამზადე ლინგვასკოპი! — წამოიძახა ლონდრაგმა.

— ეს ატმოსფეროს ელექტრომუხტებს უფრო წაგავს...

გივის არც კი ჰქონდა დამთავრებული სიტყვები, რომ მიმღებიდან მკაფიოდ გაისმა ადამიანის ხმა. ლინგვასკოპმა გალაქტიკურ ენაზე ამოიხრიალა:

— „ყურადღება, ყურადღება! ვუხმობ ხომალდს“.

— „ეს ხომალდია, გისმენთ. რომელი ხარ? ზითხარი კიდი.“

— „მეფისტოფელი“.

— „რა ხდება?“

— „გაამზადეთ ბიოსტიმულატორი. სასწრაფოდ მჭირდება.“

— „ერთ საათში მზად იქნება“.

— „ველი დათქმულ ადგილზე. გადაცემას ვწყვეტ“.

აღელვებული მეგობრები ერთხანს ჩუმად იხხდნენ.

— ხიმართლე გითხრა, გივი, — თქვა ბოლოს ლონდრაგმა, — არ მოველოდი, თუ ასეთი თავბრუდამხვევი სიხშირეთ განვითარდებოდა მოვლენები. ჯერ ერთი დღეც არ გასულა, რაც აქა ვართ და უკვე მივაგენით, რასაც ვეძებდით. არა, ძმაო, ეს მართლაც ჯადოქრობაა.

— მიგაის ეჭვი მართლდება. უცხოპლანეტელებმა კონტაქტი დაამყარეს ადამიანებთან. რა სწადიათ, რა ჩანაფიქრი აქვთ, რა სურთ მოიმოქმედონ? აი, კითხვები, რომლებზედაც პასუხი უნდა გავცეთ.

დილით პეტერმა შეატყობინა თავის ბატონებს, რომ ფაუსტი უცნობის თანხლებით ქალაქიდან გავიდა.

— ხომ არ იცი, საით გაემგზავრნენ? — ჰკითხა გივიმ.

— ცხენების პატრონმა თქვა, რომ საღამოს დაბრუნდებიან. აქვე, ახლოს, ჰერცოგის ძმის კოშკში მიეჩქარებოდათ.

— რა საქმე უნდა ჰქონდეს ფაუსტს ჰერცოგის ძმასთან?

— ბატონებო, თქვენ ახლადჩამოსულები ბრძანდებით და, ალბათ, ამიტომ არ უწყით სამწუხარო ამბავი: ჰერცოგის ძმა ლოგინად არის ჩავარდნილი. მძიმე სნეულება სჭირს. ფაუსტი კი ჩინებული მკურნალია.

— კეთილი, პეტერ. ახლა წადი და საუზმე მოგვიტანე.

როდესაც ბავშვი გავიდა, გივიმ თქვა:

— აი, თურმე, რატომ დასჭირდა უცხოპლანეტელს ბიოსტიმულატორი! მისი დახმარებით ფაუსტი აქაურ დიდებულს უმკურნალებს. ვინ იცის, იქნებ ესეც შედის მათ გარიგებაში.

— და მაინც, არ მესმის, რისთვის აკეთებს ამას ფაუსტი? იქნებ სურს, სახელი გაითქვას, როგორც სასწაულმოქმედმა ექიმმა? თუ მატერიალური მხარე აინტერესებს, დიდი გასამრჯელო? ან, შესაძლოა — ორივე ერთად. თუმცა არის მესამე მოსაზრებაც: ხომ არ განიზრახა დოქტორმა, ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო უცხოპლანეტელის, იმავე მეფისტოფელის, ყოვლისშემძლეობაში?

— არ ვიცი, ლონდრაგ, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. ჯერჯერობით ძალზე მცირე ინფორმაცია გვაქვს. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ისაა, რომ მიმღები მუდმივ რეჟიმზე გადავიყვანოთ, რათა ჩაიწეროს ყოველნაირი საუბარი ეთერში. დროგამოშვებით მათ გავშიფრავთ ხოლმე.

— სწორია. კიდევ... რას იტყვი, ელექტრონული მოთვალთვალე ხომ არ მოგვეთავსებინა ფაუსტის სადგომში?

— ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ უცხოს ბინაში შესვლა, ცოტა არ იყოს, საჩოთირო.

— ჰო, მაგრამ მაშინ იქნებ პეტერი გამოგვეყენებინა? საზრიანი ბიჭუნაა. თანაც, აუცილებელი ხომ არაა, მოთვალთვალე შიგ ოთახში იყოს?

როდესაც პეტერის მოტანილი საუზმით დანაყრდნენ, გასეირნება გადაწყვიტეს და პეტერიც წაიყოლიეს. კარგი ამინდი იდგა. ღილის მზე ეალერსებოდა მწვანეში ჩაფლულ შენობებს, ადამიანები კანტიკუნტად მიმოდიოდნენ. მცირე ხნის შემდეგ გივიმ პეტერს ჰკითხა:

— რომელია ფაუსტის სახლი?

— აგერ, ხომ ხედავთ ქუჩის ბოლოში ორსართულიან ნაცრისფერ შენობას? იქ ცხოვრობს ფაუსტი.

მოსეირნენი ფაუსტის სახლთან შეჩერდნენ. გივი ბავშვისკენ დაიხარა:

— რომელია ფაუსტის ოთახი?

— მეორე სართულზე, ხეთან ახლოს რომ ღია ფანჯარაა, იმ.

ლონდრაგმა ჯიბიდან პატარა საგანი ამოიღო.

— პეტერ, ხეზე ასვლა თუ შეგიძლია?

— კი ბატონო, კატაზე ნაკლებად არ შეხერხება ამოცება.

— გამომართვი ეს ნიუთი და ფაუსტის ფანჯრის პირდაპირ ტოტზე დაამაგრე. აჰა, თოკიც. თავის დროზე გეტყვი, როდის უნდა ჩამოხსნა.

— ადვილი საქმეა, — მიუგო ბიჭუნამ, თვალის დახამხამებაში ხეზე აძვრა და ღია ფანჯრის გასწვრივ ტოტზე ჩამოჯდა.

— ფრთხილად, ჰეტერ, არ ჩამოვარდე, — შესძახა გივიმ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონებო, მიჩვეული ვარ ხეზე ასვლას.

ბიჭს ორიოდე წუთი დასჭირდა მოთვალთვალის დახამაგრებლად და ჩვეული ოსტატობით ძირს ჩამოვიდა. როდესაც სასტუმროში დაბრუნდნენ, ლონდრაგმა გივის უთხრა:

— რაღაც არ მომწონს, რომ ჩვენს საქმეებში აქაური აბორიგენი ჩავაბით. ამით რამე არ გავაფუჭოთ.

— ჰეტერს გულისხმობ?

— სწორედ მას. თუმცა, მთავარი სხვაა — უბრალოდ, არ მინდა ქრონომფრენის ინსტრუქციის დარღვევა.

— ძნელია, ლონდრაგ, სულ ინსტრუქციებით ცხოვრება, — გაეცინა გივის, — გარწმუნებ, რომ ეს უმნიშვნელო გადახვევაა, რომელმაც, არა მგონია, მიზეზშედეგობრიობის თვალსაზრისით რაიმე გართულება გამოიწვიოს.

— მხოლოდ სიფრთხილე მალაპარაკებს. შეცდომის შემთხვევაში მე ვაგებ პასუხს...

— რატომ მარტო შენ? — შეაწყვეტინა გივიმ. — იგულისხმე, რომ თუკი რამეს დავაშავებთ, ზეტელების წინაშე ორივენი წარედგებით. მაგრამ, გთხოვ, დამშვიდდე. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

ლონდრაგმა მხარზე ხელი დაადო გივის.

— ვიცი, რომ ჩვენ ერთნი ვართ, მთლიანი და განუყოფელნი...

ის აპარატი, რომელიც ფაუსტის ფანჯარასთან მოათავსეს, მართლაც ჩინებული მოთვალთვალე იყო, მიმღების ეკრანზე გადმოსცემდა როგორც ხმას, ისე ფერად გამოსახულებასაც. თვით ქვის კედელშიც კი აღწევდა მისი გამჭოლი გამოხხივება.

ფაუსტი და მეფისტოფელი

მეორე დღეს, სადილის შემდეგ, როდესაც მოგზაურები სასტუმროში მარტონი დარჩნენ, გივიმ მოთვალთვალის მიმღები ჩართო. გამოჩნდა ფაუსტის საკმაოდ მოზრდილი, სადად მოწყობილი ოთახი — რამდენიმე სკამი, ორი კარადა და ამდენივე მაგიდა. ერთ მაგიდაზე წიგნები და ქაღალდები ელაგა, მეორეზე მინისა და თიხის ჭურჭელი. ეტყობა, დოქტორი აქ ქიმიურ ცდებს ატარებდა. უცებ კარი გაიღო და ორი მამაკაცი შემოვიდა. ერთი მათგანი მაღალი, წარმოსადეგი იყო. მხრებზე წითელი მოსასხამი ჰქონდა მოგდებული, შავი ქუდი ეხურა, რომელსაც იისფერი ფრთა ამშვენებდა. მეორე უფრო ტანმორჩილი ჩანდა, ნარინჯისფერი ქურთუკი ეცვა.

— ძვირფასო დოქტორო, — წარმოსთქვა წითელმოსასხამიანმა. — ჰერცოგის ძმა ხომ მოვარჩინეთ, შენ კი ეჭვი გეპარებოდა. როგორც ხედავ, საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. თავიდანვე გითხარი, ასე მოხდება-მეთქი. ჩემი სიტყვა და საქმე ერთია.

— ვხედავ შენს განუზომელ ძლიერებას. მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა მეუფლება.

— უკმარისობისა?! განა ყველა შენი სურვილი არ შეგისრულე!

— შენ გგონია, იმისთვის დავდეთ ხელშეკრულება, რომ მხოლოდ ოქრო მოვიხვეჭო, ან ცხოვრებისეული მოთხოვნილებები დავიკმაყოფილო? მე სხვა სურვილი მწყავს: მინდა გავიგო ადამიანის დანიშნულება, მსოფლიო პროტების მიზეზი. რატომ ხდება, რომ უმწიკვლო და ალალმართალი კაცი იტანჯება, ხოლო ცოდვილი და ავისმკეთებელი ბედნიერად ცხოვრობს? და კიდევ ერთი — უნდა ამიხსნა ყველა საგნის საფუძველთა საფუძველი, ფიზიკური და ზნეობრივი სამყაროს საიდუმლოებანი. ვინ შექმნა ყოველივე ეს და რატომ?..

— ჰირდაპირ გეტყვი, ოღონდ ნუ გეწყინება: ჯერ არა ხარ მზად ფუნდამენტური ცოდნის მისაღებად. ჯერჯერობით ყველაფერს ვერ გაიგებ.

— მე ხომ მთელს გერმანიაში და, შესაძლოა, მთელ ევროპაშიც, უნიკალური განათლების პატრონი ვარ. და ნუთუ ვერ შევძლებ, შენი ნათქვამი შევითვისო?

— ის, რაც შენ იცი, ბავშვის ცნობისმოყვარეობას თუ დააკმაყოფილებს. ამით იმის თქმა მსურს, რომ შენი განათლების დონე ერთიან პრიმიტიულია და აშკარად არასაკმარისია ჭეშმარიტი ცოდნის შესაძენად.

— აკი აღმითქვი, რომ ყველა ჩემს სურვილს შეასრულებდი.

— გარდა ამ სურვილისა! თვითონ განსაჯე: შეუძლებელია, მზა-მზარეულად ჩაიდო თავში მეცნიერული ინფორმაცია, თუ მას ვერ გააცნობიერებ. ავიღოთ, თუნდაც, ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი, რომელიც მთელი სამყაროს არსებობას ხსნის. იგი სამი სიტყვით გამოიხატება: ველის ზოგადი თეორია. მაგრამ იმისათვის, რომ ეს გაიგო, ათეული წლობით დაძაბული მეცადინეობა დაგჭირდება. შენი გონების შესაძლებლობანი, ძვირფასო დოქტორო, ერთობ შეზღუდულია. ვერაფერს გავაწყობ, რადგან ეს ჩემზე არაა დამოკიდებული.

— მაშასადამე, ჩემს მისწრაფებას განხორციელება არ უწერია...

— ჯერჯერობით ასეა.

— შენ გინდა თქვა, რომ ამის საშუალება ოდესმე მომეცემა?

— ეს გამორიცხული არ არის.

— როგორ, ჯოჯოხეთში ხომ საშუალმო ტანჯვა მოელის მას შემდეგ, რაც სული მოგყიდე. რა ცოდნის შეძენაზეა ლაპარაკი?

— არცერთმა ადამიანმა არ უწყის, რა მოელის იმ ქვეყანაში, ვინაიდან იქედან ჯერ არავინ დაბრუნებულა. ხოლო ზღაპრები, რომლებიც ამის თაობაზე ხალხშია გავრცელებული, სინამდვილეს ფრიად დაშორებულია. სამწუხაროდ, მეც არა მაქვს უფლება, სიმართლე გითხრა. მოვა დრო და თვითონ ნახავ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებით შენცა და შენისთანებიც.

— მომავალზე სულ ქარაგმებით მელაპარაკები.

— მოკვდავმა მხოლოდ წარსული და აწმყო უნდა იცოდეს. მომავალს ტაბუ ადევს. ჩვენს გარიგებაში, თუ გახსოვს, ეს ნათლადაა ასახული.

— შენს რკინისებურ ლოგიკასთან ვერაფერს გააწყობს კაცი. ახლა კი ერთმანეთს დავეშშვიდობოთ. დღეს საკმაოდ დავიღალე, მოსვენება მინდა.

— შენი ნებაა, დოქტორო, ახლავე წავალ. ძილი ნებისა.

გივიმ და ლონდრაგმა დაინახეს, როგორ გამოაღო კარი მეფისტოფელმა და ხიბნელეში გაუჩინარდა.

— რას ნიშნავს, ლონდრაგ, ეს შეხვედრა?

— უეჭველია, უცხოპლანეტელი, რომელიც, როგორც პროფესორმა მიგაიმ სწორედ ივარაუდა, მეფისტოფელის ნიღაბს არის ამოფარებული, თავისი მიზნისაკენ

გეგმაზომიერად მიდის — უნდა, საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში ფაუსტი. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: რად სჭირდებათ იგი? ხომ დაინახე, რომ დოქტორის ინტელექტი მათთვის ბავშვის გონების ტოლია. რისთვის გადასერეს კოსმოსის თვალუწვდენელი სივრცე? ნუთუ იმისათვის, რომ ვიღაც აბორიგენის სურვილები შეეს-რულებინათ და სამაგიეროდ მას დაუფლებოდნენ?

— ალბათ, არის რაღაც სერიოზული მიზეზი, რომელსაც ჯერ ვერ მივხვდით. — ცრუ მეფისტოფელისა და ფაუსტის საუბრის მოსმენა შემდგომშიც საჭირო იქნება, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამით ს.ილუმლოს ფარდა აეხადოს. მათი კოსმოსური ხომალდი უნდა ვიპოვოთ და დავუ-ვეროთ. იქნებ მივაგნოთ იმ რგოლს, რომელიც მოვლენათა ჯაჭვში გვაკლია.

— უცხოპლანეტელთა ერთ-ერთი მიზანი, როგორც ჩანს, ის უნდა იყოს, რომ დედამიწელები ფუნდამენტურ მეცნიერებას აზიარონ. რა მიზნით? ამაზე პასუხი ჯერ არ მოგვეპოვება. თუ შეატყვე ცრუმეფისტოფელმა რომ გასცა თავისი თავი, რასაც, ცხადია, ფაუსტი ვერ შეამჩნევდა.

— რას გულისხმობ?

— ველის ზოგადი თეორიის მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ ფაუსტი ასე უცებ ვერ შეძლებს მის გაგებას, მას არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ამისათვის საჭიროა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის, უმაღლესი მათემატიკის, კოსმოლოგიის, ასტრონომიისა და სხვა მრავალი მეცნიერების დაუფლება, რასაც სამერმისოდ შეჰპირდა დოქტორს. მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი: ამ ცოდნის გადაცემა არა დედამიწაზე, არამედ თავიანთ პლანეტაზე აქვთ განზრახული, რაც, ალბათ, მათი საჭიროებისათვის არის გამიზნული.

— მაშასადამე, გამოდის, რომ აქედან წაყვანილ ადამიანთა თავიანთ პლანეტაზე ჩასახლების შემდეგ განზრახული აქვთ მათი სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა. .ი, ნამდვილი პარადოქსი! ნუთუ ასეთი უანგარონი არიან? არა, ძმაო, უკან ვერ დავბრუნდებით, სანამ ამას კარგად არ გავარკვევთ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც დროში მოგზაურებმა ეთერში უცხოპლანეტელთა ხმა კვლავ გაიგონეს, დააზუსტეს მათი კოსმოსური ხომლადის პელენგი. ვარსკვლავთმფრენი მდებარეობდა შტუდჰარტიდან ოცდახუთმეტი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ ხნის განმავლობაში ფაუსტის სადგომში რაიმე ყურადსაღები მოვლენა არ მომხდარა და მეგობრებმა საფრენი აპარატის დასაზვერად წასვლა გადაწყვიტეს.

ორი მხედარი ჩვეულებრივ მგზავრებს ჰგავდა. დინჯად მიდიოდნენ. მეოცე კილომეტრიდან დაწყებული, დასახლებული ადგილები აღარ შეხვედრიათ. დაიწყო უღრანი ტყე. გივიმ კომპასით მარშრუტი დააზუსტა. საცალფეხო ბილიკს დაადგნენ. ოცდამეთორმეტე კილომეტრზე დაქვეითდნენ. პატარა მდელოზე ცხენები თოკით ხეზე შიაბეს, თვითონ კი ფეხით შევიდნენ ტყეში. ხშირი ტყე და ერთმანეთში გადახლართული ბუჩქები სიარულს აძნელებდა. ოცდამეთოთხმეტე კილომეტრი რომ ჩაათავეს, შედგნენ, ცოტა სული მოითქვეს.

— მიზანთან ახლოს ვართ, — თქვა გივიმ და ერთ მაღალ მუხას მიუახლოვდა. — დავისვენოთ, ლონდრაგ.

მეგობრები ხის ქვეშ, ბალახზე დასხდნენ. სიწყნარე სუფევდა.

— რა უცნაურია. ჩიტებიც კი არ ჭიკჭიკებენ. კოსმოსური ხომალდის სიახლოვის ბრალი ხომ არაა ეს?

— შესაძლოა. გივი, მოდი ამ მუხაზე ავცოცდეთ და მიმოვიხედოთ. აფსუს, სად არის ჰეტერი! ერთ წუთში კენწეროზე მოექცეოდა.

ერთმანეთის დახმარებით გაჭირვებით ავიდნენ. ... მიდამო მიმოათვალიერეს, მაგრამ, თავდაპირველად, საყურადღებო ვერაფერი დაინახეს. მხოლოდ ერთ ადგილას, ფართო მინდორზე, რომელსაც გარშემო ხეების ჯარი ჰქონდა შემორტყმული, მოზრდილი ბორცვი შენიშნეს. ქრონომფრენთა გამოცდილმა თვალმა უმალ შეამჩნია მისი უცნაური ფორმა.

გივიმ ჩანთიდან ხელსაწყო ამოიღო და ბორცვისკენ მიმართა.

ეკრანზე უცხოპლანეტელთა ვარსკვლავთმფრენის კონტურები აკიაფდა.

ეპილოგი

„ჩვენმა ექსპედიციამ დადასტურა უცხოპლანეტელთა აქცია დედამიწელთა მიგრაციასთან დაკავშირებით მეთექვსმეტე საუკუნეში. ისინი ვარსკვლავმფრენით ჩაფრინდნენ დედამიწაზე, კონტაქტი დაამყარეს ადამიანებ-

თან და მათთან ხელშეკრულებას დებდნენ, რომლის ძალითაც ნებაყოფლობით მიჰყავდათ თავიანთ პლანეტაზე. ესე იგი, პროფესორ მიგაის ჰიპოთეზა გამართლდა, — განაცხადა გივი ოძელმა დროის აკადემიის საგანგებო სხდომაზე. — ახლა, მეგობრებო, მე და ლონდრაგი მზად ვართ, ვუპასუხოთ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.“

კითხვა: სადაურები არიან მიგრაციის მომწყობნი?

ლონდრაგი: ისინი პერსევსის თანავარსკვლავედის ვარსკვლავ მირფაკის პლანეტა არმაარიდან მოფრინდნენ.

კითხვა: რას ითვალისწინებდა მათი ხელშეკრულებები?

გივი ოძელი: ვიდრე პასუხს გაგცემდეთ, მცირეოდენი რამ უნდა მოგახსენოთ იმ პერიოდის რელიგიურ წარმოდგენებზე. შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული იყო ქრისტიანული სარწმუნოება, არსებობდა რწმენა ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი სულის ჯოჯოხეთში ან სამოთხეში მოხვედრის შესახებ. პირველში ცოდვილნი უნდა მოხვედრილიყვნენ, მეორეში — უცოდველნი. ამასთანავე, ამ რელიგიის მიხედვით, ღვთიურ, კეთილ ძალებთან ერთად მოქმედებდნენ ბოროტი სულებიც, რომელთა სამყოფელი ჯოჯოხეთია. ისინი სხვადასხვა ხერხებით აცდუნებდნენ ადამიანებს, რათა შემდგომში ხელთ ეგდოთ.

კითხვა: რა კავშირია თქვენს ნათქვამსა და უცხოპლანეტელთა საქმიანობას შორის?

გივი ოძელი: პირდაპირი. უცხოპლანეტელებმა მოხერხებულად გამოიყენეს აღნიშნული რელიგიური წარმოდგენები საკუთარი მიზნებისათვის, მოევლინენ დედამიწელებს, როგორც ყოველისშემძლე ავი სულები, რომლებსაც ძალუძთ ადამიანის ნებისმიერი სურვილის შესრულება, ოღონდ იმ პირობით, რომ შემდგომ მათ უნდა დაპატრონებოდნენ. მაგალითად, ფაუსტს, იმდროინდელ სახელგანთქმულ მოაზროვნეს, მეფისტოფელის სახით გამოეცხადა ერთ-ერთი უცხოპლანეტელი, რომელმაც შესთავაზა ხელშეკრულების დადება, რომლის ძალითაც ეს უკანასკნელი ყოველმხრივ უნდა მომსახურებოდა დოქტორს, ვიდრე მისი აღსასრული არ დადგებოდა და მეფისტოფელის საკუთრება არ გახდებოდა.

კითხვა: რაში გამოადგებოდათ მათ მკვდარი ადამიანები?

ლონდრაგი: როგორც ჩანს, ეს იყო სიკვდილის იმიტაცია. სინამდვილეში კი ხელშეკრულების შესრულების შემდეგ დედამიწელებს აძინებდნენ და ვარსკვლავთმფრენში მიჰყავდათ. ხომალდის ერთ-ერთ ნაკვეთურში მე და გივიმ ვნახეთ ცხრამეტი გამჭვირვალე ანაბიოზური აბაზანა, რომლებშიც ადამიანები იყვნენ მოთავსებულნი — ათი ქალი და ცხრა მამაკაცი. მეოცე აბაზანა თავისუფალი იყო, იგი ნამდვილად ფაუსტისთვის ჰქონდათ გამიზნული.

კითხვა: გამოდის, რომ დედამიწელებს თავის პლანეტაზე გააცოცხლებდნენ, ანაბიოზური ძილიდან გამოიყვანდნენ?

გივი ოძელი: რა თქმა უნდა. დაასახლებდნენ ერთად, ალბათ, ისინი დაოჯახდებოდნენ კიდეც, ხოლო არმაარელნი შეუდგებოდნენ მათ განსწავლას. ასეთივე პერსპექტივა მოელოდა მათ შთამომავლობასაც.

კითხვა: განსწავლას? საოცარია! რაღა საჭირო იყო ადამიანთა იმიგრაცია, ამას რა, დედამიწაზე ვერ შეძლებდნენ? ნუთუ ასეთი ფილანტროპები იყვნენ?

ლონდრაგი: სულაც არა. მათ საკმაოდ ეგოისტური მიზნები ამოძრავებდათ. მაგრამ საქმის გასარკვევად ერთმთავარ თავისებურებაზე უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. რაც უნდა უცნაურად გეჩვენოთ, [illegible] ციას ახორციელებდნენ არა ადამიანები, [illegible] ბოტები.

კითხვა: ამას თავისი პატრონებისათვის აკეთებდნენ?

გივი ოძელი: ფაქტობრივად, ისინი უპატრონონი, ანუ საკუთარი თავის პატრონები იყვნენ. ეს აქციაც თავიანთი საჭიროებისათვის ჩაატარეს.

კითხვა: როგორ? სად წავიდნენ ადამიანები, რომლებმაც ისინი შექმნეს?

ლონდრაგი: ერთხანს ჩვენთვის აუხსნელი ამოცანა იყო ეს. ელექტრონული მოთვალთვალით ვერა და ვერ გავარკვიეთ საქმის ვითარება. მხოლოდ ერთხელ, როდესაც ორი რობოტი საუბრობდა, როგორც იქნა, შევაგენით სიმართლეს. გამოირკვა, რომ ადამიანებს მიუტოვებიათ თავიანთი პლანეტა და იგი მოაზროვნე მექანიზმების ამარა დარჩენილა.

კითხვა: რა იყო ამის მიზეზი?

გივი ოძელი: რაღაც კოსმოლოგიური მისიის შესრულება. ხშირად ახსენებდნენ ვინმე ლეჰანგს, არმაარის მკვიდრს, რომლის სწავლების მიხედვით, ადამიანთა მოვალეობაა სამყაროსათვის არსებობის გახანგრძლივება. ისინი წავიდნენ იმიტომ, რომ რობოტები თურმე აფერხებდნენ დასახული მიზნის განხორციელებას, თავიანთი დანიშნულების რეალიზებას. საოცარი კიდევ ის არის, რომ არავინ უწყის მათი ასავალ-დასავალი.

კითხვა: რაში სჭირდებოდათ რობოტებს დედამიწელები?

ლონდრაგი: საკუთარი ცივილიზაციის განვითარებისათვის, მათი დახმარებით საძეცნიერო პოტენციალის ზრდისათვის. აქსიომაა, რაც უნდა სრულყოფილი იყოს რობოტი, იგი ადამიანს ყველაფერში ვერ შეცვლის.

კითხვა: როგორია თქვენი რეკომენდაციები?

გივი ოძელი: რადგანაც კოორდინატები უკვე დადგენილია, ზეტელებმა და დედამიწელებმა უნდა მოვაწყოთ ექსპედიცია პლანეტა არმაარზე, მოვინახულოთ ფაუსტისა და სხვა ჩვენს თანამემამულეთა შთამომავლობა, რომელმაც, ალბათ, რობოტებთან ერთად ახალი ცივილიზაცია შექმნეს. და, რაც მთავარია, უნდა მოვძებნოთ არმაარიდან წასული ლტოლვილები, უნდა მოვეხმაროთ მათ გრანდიოზული პროექტის შესრულებაში. სამყაროს გარდაქმნაში ყველა რასა უნდა ჩაებას. ლეგენდარული ლეჰაგის წინასწარმეტყველებას ჭეშმარიტად აღსრულება უწერია, ოღონდ მთელი გალაქტიკის გონიერ არსებათა ძალისხმევით.

აკაკი გეწაძე

უამღავი ანგარი

აკაკი ნახეს, მთაწმინდის სამზერლად გამოსულიყო
და მთა-ბარს ეკითხებოდა:
— სადა ხარ, ჩემო სულიკო?
— აქა ვარ! — მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან
გაისმა, —
მე შემიყვარა სიცოცხლემ, როგორც ვარდობა — მაისმა.
შენს გულში დაბადებული ლექსი ვიყავი პაწია,
ავფრინდი საქართველოდან, ცაში გავიჭერ არწივად
და მზიანეთში მფრინავი ხალხმა სიმღერად მაქცია,
გული მიფეთქავს ქართული, ქართული ჩოხა მაცვია.
ყველგან ვარ, ჩემი სიობლე დრო-ჟამმა გაამზისფერა,
შენ ლექსად ამომაფრინე, მე კი დავფრინავ სიმღერად.
დღეს მე ობოლი როდი ვარ, ცხარე ცრემლები დავღვარო,
ჩემი დედაა სიმღერა, სავალი — მთელი სამყარო...
აკაკი ნახეს, მზიან ცის საცქერლად გამოსულიყო
და ყურს უგდებდა: მსოფლიო აღუღუნებდა სულიკოს.

ავთანდილ გურგენიძე

ისევ მამულს

მუდამ ფეთქავ მაისად,
ამფერო და იმფერო...
ხელისგულზე დაგისვამ,
სული უნდა გიბერო.
სიმი შენი ჩანგისა
ვერვის ვერ მოუშლია...
გულში უნდა ჩაგისვა,
გულისგულის გულშიაც.
ავდრისაც და დარისაც
არის ჩემი ფიქრები...
წერტილიც რომ დამისვა,
მაინც შენთან ვიქნები.
შენთვის უნდა გავგიჟდე,
ამფერო და იმფერო...
სიცოცხლედ რომ დამიჯდეს,
სული უნდა გიბერო!

ფარფარა ტიციან ტაბიძის წიგნზე

ბროწეულივით წითელი წიგნი...
ღულს გაზაფხულის მეწყერი შიგნით;
მეწყერი —
სავსე ქარით და ნისლით,
მზითა და კაცის ლეკერტა სიხლით!
გახეთქილია დარდისგან თავი,
გახეითქულია ფიქრისგან ტვინი...
საკუთარ სხეულს გვირგვინით რთავენ,
საკუთარ სიკვდილს უცრემლოდ
ტირი.
ყვირის პოეტი რუსთველის ჯიშის,
სიტყვას მოხეთქილ ლოდად გაჯახებს,
„მე საკაძის გახლავარ ჯიშის
და სპარსელების ვებრძვი ყაჩაღებს“.
თუ დავუჯერებთ სიტყვებს ლამაზებს,
ღვინით და ლექსით დარჩება
მთვრალი...
ის ყაჩაღებმა მოკლეს არაგვზე,
ჩვენ მის სიკვდილში
არ გვიდევს ბრალი.
ბედის ქარებო, ხომ მიატოვეთ
აფეთქებული მიხაკის ყლორტი,
„მაგრამ იცხოვრებს ლექსიკ ატომით
გადაღადრული პოეტის ყრონტი“.
აწონილია მზე მისხალ-მისხალ,
ქრიან ცხენები შეუსვენებლივ...
წვეთავს და წვეთავს
წიგნიდან სისხლი
და გასვრილი მაქვს სიხლში
ხელები.
ბროწეულივით წითელი წიგნი...
ღულს გაზაფხულის მეწყერი შიგნით;
მეწყერი —
სავსე ქარით და ნისლით,
მზითა და კაცის ლეკერტა სიხლით!..

ბავშვებმა

ხათუნა სუხიტაშვილს სურვილი აქვს, დაუმეგობრდეს IX-XI კლასის მოსწავლეს. უყვარს მუსიკა, პოეზია. გატაცებულია სკეიტბორდით. ხათუნა ცხოვრობს გორის რაიონში, სოფელ კარალეთში.

სულხან ხალვაში მეხუთე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. უყვარს ბუნება, დადის ბოტანიკის წრეზე. გატაცებულია კარატეთი. სულხანის მისამართია: ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 15.

ბუნების დიდი მოყვარული ყოფილა ახმეტელი **ლია აზიკურიც**. იგი ყოველ ზაფხულს ადის თურმე მთათუშეთში და მთის სამკურნალო მცენარეულობას აგროვებს. ლია ცხოვრობს ახმეტის რაიონში (საფოსტო ინდექსი — 888860), სოფელ ზემო ალვანში, ბუქურაულის ქ. № 144-ში.

მაგული თათრიშვილი, თავისი ასაკის კვალობაზე ხელსაქმეში გასაოცრად გაწაფული მეცხრეკლასელი გოგონა, გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში ცხოვრობს. რა არ გამოსდის თურმე ხელიდან: ჭრა-კერვა, ხატვა თუ ქარგვა. ხელსაქმით გატაცებული გოგონები, ალბათ, სიამოვნებით დაუმეგობრდებოდნენ მას, მაგრამ კონვერტზე მისი მისამართის (გორის რაიონი, სოფელი ქვახვრელი, საფოსტო ინდექსი — 888490) დაწერისას უნდა გაითვალისწინონ რომ მაგულის მეორე სახელიც ჰქვია — მეგი და უფროსები უფრო ამგვარად იცნობენ.

მსოფლიო კიდით—კიდემდე

ამერიკის შეერთებულ შტატებში სქეითბორდი ამჟამად „მესამე ბუმს" განიცდის. ახლა უკვე ამერიკელების მესამე თაობა შედგა „გორგოლაჭებიან" ფიცარზე: მათგან უფროსი დაახლოებით ორმოცი წლისაა, უმცროსი — თორმეტისა. მაგრამ თუ უფროსმა და საშუალო თაობებმა, მართალია, მწარე შეცდომების ფასად, მაგრამ მაინც

შეძლეს საათანადო დასკვნის გაკეთება — ჩაფხუტის, სამუხლეებისა და სხვა დამცველ საშუალებათა გარეშე ჯირტუოზობა მაინც არ ღირს, — უმცროს თაობასთან ამის თაობაზე ნამდვილი ომი, ანუ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მიმდინარეობს. ამერიკის

ყველა საინფორმაციო საშუალება მიმართავს მესამე თაობას: ნუ მოიქცევით ისე, ამ სურათზე (ჟურნალიდან „თაიმ") რომ არის ასახული, **უმჯობესია იყო ბავიანი და ბაბედული, ოღონდ ჩაფხუტით, ვიდრე სულელი და ბაბედული, მაგრამ უთავოდ.**

●

ავსტრალიაში განათლების სისტემის ყველა საფეხურზე ფართოდაა გავრცელებული დაუსწრებელი სწავლება, ეს კი, პირველ რიგში, მანძილის ფაქტორით არის ნაკარნახევი. ვრცელი ტერიტორია და მოსახლეობის შედარებით ნაკლები სიმჭიდროვე ქველგან და ყველაფერში, მათ შორის, განათლების სისტემაშიც, აუცილებელს ხდიდა ამ ფაქტორის გათვალისწინებას. მაგალითად, ქვეყნის შორეულ რაიონებში იყო სკოლები, სადაც ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლიდა, იყვნენ ე. წ. მოგზაური მასწავლებლებიც, რომლებიც ერთი დასახლებიდან მეორეში დაიარებოდნენ გაკვეთილების ჩასატარებლად.

კარგა ხანს დაუსწრებელი სწავლების სისტემაში წამყვანი ადგილი დაწერილ სიტყვას, მაშასადამე, საფოსტო სამსახურს ეკუთვნოდა და, თუმცა იგი ახლაც ასრულებს თავის დანიშნულებას, თანამედროვე ტექნიკა მაინც ათმობინებს პოზიციებს, დღეს ტექსტებს კომპიუტერების, აუდიო და ვიდეოაპარატურის, სატელეფონო და საათანამგზავრო კავშირის მეშვეობით ამზადებენ და გადასცემენ, ყოველ მოსწავლესა თუ სტუდენტს დღის ნებისმიერ დროს შეუძლია ტელეფონით მიიღოს [illegible] კონსულტაცია, ბიბლიოთეკები კი ერთი დღე-ღამის ვადაში აწვდიან საჭირო წიგნს ქვეყნის ნებისმიერ წერტილში. ეს ბიჭებიც რაციის მეშვეობით მეცადინეობენ: **ისინი ისმენენ მასწავლებლის ახსნას და დავალებებს, ამხანაგების პასუხებს და თვითონაც რაციით პასუხობენ მასწავლებელს.**

●

ინდოეთში საბალხო განათლების საკითხი ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყნის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში. 1986 წლიდან აქ მოქმედებს განათლების სისტემა, რომელიც საყოველთაო დაწყებითი სწავლების დამკვიდრებისა და მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისკენ არის მიმართული. თუმცა სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად დისციპლინას, ყველა სკოლისათვის ერთია, იგი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის სპეციფიკურ მოთხოვნილებებსაც ითვალისწინებს. პროგრამის მთავარი ამოცანაა ისეთ ღირებულებათა დამკვიდრება, როგორიცაა ინდოეთის კულტურული მემკვიდრეობა, თანასწორობა, დემოკრატია, სკოლის საეროობა, მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობა, ზრუნვა გარემოზე, მეცნიერული აზროვნების განვითარება და სხვ. შესაძლოა, ჩვენ არცთუ ისე ბევრი რამ გვქონდეს ინდოეთის სკოლებისაგან გადმოსაღები, **მაგრამ დაწყებითი კლასებისთვის თუნდაც ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე ჩატარება, ალბათ, არც ჩვენი ბავშვებისთვის იქნებოდა ურიგო.**

●

ინგლისში პატარების დიდი მოწონება დაიმსახურა სიბავშვო ტელეგადაცემათა სერიამ „სადგური „შაინინგ თაიმი", რომელ-

შიც მისტერ კონდუქტორის როლს ერთ-ერთი უოფილი „ბითლი“ რინგო სტარი თამაშობს. იქნებ თქვენ კიდეც გაგიგირდეთ ამ სურათზე სახელგანთქმული მუსიკოსის ცნობა — საქმე ისაა, რომ, სცენარისტთა ჩანაფიქრით, მისტერ კონდუქტორის სიმაღლე ერთი ფუტი (30, 48 სმ.) უნდა უოფილიუო. როცა რინგო სტარს ჰკითხეს, რატომ დათანხმდით ასეთ როლზეო, მან ასე უპასუხა: „ჩემი პატარა შვილიშვილის, ტატიას გამო, რომელსაც ძალიან უყვარს საბავშვო გადაცემები.“

●

იაპონია, ყველაფერთან ერთად, საოცრად სუფთა ქვეყანაცაა. მართლაც რომ საინიმუშოა იაპონელთა ზრუნვა გარემოს სისუფთავისათვის, რაშიც უკლებლივ ყველა მონაწილეობს, ეს იაპონელი სკაუტი გოგონები ნებაყოფლობით გაშოსულან მდინარის ნაპირზე ნაგვის ასაკრეფად და დიდი ბალისითაც აკეთებენ ამას, რადგან იციან — ამით წყალს დაბინძურებისაგან დაიცავენ. ასეა ყველაფერში. იაპონელ ბავშვებს სწამთ, რომ სამშობლოს ყველა უნდა უვლიდეს.

20/193

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ადრეა

უილიამ სამერსეტ მოემს ოთხმოცდარვა წლის ასაკში გრიპმა დარია ხელი და დიდი ხნით მიაჯაჭვა ლოგინს. ექიმებმა მასთან მნახველების მისვლაც კი აკრძალეს. მწერლის ერთმა თაყვანისმცემელმა ქალიშვილმა ავადმყოფს ტელეფონით გამოჰკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესთავაზა, ხომ არ გსურთ, ფორთოხალი და ყვავილები გამოგიგზავნოთო.

— ფორთოხალი — რამდენიც გნებავთ, ყვავილები კი ჯერ კიდევ ადრეა, — მიუგო მწერალმა.

მოსწრებული პასუხი

ბერნარდ შოუ ერთ თანამემამულე მხატვართან საუბარში მკაცრად აკრიტიკებდა ფერწერას.

— ასე რატომ სჯით, — უსაყვედურა მხატვარმა, — თქვენ ხომ არასოდეს ერთი სურათიც კი არ დაგიხატავთ, მისტერ შოუ!

— მე კვერცხიც არასოდეს დამიდვია, მაგრამ მშვენივრად ვარჩევ ერთმანეთისაგან ლაყესა და ვარგისს, — მიუგო მან.

წარწერა აფიშაზე

ბერლინის თეატრში მაქს შილინგის ახალი ოპერა დაიდგა. ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელსაც კომპოზიტორი არ უყვარდა, კულისებში აფიშაზე წააწერა: „ბეთჰოვენი, ვერდი და ბიზე უფრო მეტად მომწონს“.

სპექტაკლის შემდეგ მსახიობებმა იმავე აფიშაზე კიდევ ერთი წარწერა ნახეს: „მეც. მაქს შილინგი“.

იმედის გაცრუება

ცნობილ გერმანელ მსახიობ უნცელმანს ერთ როლში ვრცელი წერილი ჰქონდა წასაკითხავი. რადგან მას ამ წერილს ქაღალდზე დაწერილს აწვდიდნენ, მისი შინაარსი ზეპირად არ დაისწავლა.

კოლეგამ, რომელსაც, როლის მიხედვით, მისთვის წერილის გადაცემა უწევდა, უნცელმანს გამასხარავება მოუნდომა და წერილის ნაცვლად სუფთა ქაღალდი გადასცა.

მსახიობმა წამით დახედა ქაღალდს, მერე უკანვე მიაწოდა და უთხრა:

— დღეს სათვალე შინ დამრჩა, შენ წამიკითხე.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი ტექნიკოსები ჟვალე ნაკლულევანეზე ფიქრობენ

დღეს ყველას თანაბრად გვიჭირს და, ალბათ, ცოტა არაეთიკურიცაა ერთი რომელიმე კერძო პირის ან ორგანიზაციის დაულხინებელ ცხოვრებაზე ლაპარაკი. თუმცა კი საზოგადოება ვალდებულია, მატერიალური შემწეობა თუ არა, ყურადღების მინიმუმი მაინც თითოეულს თავის წილად არგუნოს. დიახ, სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები— ეგრეთ წოდებული დოტაციური ორგანიზაციები, რომელთაგან მიღებული „მოგება“ იმდენად გამოუთვლელი და შორსამომავლია, ვერანაირი საზომით ვერ მიუდგები.

ამჯერადაც ერთი სკოლისგარეშე დაწესებულება გვინდა გავიხსენოო, ამ ბოლო დროს ჩრდილში მირჩენილი, მაგრამ თავისი არსებობის ექვს ათეულზე მეტი წლის მანძილზე ათასობით ნიჭიერი ყმაწვილის აღმზრდელ-დამკვალიანებელი. დიახ, თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური... ამ რამდენიმე წლის წინათ საცხოვრისგაფართოებული და ბაზამომძლავრებული, დღეს ახლებურად მონათლული და სტატუსშეცვლილი.

ყველამ რომ ვერც შევიტყვეთ, ჯერ მარტო ისე, რამდენჯერმე გაძრცვეს. ბოლო წლებში, ცოტა ხელმომართულებს, ამ დარბევების შემდეგ თითქმის აღარაფერი შერჩათ თავიანთი ღონიერი კომპიუტერული ბაზიდან. ახლა სარემონტო თანხების უქონლობა, ელემენტების, ძრავების, მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების შოვნის ყოველდღიური პრობლემები... ისიც იფიქრეს, მაინც მუშაკაცები ვართ და ბარემ ხელებიც მუშაკაცებივით დავიკაპიწოთო... კერძო შეკვეთების მიღება დაიწყეს, მოსწავლე-მასწავლებლიანად ამ საწუშაოში არიან ჩართულნი. განა ისეთი რა უნდა გააკეთონ, რომ ამხელა დაწესებულების სამყოფ სიკეთეს მისწვდნენ, მაგრამ ერთ შეღავათად ისიც აქვთ, ბავშვთა ტექნიკურ სწავლებას კონკრეტული პროდუქციის შექმნის პროცესადაც რომ აქცევენ. ასე გაჩნდა თბილისის სამხატვრო სკოლის შეკვეთით დამზადებული ეს მოხერხებული ტუმბოები და პლანშეტების სადგამები. მათი დამზადებისას დურგალს შეგირდი არ ჰკლებია. აი, რატომ იყო, რომ იმ დღეებში დურგლობაში ხელგაწაფულებმა—რომან თინიკაშვილმა, კოტე იაშვილმა, იაგო სუარიშვილმა და კახა ბაინდურაშვილმა თავიანთ ცხოვრებაში პირველი ხელფასები მიიღეს. აი, ელექტრონულ-პროგრამული ზარის მოფიქრება და დამზადება კი გამოცდილმა ოსტატებმა ითავეს. ჯერჯერობით ამ ზარის მხოლოდ ექსპერიმენტული ეგზემპლარია დამზადებული.

საბავშვო ბაღში მშვენივრად მოსახმარი ეს ცეროდენა, ზურგიანი სკამებიც აქაური ყმაწვილების ნახელავია. შეხედავ ყვავილებმიხატულს — თვალი ზედ დაგრჩება. მალე, ალბათ, ამგვარ ნაჩხირკედელავებსაც გამოუჩნდება თავისი მყიდველი. მაგრამ ასე, შემთხვევის იმედზე მაინც ძნელია დარჩენა, მითუფრო მაშინ, როცა ქამარშემოჭერილ ყოფას ქვეყნის შინააშლილობა და სოციალური არასტაბილურობაც ერთვის... ზოგჯერ ისეა საქმე, შორსმიმავალ შემოქმედებით გეგმებზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც ჭირს. მაგრამ ჯერჯერობით ისევ თამამობს ახალგაზრდული ენერგია და ყმაწვილების ტექნიკური შემოქმედების ეს უძველესი კერაც ცდილობს, დღევანდელობას ცუდად არ დაეჯაბნოს.

ასობით ყოფილ ნორჩ ტექნიკოსს ბედნიერად გაახსენდება მოსწავლე ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ამ რესპუბლიკური ცენტრის (მაშინ — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური) მიერ ორგანიზებული მშვენიერი ღონისძიებები — ნორჩ რადიოტექნიკოსთა, მემოდელეთა, ინფორმატიკოსთა, ქიმიკოსთა და ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური შეკრებები და გამოფენები.

სპორტის ტექნიკურ სახეობებში

— ავიამოდელიზმში, ავტომოდელიზმში, რაკეტამოდელიზმსა და გემთმოდელიზმში — რესპუბლიკური ასპარეზობის მოწყობა წელსაც მოიწადინეს. რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა ცხრამეტივე საქალაქო და რაიონულ სადგურს აცნობეს მოსალოდნელი ღონისძიების შესახებ. ტყიბულიდან, ხონიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, და კიდევ ერთი-ორი ქალაქიდან ჩამომსვლელ იმ 64 მონაწილეზეც ყაბულს იყვნენ, მაგრამ დღეს რესპუბლიკაში გამეფებული შიშიანობის გამო ბავშვების ჩამოყვანა ვეღარ გარისკეს და ისევ სასექტემბროდ გადადეს ეს ასპარეზობა განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ლებას ნამდვილად ნიშნავს. და კიდევ ნიშნავს ახლებურად აზროვნებასაც, რისი კვალიც ცენტრის მუშაობას ნამდვილად ატყვია.

უკანასკნელ თვეებში არაერთი უცხოელის ყურადღება მიუპყრია მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ამ რესპუბლიკურ კერას. ბატონი ბეიკერის კვალდაკვალ თბილისში ჩამოსულ ამერიკელ ექსპერტთაგან ერთ-ერთი — ბატონი ჩესტერ ჰენსენი სტუმრებია კიდეც, იმდენად დაინტერესებულა ამ სკოლისგარეშე დაწესებულების შემოქმედებითი შესაძლებლობებითა და რეზერვებით: ერთ თამამ ოცნებას ინგლისურ საინოვაციო ცენტრ „ქე-

ღღევანდელ აღსაზრდელთა მომავალი მაღალი ტექნიკური შემოქმედებისა და მიაჩნია, რომ ამგვარი პროფესიონალიზმი მხოლოდ საქმის ყველა „შავი“ და ძნელი ნიუანსის საფუძვლიანი ცოდნით მოდის. ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივის ეს განწყობილება უთუოდ აისახება იმ თექვსმეტგვერდიან გაზეთშიც, რომლის პირველ ნომერს დღე-დღეზე ელიან. რესპუბლიკის ნორჩი ტექნიკოსებისათვის განკუთვნილი ეს ყოველთვიური გაზეთი სათაურით „იდეა“, ალბათ ბევრ ყმაწვილ შემოქმედს მოუხსნის უახლესი ტექნიკური თუ სამეცნიერო ინფორმაციის უკმარისობის გრძნობას.



გემთსამოდელო ლაბორატორიაში

. ახლა ეს წამოიწყეს: რაკიღა თავად ბაზა გაულარიბდათ, ისევ დედაქალაქის სკოლების ტექნიკურ ბაზებს დაუტრიალდნენ. კადრებსა და კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას ახმარენ, თითოეულის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და გასაქანს სწავლობენ.

ცენტრის ახალი დირექტორი მერაბ სანიკიძე ფიზიკოსია და ეს, სხვას თუ არაფერს, პრობლემებისადმი არაორდინალურ დამოკიდებუ-

მბრიჯ-ლინქთან“ კონტაქტიც აბედვინებთ. ამ ცენტრის დირექტორისა და კომერციული დირექტორის ევერ ვიდიამსონისა და საიმონ ველპაუზის საქმიანი კეთილმოსურნეობაც ბევრ საგულისხმოს ჰპირდებათ.

როგორც ყველა ფიზიკოსს, ბატონ მერაბსაც მრავალი საინტერესო იდეა და ჩანაფიქრი არ ასვენებს. იგი ოცნებობს, შექმნას ბავშვთა ტექნიკური განათლების დაწესებულება, საფეხურეობრივი სწავლებით. სწამს თავის

მაგრამ გეგმები გაცილებით უფრო შორსაც მიდის. ეს არის ბავშვთა საგამომგონებლო ცენტრი — ყმაწვილების იდეების, ტექნიკური ნიჭიერების ერთგვარი ბანკი, რომელიც თავს მოუყრის ბავშვთა ყველა გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებას. ასეთ ცენტრებს ევროპა უკვე იცნობს და სასიამოვნო იქნება, თუ საქართველოც მათ რიგში ჩადგება.

ახლა კი, ორიოდე სიტყვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტთან და თსუ ფიზიკის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებულ ერთ ასპარეზობაზე, რომელმაც ზუსტ მეცნიერებათა მოყვარული ყმაწვილების ცაოველი დაინტერესება გამოიწვია. ეს გახლავთ ნორჩ ფიზიკოსთა პირველი რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც ამ გაზაფხულზე ჩატარდა სამეცნიერო-შემოქმედებითი ცენტრის შენობაში და ბავშვთა არაორდინალური მეცნიერული აზროვნება და შემოქმედებითი ნიჭიერება გამოავლინა. დასანანია, რომ ტურნირის ფინალურ შეხვედრას დააკლდა პირველი ტურის მონაწილე ერთი უძლიერესი გუნდი —ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლიდან (სამწუხაროდ, თბილისში ჩამოსვლა ვერ გარისკეს). ასე რომ, ფინალურ შეხვედრაში ექვსის ნაცვლად ხუთ გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა, რომ არა რუსთაველი აკაკი მელიქიძე. ამ 14 წლის ყმაწვილმა, რაკი იგი უკვე თსუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელი იყო, მთელი ხუთკაციანი გუნდი შეცვალა და კონკურსგარეშე იასპარეზა ტურნირში.

ოლიმპიადების იდეალურად მყუდრო საწერ გარემოს შეჩვეულ ჩვენს ყმაწვილებს განსაკუთრებით მოსწონებიათ საჯარო პაექრობის ფორმა, ის ცოცხალი და მოულოდნელობებით დამუხტული გარემო, რომელმაც მთელი მათი იმპროვიზაციულობა და ფანტაზია გამოავლინა. ტურნირის ფინალურ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის, 25-ე ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის, თბილისის 77-ე და რუსთავის მე-12 საშუალო სკოლების ნორჩ ფიზიკოსთა გუნდები. პირველი ადგილი დაისაკუთრა 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის გუნდმა (გუნდის ხელმძღვანელი — სკოლის ფიზიკის მასწავლებელი გია კაკაბაძე), მეორე ადგილი — თსუ ფიზიკა-მათემატიკის სკოლისა (ხელმძღვანელი — თსუ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი თემურ ათანელაშვილი) და მესამე ადგილი 25-ე ფიზიკა მათემატიკური გიმნაზიის (ხელმძღვანელი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ევგენი კიზირია) გუნდებმა.

ეს იყო აპრილის პირველ დღეებში, სულ რაღაც ორ კვირაში კი ნორჩმა ქართველმა ფიზიკოსებმა ახალი დიდი წარმატება იზეიმეს: მონაწილეობა მიიღეს ნორჩ ფიზიკოსთა მოსკოვის ღია პირველობაში. ამ ზაფხულს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელით, ეს არის ნორჩ ფიზიკოსთა მოსკოვის V საერთაშორისო ტურნირი, სადაც მათ უამრავ უცხოელ თანატოლთან პაექრობის საშუალება მიეცემათ.

ამ მაღალი დონის ასპარეზობისათვის საქართველოს ტურნირში მონაწილე გუნდებიდან შერჩეულია ხუთი საუკეთესო ნორჩი ფიზიკოსი. საქართველოს ამ ნაკრები გუნდის წევრები არიან თბილისის 25-ე ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მოსწავლეები — თემურ ქრისტინაშვილი, მიხეილ ვოროპაევი, ვიტალი კროიეეცი, და თსუ ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები — მამუკა კატუკია და ამირან ხუსკივაძე. გუნდის ხელმძღვანელია ევგენი კიზირია.

მაშ ასე, კვლავაც წარმატებები... წარმატებები, წლების მანძილზე თავს რომ აჩვევდნენ საქართველოს ნორჩთა სამეცნიერო და ტექნიკურ შემოქმედებას. და კიდევ ის, რომ... არ არსებობს იმის გამართლება, სულ უფროდაუფრო რომ ვერ ვიცლიან ჩვენი შვილებისათვის. არადა — ისინი იზრდებიან და ასაკის მატებასთან ერთად, სხვას თუ არა, იმ ელემენტარულ ხელშეწყობას მაინც ითხოვენ, რაც, ვერ ვიტყვი, რომ სამყოფი, მაგრამ დღევანდლამდე მაინც ჰქონდათ, რადგან მათ გამოკვებაშემოსვაზე ზრუნვით გამოღლილებს ხშირად ლამის შეუცნობელი გვრჩება მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების მთელი რიგი მხარეები, წლების შემდგომ მათ ინტელექტუალურ სიბერწედ და პიროვნულ სიღარიბედ რომ შეიძლება შემოგვიტრიალდეს. ასეთ ვითარებაში, ალბათ, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ხელის გამოღებაა. ისევ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვთა შემოქმედებითი ინტელექტის ამ გუშინდელ თავშესაფრებს — სკოლისგარეშე დაწესებულებებს — ჩვენი მეცენატობით, მორალური მხარდაჭერით, თბილი, გულწრფელი დამოკიდებულებით, ან, თუ გნებავთ, ისეთი ერთჯერადი მატერიალური ხელისგამართვითაც, როგორიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასწია სამეცნიერო-საწარმოო ცენტრმა „ირაომ“.

ნინო ხარაზიშვილი

სურენ ვართანესოვის ფოტო



რადიოელექტრონიკის ლაბორატორიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო ავტორაღი

ალექსანდრე ლორია

მხატვარი ედ. ამბოკაძე

მოთხრობა

გურამს მაშინვე გამოეღვიძა, როგორც კი დაუძახეს. საწოლი ზედ ღია ფანჯარასთან ედგა. ოდნავ წამოიწია და გარეთ გაიჭვრიტა. ჭიშკრის გადაღმა, ქვიტკირის ყრუ კედლის იქით, გაჩეჩილ თავს მოჰკრა თვალი. მიხვდა, ვინც იყო.

უსიამოდ შეიშმუშნა.

— ახლავეო, — ხმადაბლა გასძახა და ზანტად წამოდგა. დაუდევრად ჩაიცვა შარვალი, ფლოსტებში გაუყარა ფეხები და წელსზემოთ შიშველი გავიდა გარეთ.

მზიანი დილა თენდებოდა, ხალისიანი, ხასხასა, გრილი. ეზოს ჯერ კიდევ ეძინა.

ჩაიარა მორყეული ხის ძველი კიბე, რომელიც ფეხის ყოველ დადგმაზე სასწორის პინასავით ირწეოდა, და ჭიშკრისაკენ გაემართა.

სტუმარი არ შემოჰყვა ეზოში. იქვე, მისალმების გარეშე, ჯიქურ ჰკითხა:

— რას მიშვრები, ბიჭო, ყელი გინდა გ.ბომჭრა? რა ვუთხრა იმ ხალხს?

გურამმა უსიამოდ მოიქექა კეფა. შუბლი დაეღარა. ვერაფერი იპოვა სათქმელი. იდგა თავდახრილი, შერცხვენილი. მაინცდამაინც არც სტუმარს ეტყობოდა შემართება: საყვედურობდა, მაგრამ მახვეწარს უფრო ჰგავდა, ვიდრე მომდურავს.

— დამღუპე და ეს არის... — თვალს ვერ უსწორებდა მასპინძელს. — მე შენი იმედი მქონდა. გეთქვა მაინც დროზე, ძალა ხომ არ დამიტანებია? რა ვქნა ახლა?

— ძალა არა, მაგრამ... — ბუზღუნით შემოხედა ერთბაშად გამოფხიზლებულმა ბიჭმა და შეტი აღარ გაუგრძელებია, თუმც ისედაც ცხადი იყო ყველაფერი: ზოგჯერ ისეთ დღეში ჩაგაგდებენ კაცს, ისე მოგამწყვდევენ, დაძალებაზე შეტიცაა. განა ასჯერ არ უთხრა, არაო, მაგრამ გაუვიდა?.. ესაო, ისაო... — არ ეშვებოდა დალოცვილი, და რა ექნა? „ჰო, ვ.ახოთო“, — წამოსცდა ბოლოს, საშველი რომ არ გაართვა, მაგრამ ეს თანხმობას ხომ არ ნიშნავდა?

არადა, რა უნდა ქნას მაგ უბედურმა? ცხადია, სხვა გზა არა აქვს, მაგრამ... არა, ასე მაინც რამ გააგიჟა ეგ ოხერი? ამოდენა ფულზე თამაში გაგონილა?

გუნებაში კიცხავდა თვალზე ცრემლმომდგარ ძმაკაცს, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერს ეუბნებოდა. ის კი არა, ეცოდებოდა კიდეც.

„გაზაფხულზე ჯარში უნდა გაიწვიონ და ნეტა იქ რას იზამს ეს საწყალი“? — გაიფიქრა გუნებაში და მთლად მოულოდნელი, იმედგადაწურული სტუმარი ისე შეათვალიერა, თითქოს ჯერ არ ენახოს.

მასზე საკმაოდ მაღალი იყო, ტანწვრილი, გამხდარი, კისარწაგრძელებული, ავადმყოფური იერის, თუმცა საკმაოდ ლამაზი პირსახით. მუდამ შეუკრეჭავი, დაუვარცხნელი თმები უკან მხრებამდე ჩამოვრძელებოდა. ტანზე შემოტმასნილი შავი ჟორსეს ხალათი თითქმის ჭიპამდე ჩაეხსნა და ჩავარდნილ მკერდზე ვერცხლის ძეწკვზე გამობმული საკმაოდ დიდი ჯვარი უჩანდა, მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულებით. უცნაურ ვენზელებამოტვიფრული აბზინდიანი ბრტყელი ქამარი ფომფლოდ შემოერტყა გახუნებულ ჯინსის შარვალზე და ისეთი გათელილი, მწვირიანი, ფერდაკარგული ფეხსაცმელი ეცვა, ჰილიგრიმიც რომ არ იკადრებდა.

გუნებაგაფუჭებული გურამი დაბნეული შებრუნდა შინ. დედა უკვე ამდგარიყო, თავისი ლოგინი აელაგებინა და ახლა გურამისას ასწორებდა. ეტყობოდა, არ იყო კმაყოფილი დილაადრიანი ვიზიტით.

— რა უნდოდა, რას დაგეძებდა? — ბუზღუნებდა და თან საბანს კეცავდა საწოლზე. — ათასჯერ გითხარი, დაანებე მაგასთან სიარულს თავი-მეთქი. რა საშენოა: თითქმის კაცია უკვე, რას ნახულობ ნეტავ საერთოს? ეგ რომ კარგი კაცი იყოს, ახლა სოფელში უნდა ტრიალებდეს დედ-მამასთან. საწყალი მამამისი წელს იწყვეტს მაგისთვის, ეგ კი...

გურამი გულში ეთანხმებოდა დედას, მაგრამ ხმამაღლა მაინც დაიცვა ბიჭი — რა ქნას, სწავლა უნდაო.

— ჰაი, სწავლა და შავი ქვა მაგას!.. — გაწყრა დედა. — მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაეხეტება ვიღაც ვიგინდარებთან. სწავლა რომ სდომებოდა, რა, აქამდე ვერ დაამთავრებდ. მაგ პროფტექნიკუმს? მშვენიერი ხელობა ექნებოდა. დაბრუნებულიყო შინ და რამეში წადგომოდა იმ კაცს.

გურამს არაფერი უპასუხნია დედისთვის. წყნარად აიღო საპონი და ჯაგრისი, პირსახოცი მხარზე შემოიგდო და კიბე ჩაირბინა ონკანზე პირის დასაბანად. მეზობლის სახლის ფანჯრიდან მზერა იგრძნო და აილეწა. კარგად იცოდა, ვინ იქნებოდა. ასეა ყოველ დილით: ისე იჭყიტება, ისე უყურებს ბიჭს, თითქოს არ ენახოს, როგორ იბანს ადამიანი პირს. არ უნდოდა, მაგრამ უნებლიედ მაინც მიიხედა იქით.

— რას შემომჩერებიხარ? — წყრომით უთხრა.

— გიშლი ხელს? — ირონიული ღიმილით იკითხა ქალიშვილმა, ფარდა გადასწია, რაფას მოხერხებულად დაეყრდნო იდაყვებით და ჯიბრზე მიაჩერდა. პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო: — ისე, რატომ გგონია, რომ შენ გიყურებ? რა საყურებელი შენა ხარ: ჯუჯა, ცხვირგაბრტყელებული... თმა მაინც შეგეკრიჭა, რას გავხარ!.. ამ გაზაფხულზე რომ იყავი პარიკმახერთან, მერე პირი აღარ გიქნია იქით.

— ოჰ, თორემ შენ არ მყავდე ახლა კინოვარსკვლავი! — ფრუტუნით უპასუხ. ბიჭმა და პირსახოცი მიიფარა სახეზე. რომ შეატყო, ამით მაინცდამაინც ვერაფერი აწყენინა, თვითონვე გაეღიმა თავის თავზე — ერთი, მეც კარგი ხვი-

თო ვარ, რას ავყევი მაგ ცერცეტასო და წასვლა დააპირა, მაგრამ ქალიშვილის ხმა დაედევნა და შეაჩერა:

— ჩხაკუნა, რა უნდოდა ამ დილით შენთან იმ კრეტინ ბედოს?

— რა და, ნონა უნდა მომატაცებინოო, — გაეცინა გურამს.

ქალიშვილი აიტკიცა, თვალებში ელვამ გაკვესა, ტუჩები ზიზღით მოკუმა. ნელ-ნელა გაიმართა წელში, ახლა ხელისგულებითდ აეგჯინა რაფას და იმდენად გადმოიზნიქა, თითქოს ცოტაც და, გადმოვარდებაო. ეტყობოდა, გულისძვრის დამორჩილებას ცდილობდა. აშკარად აჩნდა სახეზე წყენისა და შეურაცხყოფის კვალი.

გურამს მაშინვე გაუქრა სახიდან ღიმილი. აღარაფერი ესაქმებოდა ახლა აქ, პირის ბანას მორჩა, მაგრამ რატომღაც ფეხს ვერ იცვლიდა. იდგა და გაურკვევლად, უაზროდ შეაცქეროდა აწეწილ ნონას. თითქოს ახლა უფრო დიდი, დასრულებული მოეჩვენა იგი, დაქალიშვილებული. უცებ აღმოაჩინა, რომ ეს ის ახტაჯანა გოგო აღარ არის, ადრე თმებში რომ სწვდებოდა და აწვალებდა. არეული გაეშურა სახლისკენ. კიბესთან წამოეწია ქალიშვილის ცივი ხმა:

— ჩხაკუნ, შენ ის ბიჭი კარგს არაფერს დაგმართებს, იცოდე!..

მთელი დღე უტრიალებდა თავში ეს სიტყვები. ვერც გოგოს განაწყენებულ სახეს იცილებდა.. წამდაუწუმ ელანდებოდა მისი ღიდრონი შავი თვალები, საყვედურითა თუ რისხვით აღვსებული.

წავიდა თუ არა დედა სამსახურში, მაშინვე სახელოსნოში ჩავიდა — სარდაფში — და ჩვეულებრივ შეუდგა ჩხირკედელაობას: რაღაც დეტალს ამუშავებდა თავისივე ხელით დამზადებულ სახარატო დაზგაზე. დღეს კლიენტს ელოდა მანქანის გასამართავად და არ უნდოდა, პირი შეეშალა, ისედაც ყველა საყვედურობს ხელოსნებს, უპირო ხალხიაო.

ის იყო, ნაწილის აწყობას შეუდგა, რომ სარდაფის მომცრო სარკმლიდან ეზოში ნონა შენიშნა. სარეცხი გამოეტანა გასაფენად. ენერგიული, სერიოზული სახით საქმიანობდა. აზრადაც არ მოსვლია, ასე ახლოდან თუ უთვალთვალებდა ბიჭი.

გურამს ათასჯერ უნახავს ეს გოგო ამ პატარა ეზოში, სადაც ოთხი თუ ხუთი მოსახლეა. ყველა შინაურულად უცქერის ერთმანეთს და ბიჭს არასოდეს მოსვლია აზრად, სხვა თვალით შეეხედა ამ გოგოსთვის. ახლა რა ეშმაკი ეცა? ღვას და გაშტერებული შეჰყურებს. ის კი აუჩქარებლად საქმიანობს თავისთვის, თანც, თითქოს, უდარდელად ღიღინებს კიდეც.

ახლა გაახსენდა, ამასწინათ ბედომ როგორ ჩაიქირქილა, ნონას რომ შეასწრო თვალი, „ეს რა კარგი ჩიტი გყოლიათ ეზოშიო“, და რატომღაც უცებ ცეცხლი მოედო სახეზე. მაშინ კი ყურადღებაც არ მიუქცევია ამისთვის.

სასწავლებელში წასვლამდე კიდეც გამოჩარხა, რაც უნდოდა, კლიენტი რომ მოვიდოდა, დაუყოვნებლივ გამოცვლიდა დეტალს. ერთ-ორ თუმანს გამოართმევდა და დედას ვალს დაუბრუნებდა, ამ სამი დღის წინ რომ გამოართვა. ანჭარებით გამოიკეტა კარი, სწრაფად გადაიბანა ხელები ონკანზე და შინ შეირბინა. ისაუზმა და ჩაცმას შეუდგა, თან ცალი თვალი ფანჯრისკენ ეჭირა, საიდანაც კარგად მოჩანდა ნონას სახლის ერთი მხარე და კარი. თითქოს ჩქარობდა, თუმცა, რატომღაც, მაინც ითრევდა ფეხს. ბოლოს ყველაფერს მორჩა, წასვლას კი მაინც არ დაყენა საშველი. ლოგინიდან ახლახან წამომდგარმა დამ კიდეც შენიშნა — „რას ფოთიალობ ამდენს, რატომ არ წახვალო“, მაგრამ ხმა არ გაუცია მისთვის. უაზროდ მიდი-მოდიოდა, რაღაცას დაეძებდა და ვერ პოულობდა.

ის იყო, ნონა გამოვიდა მხარზე გადაკიდებული ჩანთით, რომ გურამმაც „იპოვა“, რასაც ეძებდა, დაავლო რომელიღაც წიგნს ხელი და გარეთ გავარდა. „უნებლიეთ“ შეეფეთნენ ერთმანეთს და რაღა ექნათ, ერთად გაუდგნენ ეზოდან. გზა ერთი ედოთ კარგა მანძილზე. სხვა დროს ყოველთვის ახერხებდა, ნონას თანამგზავრობისაგან თავი დაეღწია, მაგრამ დღეს როგორღაც არ მოხერხდა ეს.

ერთხანს გაბუტულებივით მიდიოდნენ. გურამს ერთი სული ჰქონდა, იქნებ ნონამ წამოიწყოს რამეზე საუბარიო, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, გოგო ჯიუტად დუმდა. ბოლოს, მათი გზების გასაყარი რომ გამოჩნდა, ისევ ნონამ იკადრა ხმის ამოღება:

— დღეს რაღაც სულ სხვაგვარად გამოპრანჭულხარ, ჩხაკუნ, თმაც დაგივარცხნია... რაშია ნეტავი საქმე? — ეშმაკურად შეხედა თვალებში ბიჭს და შინაურულად გაუღიმა. — იცი, როგორი გაბღენძილი ხარ? ვინმემ რომ დაგინახოს, სიცილით მოკვდება.

— ე-ეჰ! — არტისტულად ამოიოხრა გურამმა. რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. ნელა მიაბიჯებდა თავწაგდებული.

— იფ, რა ლამაზად ოხრავ! — დასცინა ქალიშვილმა. — თითქოს იმ კრეტინ ბედოს კი არა, შენ წაგეგოს ხუთი ათასი მანეთი.

გურამი მოულოდნელობისაგან შეხტა და გაქვავდა. ნონამ რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო და ისიც გაჩერდა, სერიოზული სახით შემოხედა, თითქოს ეუბნებოდა, მე არაფერი გამომეპარებაო, და თან დასტურს მოელოდა.

გურამმა ძლივს ამოღერღა, ჭორებიაო.

— აბა, მაგა დაიფიცე! — თვალებში შეაჩერდა გოგო.

ბიჭს ლოყები აეწვა. მომწარო ნერწყვი დაადგა ყელზე, ძლივს ჩაყლაპა და მძიმედ ამოიქშინა. ქალიშვილმაც უხერხულობა იგრძნო, მიხვდა, არ გამოუვიდა კარგად, სავსებით უადგილო იყო ახლა გურამის მამის ხსენება. ხმადაბლა, თბილად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ჩხაკუნ, შენ რა გესაქმება, ბიჭო, იმასთან? ერთი უსაქმური ვინმეა... გადარევასაა ვარა დეიდა. გუშინ დედას ეუბნებოდა, ის ბიჭი თუ არ ჩამოვაშორე მაგას, დამიღუპავს ნამდვილადო. რატომ არ გინდა, ნაღდ საქმეს მოეკიდო? მამაჩემი სულ იმას ამბობს, ოქროს ხელი აქვსო. თუ დამთანხმდა, ტაქსს გავანებებ თავს და ერთად ვიმუშავებთო. დაუჯერე, ბიჭო, გახსენით მაგ თქვენს სარდაფში სახელოსნო — ახლა ყველას აძლევენ მაგის ნებას — და შეუდექით საქმეს. წელს, იქნებ, ეგ პროფიც მოახრჩო როგორმე და სადმე სამსახურშიც დადგე. შენნაირებს სანთლით ეძებენ. აბა, გინდა, ბედოსავით ფულზე თაბაშით იცხოვრო?

რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გურამმა აღარ ადროვა, ცნობისმოყვარეობით ანთებულმა მზერა ვერ გაუსწორა, ისე შეეკითხა, შენ საიდან გაიგე ესო.

— რა შენი საქმეა? — არ ტყდებოდა ნონა.

— კი მაგრამ, რატომ გითხრეს, რომ ხუთი აქვს წაგებულიო?

— მაშ რამდენი?

— სამი, — ისე ამოიხვნეშა ბიჭმა, თითქოს მას დაკარგოდეს ამდენი ფული.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, ხანაც შედგებოდნენ და ისე განაგრძობდნენ ლაპარაკს. გურამი სულ უფრო და უფრო გულახდილი ხდებოდა, მაგრამ იმაში მაინც არ გამოტყდა, ბედოს რა საქმე ჰქონდა მასთან.

— ხომ ვიცი, რაღაც უნდა შენგან, — არ ეშვებოდა ნონა. — როდის იყო, ასე ხშირად გაკითხავდა? მაინცდამაინც რაღა ახლა დადის, ფული რომ წააგო? სხვა რა უნდა სჭირდებოდეს შენგან, თუ არა დახმარება?

— მე რა ფული მაქვს, იმას რომ დავეხმარო?

— გაჩერდი! მე რას მომატყუებ? — შეუტია ნონამ და

მკლავში ჩაავლო ხელი. ისე მოუჭირა თავისი ძვალმსხვილი, ძლიერი თითები, რომ ბიჭს ეტკინა კიდეც და ძალისძალად გაითავისუფლა მარცხენა.

— გადაირიე? — გაკვირვებით შეაჩერდა გოგოს.

— შენს ხელში მართლა გადაირევა კაცი! — მზრუნველი, მაგრამ მკაცრი კილოთი უპასუხა მან და განაგრძო: — ჩხაკუნ, შენ კარგად იცი, ამ ქვეყანაზე უამრავი ფულია, საქმე მისი შოვნაა... ვინ რა გზით შოულობს და ვინ — რა გზით...

— რა გინდა მაგით თქვა?

—თავადაც კარგად იცი, რაც. იმას შენ საქმისთვის

სჭირდები. რაღაც უნდა გაგაკეთებინოს. ჰოდა, დაფიქრდი, შარში არ გაეხვიო.

გურამი განიარაღებულად გრძნობდა თავს. ახლა მხოლოდ ის აინტერესებდა, საიდან იცოდა ამ გოგომ ასე კარგად ყველაფერი. ვიღაც-ვიღაცებში ეჭვიც კი შეეპარა, ხომ არ დაგვაბეზღესო, მაგრამ საბოლოოდ ვერავიზე შეჩერდა. საქციელწამხდარმა, ისევ ხუმრობითა და სიტყვის ბანზე აგდებით სცადა, თავიდან აეცილებინა უსიამოვნო ლაპარაკი, მაგრამ არ გამოუვიდა. ამან კიდევ უფრო გააგულისა ქალიშვილი. კუთხესთან რომ მივიდნენ, სადაც მათი გზები იყრებოდა, ნონა შედგა, წარბები შეკრა, დიდრონი შავი თვალებიდან ნაკვერცხლები დააკვესა:

— შენ ხუმრობ და მე სულაც არ მეხუმრება, — ისეთი მტკიცე ხმით უთხრა ბიჭს, გურამი შეკრთა კიდეც. — იცოდე, რამე ისეთი არ გააკეთო, დედაშენს ყელი გამოსჭრა, ყველას სირცხვილი გვაჭამო და შენც საქმე გაიფუჭო: თავს წაგაცლი... ცოცხალს არ გაგიშვებ!..

იდგა ასე, გამეხებული, ბიჭზე ოდნავ მაღალი, მკლავებ[illegible] ძლიერი მხრებითა და მკლავებით, მოკუმული [illegible] ისეთნაირად შემართული, თითქოს ახლავე უპირებდა გაკერპებულ ბიჭს თავის წაგდებინებას. ის კი იდგა გახევებული და გაშტერებული მისჩერებოდა გულმოსულ ქალიშვილს. რატომღაც სულაც არ აშფოთებდა მისი ასეთი გაგულისება, თითქოს მოსწონდა კიდეც. ჩაფიქრებული იდგა, დაბნეული იღიმებოდა და არ იცოდა, რა ეპასუხნა. იდგა მოჯადოებულივით და თვალის დაუხამხამებლად შეჰყურებდა აელვარებულ გოგოს.

ნონა უეცრად აჩქარდა. რაღაც ჩაიბუზღუნა უკმაყოფილოდ და სწრაფად მოშორდა იქაურობას.

გაბრუებული ბიჭი მხრებჩამოყრილი დარჩა, ნირწამხდარი და დაბნეული. რომ გამოერკვა, ქუჩის შეორე მხარეს ბედო დაინახა. ჯიბეში ხელებჩაწყობილი იდგა და ელოდა. მიხვდა, იმის დანახვამ რომ აშალა ასერიგად ნონა. სცადა გოგოსთვის ერთხელ კიდევ შეეკვლო თვალი, მაგრამ იგი აღარსად ჩანდა.

2

გურამმა თავისი „ჯიპი“ ხელით გამოაგორა გარაჟიდან ქუჩაში. მანქანა უმეტესად აქ გამოჰყავდა ხოლმე გასარეცხად თუ გასამართავად, თორემ სარდაფში ისეთნაირად ბნელოდა, მხოლოდ ელექტრონის შუქზე თუ იმუშავებდა კაცი. ქუჩაში კი, დღის სინათლეზე, უკეთ ჩანდა ყველაფერი. ხშირად კლიენტებსაც აქ ემსახურებოდა, თუკი მანქანა ორმოზე შესაყენებელი არ იყო.

თავისი „ჯიპიც“ ნახევრად აქ შეაკოწიწა. მამამისმა დაიწყო, მაგრამ არ დასცალდა. განთქმული ხელოსანი იყო, მშრომელი, დაუღალავი. სამუშაოდან რომ დაბრუნდებოდა, ისადილებდა თუ არა, მაშინვე სახელოსნოში ჩადიოდა და გვიან ღამემდე იქიდან ფეხს არ გამოადგამდა ხოლმე. გურამი მამის მარჯვენა ხელი იყო, დაუღალავი თანაშემწე. თითქმის ჩვილობიდან დაინტერესდა მანქანით, მექანიზმებით, მართვით, ავტოდიზაინით... რაღაცას მოიფიქრებდა მამა-შვილი და მერე თვეობით გადაყვებოდნენ მის გაკეთებას. ორჯერ პრემიაც კი მიიღეს თვითნაკეთი მანქანების კონკურსზე. მერე გაყიდეს ის მანქანები და საკმაო ფულიც აიღეს. ახლაც თითქმის იმ ფულის ნარჩენებით სულდგმულობს ოჯახი. გურამს გული სტკიოდა, რომ ამ „ჯიპის“ დასრულება ვერ მოასწრეს. მათი ჩანაფიქრით, ეს პატარა საველე მანქანა ნამდვილი ყველგანმავალი უნდა ყოფილიყო და, კაცმა რომ თქვას, ასეთიც გამოვიდა. მართალია, ჩონჩხი მთლიანად გამართული არ არის, შესაფერისი კაპოტი ვერ შეიძინა, ძვირი დაუფასეს, მაგრამ სავალი ნაწილები საათივით აქვს აწყობილი. რაღაცნაირად მოახერხა და შეაკოწიწა სალონი, ბრეზენტით გადახურა და ისე ამაყად დააქროლებს ქუჩაში, თითქოს პრეზიდენტის ლიმუზინი იყოს.

ის იყო, დაზეთვას მორჩა, ბედო წაადგა თავს.

— რა დღეშია ჩვენი „პანტერა“? — იკითხა და სიყვარულით შეათვალიერა „ჯიპი“. თვალები სიამით უკრთოდა, იმედიანად და ხალისიანად გამოიყურებოდა.

— რიგზეა. „დუბლები“ დავუყენე შიგნით. მართალია, ცოტათი კი დააძძიმა, მაგრამ, სამაგიეროდ, რომც გადაბრუნდეს, სალონს არაფერი მოუვა.

ბედომ ხელი შეავლო დურალუმინის დამცავ მილებს.

— ეს, ძმაო, სულაც რომ დაგორდეს გორიდან, არაფერი დაემართება, ოღონდ სკამზე კი უნდა იყო მაგრად მიბმული.

— ჰო, სარტყლებიც დავამაგრე... ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა, — თავმომწონედ გადახედა თავის „პანტერას“ გურამმა. — ახლა ერთი სამი კანისტრა გვინდა,

ორი მაქვს. ერთს ამხანაგი დამპირდა, საღამოს მომიტანს.

ორივენი მდუმარედ ათვალიერებდნენ უცნაურ მანქანას, რომელიც, კაცი ვერ გამოიცნობდა, რა მარკის უნდა ყოფილიყო თავის დროს. ამერიკული „ჯიპების“ ომისდროინდელი გამოშვების ფუძე იყო გამოყენებული ახალი „ხიდით“, დანარჩენი კი, ვინ იცის, საიდან და როგორ ჰქონდათ შეკრებილი და შეკოწიწებული. ნამდვილი ჯოჯო იყო: პატარა, დაბალი, მოკლე და ბრტყელცხვირა. კარები არ ჰქონდა, კაბინა და ძარა გაერთიანებული იყო და მხოლოდ ზევიდან თუ ჩახტებოდი შიგ. ერთი სიტყვით, ასეთ საფრთხობელას მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებოდი. განსაკუთრებით სასაცილოდ გამოიყურებოდა წინ დამაგრებული ორი უზარმაზარი შუქფარი.

მიუხედავად ამისა, ავტომოყვარულებს ჭკუას აკარგვინებდა. მანევრირებასა და გამწეობაში ბადალი არ ჰყავდა. კონკურსის ჟიურის ისე მოეწონა, მისი შუამდგომლობით ავტოინსპექციამ მოძრაობის უფლებაც კი დართო, ოღონდ ქალაქში, და, რა თქმა უნდა, სპორტული დანიშნულებით. მუშტარიც ჰყავდა. ერთი შვიდ ათასს იძლეოდა, მეორე უფრო მეტსაც. ვიღაც ავტოინჟინერი იყო, ის კიდევ ორ-ნახევარს მარტო ძრავში იხდიდა. რამდენს ემუდარა, როგორ ეღრიჯა, მაგრამ გურამი თავს გაყიდდა და „პანტერას“ ვერ შეელეოდა.

ბედომ შემოუარა „ჯიპს“, მუშტრის თვალით აზომ-აწონა და მოწიწებით ჩაიქნია თავი:

— მე მგონი, ჩვენს „პანტერას“ წინ ვერაფერი დაუდგება.

გურამს არაფერი უპასუხნია. ეტყობოდა, სულ სხვა ფიქრები აწვალებდა, რაღაცნაირად აწეწილი იყო, აფორიაქებული. დადიოდა და ყველა დეტალს სინჯავდა, თუმცა ყველაფერი ათჯერ მაინც ჰქონდა შემოწმებული. ბოლოს მიუჯდა საჭეს, მოხერხებულად მოერგო სავარძელს და სამართავი სისტემა შეათვალიერა. ბედოც მის გვერდით მოკალათდა.

— ხვალ დროზე უნდა გამოვცხადდეთ იმ პავილიონთან, ხომ იცი? — ხმადაბლა თქვა და წინდახედულად შეათვალიერა იქაურობა, ხომ არავინ გვისმენსო.

პატარა ბიჭუნები, რომლებიც უკვე კარგად იცნობდნენ ჩხაკუნას „ჯიპს“, მაინცდამაინც დიდ ინტერესს აღარ იჩენდნენ მისდამი და თავისთვის თამაშობდნენ მოშორებით. სხვა კი არავინ ჩანდა ირგვლივ.

— ბევრნი იქნებიან, თუ იცი? — ჩაფიქრებით იკითხა გურამმა, თან სინათლის ჩამრთველ ღილაკს უკირკიტებდა.

— რა ვიცი, — უდარდელად უპასუხა ბედომ და სიამით გადაწვა საზურგეზე.

— მალავენ ოხრები, — ბოღმით თქვა გურამმა. — რამდენჯერ ვკითხე იმ ღიპიანს, ფულს რომ იბარებდა, არაფრით არ მითხრა, ვითომ არც გაეგონოს.

— იმან შეიძლება მართლაც არ იცოდეს.

— შეუძლებელია. თვითონ აგროვებს ფულს და არ იცის, რამდენი კაცი მონაწილეობს?

ბედომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თვითონაც ჩაფიქრდა.

— ყოველ შემთხვევაში, მაგას ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, — დაეჭვებით ჩაილაპარაკა და სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა სახეზე, — მთავარია, ჩვენ ჩვენი ავიღოთ, დანარჩენი რა ჩვენი საქმეა? — მერე უფრო გამოცოცხლდა, მარდად შემობრუნდა სავარძელზე, მარცხენა ხელი საზურგეზე შემოდო, — იქ დაგვიანება არ შეიძლება. ხომ გახსოვს, როგორ გაგვაფრთხილეს: გასვლის დრო ცალ-ცალკე არ ინიშნება, ყველა ერთად გავდივართ და რამდენსაც ჩამორჩები, იმდენს შენვე იზარალებ.

— ჰოდა, მაგიტომ მაინტერესებდა, რამდენი ვიქნებოდით. ყველა ერთად ხომ ვერ შეიკრიბება იმ პავილიონთან სტარტზე? იქ რიგი ტალონებზეც იქნება, ვინც მიიღებს, მაშინვე გარბის. მე მეშინია, ზედახორა არ დაიწყოს.

— ყოველ შემთხვევაში, დიდი-დიდი, ათი წუთის ინტერვალი დარჩეს პირველსა და უკანასკნელად გასულს შორის.

— ათი წუთი ცოტაა? — გაწყრა გურამი, — ყოველ ას კილომეტრზე, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ათ წუთს იგებ, მეტს კი ვერა. სწორედ ეგაა, ჯამში მოგებას რომ იძლევა. შეიძლება, ათმა წუთმა გადაწყვიტოს ყველაფერი.

ბედო არ შედავებია. გადმოყო ფეხები კაბინიდან და გადმოხტა. ის იყო, გურამმაც დააპირა გამოსვლა, რომ ბედომ თვალი უყო და ჭიშკრისაკენ მიახედა, თანაც ხმადაბლა წასჩურჩულა:

— ის აფთარი იყურება. ერთი შეხედე, რას გავს!

ნონა ჭიშკრის სვეტს მიჰყრდნობოდა ზურგით, თავი მაოკენ მოებრუნებინა. და ისეთი თვალით იცქირებოდა, თითქოს შეჭმას უპირებდა ბიჭებს.

— რა უნდა, ერთი, რომ დაგდევს? — ვერ მოითმინა ბედომ, — რაღაც სხვანაირად გიყურებს მაგი შენ...

— კარგი ერთი! — მკვახედ შეაწყვეტინა გურამმა და მანქანა დაქოქა, გადაიფიქრა ჩამოსვლა. ვითომ ვერც კი დაენახოს ქალიშვილი, ამხანაგს მიუბრუნდა: — კარგი, როგორც მოვილაპარაკეთ... — უთხრა ჩუმად. — დროზე დაწექი და დაიძინე. დილის ექვს საათზე საერთო საცხოვრებლის წინ სარივით იყავ დარჭობილი. იცოდე, წამი არ მალოდინო.

ბედო უსიტყვოდ გაუყვა გზას.

გურამმა უკუსვლით შეიყვანა მანქანა გარაჟში, კარი შიგნიდან ჩარაზა და გვერდითა გასასვლელით სახელოსნოში დააპირა შესვლა, რომ იქიდან ეზოში გასულიყო, მაგრამ ფეხი შედგა თუ არა, შეცბა: დაზგასთან ნონა იდგა პატარა ჩაქუჩით ხელში და რაღაც დეტალს ჭარბი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

გურამი აირია, ბრინჯივით დაიბნა, აილეწა, უგერგილოდ გაეხირა კარში.

ნონამ ერთი ქუშად გამოხედა და ისევ რომელიღაც დეტალს დაუწყო ღირღიტი. მოიმარჯვა ჩაქუჩი და გამომწვევად დაიწყო რკინაზე მონოტონურად კაკუნი. ერთ ხანს ასე აკაკუნა უაზროდ, მერე ისე, რომ კაკუნისათვის თავი არ მიუნებებია, ცოტა არ იყოს, აგდებულად წამოიწყო:

— ჩხაკუნ, შენ რაღაც დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე, ხომ იცი... რაიმე მაინც იყო ისეთი... ხომ არ გგონია, ლამაზი ხარ, გიყდებიან შენზე ბოგოები? ამ ბოლო დროს ისე იბღინძები, თითქოს შენი ბადალი ქვეყანაზე არავინ დადიოდეს.

გურამს გაეღიმა. ისევ დაუბრუნდა ჩვეულებრივი განწყობილება: შინაურული, ამხანაგური. უცებ კიდეც გაუკვირდა, ამასთან რა მაქვს მოსარიდებელიო და თვალი თვალში გაუყარა.

— რა გინდა, ნონა? რამე ცუდი გამიკეთებია შენთვის?

— ჰი, ჩემთვის... — დაცინვით ჩაიქირქილა ქალიშვილმა. — ჩემთვის რა უნდა გაგებედა? მე, უბრალოდ, არ მინდა, საკუთარ თავს მიაყენო სიავე. ხომ ვიცი, მაგ ჯაბახანაში სული გიდევს, ზედ გადაჰყევი, და ახლა გაყიდო გინდა?

— რა უნდა გავყიდო, „პანტერა“? — გაუკვირდა გურამს, — ვინ მოგახსენა ეგ ამბავი, ქალბატონო?.. გადაირიე? სახლს გავყიდი და ამას არა. ერთი მადროვე, ვიშოვო, რა ნაწილებიც მინდა, და მერე ნახე, თვალს ვერ გაუსწორებ.

— თუ არ ყიდი, ასე რად გამოპრანჭე: სამი დღეა, ზედ გადაჰყევი.

— შეჯიბრებაზე ვავდივარ.

— ტყუილი!

— დედას გეფიცები!

— ერთბაშად, არ მომატყუო!.. ჰყიდი! იმ ბედოვლათ ბედოს გინდა ვალი გადაუხადო. ხომ ასეა? მე ვიცი.

— არა-მეთქი!

— ვარა დეიდამ თუ იცის ეს?

გურამი უცებ აფეთქდა. დედის ხსენებამ სულ აურ-დაურია დავთარი. კარგად იცოდა, ის თუ მის განზრახვას შეიტყობდა, გადაულახავ წინააღმდეგობად აღუდგებოდა და მაშინ ნამდვილად ჩაიშლებოდა მათი განზრახვა. ალმური მოედო სახეზე და, ცოტა არ იყოს, მწარედ გაჰკრა კბილი ქალიშვილს.

— შენ, მაინც, რა გინდა, ვერ გამიგია! ვინ დაგაყენა ჩემს აპეკუნად? ბოლოს და ბოლოს, მე უფროსი ვარ თუ არა შენზე?

— დიდი ამბავი, ერთი წლით... — შეაწყვეტინა გოგომ.

— გააჩუმე ენა!.. — უკან აღარ იხევდა ყმაწვილი, — შენ რა გგონია, წელს სკოლას ამთავრებ და მორჩა, დაბრძენდი, არა? ყველას შეგიძლია ჭკუა ასწავლო, ხომ?

ნონა ერთბაშად მოეშვა. გაუქრა წამისწინანდელი შემართება, მოლბა, თვალები დაენისლა. ლმობიერად შეათვალიერა ვაჟი და ამოიოხრა:

— ჩხაკუნ, ბიჭო, კი ხარ უფროსი და ვიცი, ბევრიც გინახავს, მაგრამ ხომ იცი, ჩემს მეტი შენი მიმხედვარი არავინაა... საწყალი ვარა დეიდა დილაადრიან რომ წავა ფაბრიკაში, შუაღამეზე ბრუნდება, ორ ცვლაში მუშაობს... თუ სახლშია, ოჯახს უნდება: ალაგება-დალაგება, სარეცხი, სახეხი, სადილი, ვახშამი... სული რომ შეუბერო, წაიქცევა, მე შენ გეტყვი, ის შენი ინეზა უშველის რამეში, ცხვირი რომ აუპრეხია და სულ იმ ბიჭთან დადის დღე და ღამე. იმას შენთვის სულაც არ სცალია. წლისთავს როგორც კი გადავუხდით მამას, ქორწილი გვექნებაო, დედაჩემს ეუბნებოდა... ჰოდა, ხარ ასე, კაციშვილმა არ იცის, რას აკეთებ, ვისთან მეგობრობ... მე, კიდევ, ყველაფერი ვიცი... ჰოდა, — ლითონი გაურია ხმაში, — არ მინდა, დაიღუპო. გესმის? არ მინდა, ცუდი რამე შეგემთხვას!

გურამი მოულოდნელად, თავის სურვილის საწინააღმდეგოდ, თავის მართლებასაც კი მოჰყვა:

— რა ვქნა,ნონა, ხშირად ხდება ისე, რომ მარტო შენს სურვილზე არაა ყველაფერი დამოკიდებული. შენ თვითონ მითხარი, რა ვუყო ბედოს? ნამდვილად შემიძლია, რაღაც რომ ვუშველო, და არ დავეხმარო?

— თავი გაანებე, გურიკო, მაგასთან მეგობრობას, რა შენი ტოლია? — სიყვარულით შეხედა თვალებში აღსარების სურვილაღძრულ ყმაწვილს ნონამ.

— არ შეიძლება! — გადამეტებული სერიოზულობით განაცხადა გურამმა, — კაცს შენი იმედი აქვს, დაპირდი, რაღაცას გიშველი. და... თანაც ნათესავია, უცხო ხომ არ არის? სოფელში რომ ჩავდივარ, დედამისი თან ეყვა ხოლმე, სულ იმას მეუბნება, შენთან იყოლიე, თვალყური მიადევნე, ჭკუა ასწავლეო... მე რომელი ჭკუის მასწავლებელი ვარ ამოდენა კაცის?

ქალიშვილმა მარილიანად გამოხედა.

— გურიკო, მე ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რაც პროფტექნიკუმში გადახვედი, სულ რომ გადასხვაფერდი. უწინ დაგელაპარაკებოდა მაინც ადამიანი, ჩვეულებრივი ბიჭი იყავი. ისე გამოიცვალე, კაცი ვერ გიცნობს. ჩაიკეტე, განმარტოვდი, გულჩათხრობილი გახდი. სულ დაივიწყე ძველი ამხანაგები... ყველას გვწყინს, ხელი რომ აგვაღე.

გურამს გული ყელს მოებჯინა. თავს ძალა დაატანა, არ აცრემლებულიყო.

— ნონა, შენ მაინც არ უნდა გიკვირდეს ეს... — ძლივს ამოილუღლუღა, — კარგად ხედავ, რაც დაგვემართა. ყველაფერი ჩემს კისერზეა ახლა. არ ვიცი, რა ვქნა. დედაჩემის ჯავრი მკლავს: ფაბრიკაში კი არა, საცა სამართალია, ახლა ეგ სანატორიუმში უნდა მკურნალობდეს. ხომ ხედავ, რას გავს, როგორ დადნა... — ცოტა დააკლდა, გული არ ამოუჯდა. უცებ ხელი ჩაიქნია და სახე აარიდა ქალიშვილს.

ნონას დაცვარულ შავქლიავივით შეუწყლიანდა თვალები, სულ ახლოს მივიდა ბიჭთან, იმდენად ახლოს, რომ მისი სახის სითბოც კი იგრძნო გურამმა. ვაჟმა ძლივს გაბედა შეეხედა მისთვის. უცებ მოეჩვენა, ამ ბნელ სახელოსნოში თითქოს ანთებდა ნონას სახე დიდი, ბრდღვიალა ცისკრის ვარსკვლავივით.

„პანტერა“ ღონივრად მიიწევდა მაღალი მთის ვიწრო გზაზე და უკან ნაცრისფერი მტვრის ბუქს ტოვებდა. სოფლებს კარგა ხანია გასცდნენ და, როგორც იქნა, ცნობისმოყვარე ხალხს დააღწიეს თავი.

აქაურობას უკვე დატყობოდა შემოდგომის ხელი. ალპურ მინდვრებს მორუხო ფერი გადაჰკრავდა, ბუჩქნარი წითელ-ყვითლად აჭრელებულიყო. ხელმარჯვნივ გოლიათი მთაგრეხილის ხერხემალი უკვე გადათეთრებულიყო, მარცხნივ შორეული დაბლობი კეკლუცი დედოფალივით გამოიყურებოდა მწვანე და ხახხასა მდინარეებითა და ტყეებით, ახალგაკრეფილი ვენახებით, ჩალისზვინიანი ჩაყვითლებული მინდვრებით, გზის ვიწრო სერპანტინებით, რომლებიც აქა-იქ წყდებიან და მერე ისევ გრძელდებიან ყოველი მიმართულებით. ლურჯად ჩამუქებულ უძირო ცაზე მზე კაშკაშებდა; ბარიდან კამკამით ავარდნილი ჭავლი მაღლა-მაღლა მიიწევდა და, მთის გრილ ნიავს შეერთებული, მქრალ ბურუსად იქცეოდა, რომელიც ერთგვარად ანელებდა ფერთა ჭარბ სიმკვეთრეს.

— არ მეგონა, აქეთ თუ ასეთი სისწრაფით ვივლიდით, — ერთგვარ დისონანსად გაისმა ამ ღვთიურ გარემოში ბედოს პროზაული სიტყვები. გურამმა უსიამოვნოდ შემოხედა უჩვეულოდ ამსუბუქებულ მეგობარს, რომელიც უდარდელად გადაწოლილიყო საზურგეზე. — ყველა ამბობდა, ძალიან ძნელი გზააო.

— ჯერ ადრეა მაგაზე ლაპარაკი, — მოუჭრა გურამმა და კიდევ უფრო ააჩქარა მანქანა, რომელიც საკმაოდ მსუბუქად სძლევდა დაკიდებულ აღმართებს. ისე იყო თავის თავში ჩაფლული, ლაპარაკი ეზარებოდა.

არ ეთქმოდა, ამ გზას ბრწყინვალედ ვიცნობო, მაგრამ არაერთხელ იყო ადრე ნამყოფი მამასთან ერთად და აქაურობის ავ-კარგსა და თავისებურებებში მშვენივრად ერკვეოდა. ისე, ბევრი კი არწმუნა ბედო, ამ გზით წამოსულიყვნენ: არაფრით არ უჯერებდა — საცა ყველა, ჩვენც იქაო, ჯიუტობდა.

ვისაც კი ჰკითხა, ამ ტრასის შესახებ ცუდის მეტი არავის არაფერი უთქვამს. ზოგმა ისიც კი უთხრა, მაგ გზით,

საერთოდ, ყულამდე — საიდანაც ბარისაკენ მიმავალი დაღმართი იწყება — მისვლა შეუძლებელიაო. მაგრამ ჩხაკუნა, აბა, რის ჩხაკუნაა, გზის შეეშინდეს! მტკიცედ იდგა თავისაზე: „მე ერთი გადასახვევი ვიცი აულებზე, საიდანაც მშვიდობიანად ჩავაღწევთ ყულამდე, მერე ან ურუსში გავალთ, ან აჩხოში, მერე კი გზა ხსნილიაო“. ბედოც მიენდო მის სიტყვას და ჯერჯერობით სანანებელი არაფერი ჰქონდა. ყველაფერი კარგად მოაგვარეს. თითქმის იმავე წამს გამოვიდნენ, როგორც კი ტალონი მიიღეს, ყველას დაასწრეს და ახლა დარწმუნებული იყო, პირველები უნდა ყოფილიყვნენ მიზანთან.

ამის გაგონებაზე გურამს გაეცინა:

— ჯერ ადრეა წიწილების თვლა. შენ რა იცი, ვინ როგორ მიდის? ეგეთი ლაპარაკი ნაადრევია.

— შენ არა თქვი, ჩვენი ყველაზე მოკლე მარშრუტიაო?

— ჰო, მაგრამ ძნელიც. დარწმუნებული ვარ, თიანეთიდანაც არავინ წამოვიდოდა, აბა ჩვენს კვალს ხომ არა და არ გამოყვებოდა და არც ყვარელ-ბეჟიტას მიმართულებას აირჩევდა ვინმე. მათი მანქანები აქეთ ვერ ივლიან... ნაღდად, ყველამ მცხეთიდან ამჯობინა — ყაზბეგი, ძაუ, ყარაბულახი... ჰოდა, ის ოხერი გოროზიც მერე... მართალია, მაქეთ კარგი გზებია უმეტესად, მაგრამ ჩვენი გაცილებით მოკლეა. თუ საკმაო სიჩქარით ვიარეთ, არა მგონია, ვინმემ მიგვასწროს.

— რაღა მაინც და მაინც ეგ დაწყევლილი გოროზი შეარჩიეს იმ შეჩვენებულებმა, ვითომ რაო? — უსიამოდ დ.ილრიჯა ბედო. — თუმცა ამის წინ რომ რალი იყო, ბოლო პუნქტად სოჭი დაუნიშნავთ, მაგრამ რად გინდა — ტრასა სავსეა ინსპექტორებით. მოგება სულ რაღაც ოვრამეტი ათასი გამოსულა. წელს, ხომ ხედავ, ოცდაათს ვარაუდობენ... მაგ ტრასაზე არაა ისეთი უბედური ამბავი, როგორიც სამტრედია-სოჭზე.

თუ არაფერმა შეგვიშალა ხელი... — ჩაფიქრებით გააგრძელა სიტყვა გურამმა და აღარ დაასრულა. ცოტა ხანს დუმდა. მერე ღიმილით შემოხედა ამხანაგს: — ე, ხედავ იმ შავ მთას, წვეროკინი რომ მოუთეთრებია? იმის იქით უნდა გადავიდეთ.

ბედომ მომდურავივით გახედა შორს, მთაგრეხილში ამოწვერილ კლდოვან მთას და დაეჭვებით დააკვირდა თანამგზავრს. იმას კიდევ ხალისიანად გაეცინა:

— აბა რა გეგონა? უნდა გადავხტეთ. ჰოპლა!.. თუ არა და, დაემშვიდობე პრიზს!

— პრიზს ვინ ჩივის, სიცოცხლეს არ დავემშვიდობოთ, — ვითომ ხუმრობით ჩაიდუდღუნა ბედომ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა ხმაში ბზარი.

— ეგეც არაა გამორიცხული. გზაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, — უდარდელად ჩაიღრიტინა ჩხაკუნამ.

ბედოს ზურგი გაუცივდა.

— ჰმ, — ნაძალადევად ჩაიცინა, შეეცადა, გურამს არ შეემჩნია მისი ნირის წახდომა, — აფსუსი არ იქნება ამდენი ფულის დაკარგვა? ხუმრობ? ოცდაათი ათასი!.. ა, ჩხაკუნ, ჩემი გული ვჭამე!.. — უცებ გამოცოცხლდა, თითქოს უკვე ჯიბეში ჩაედოს მოგებული ასმანეთიანები.

გურამი ისევ მოიღუშა.

— ისე, რაც გინდა თქვი და, დიდი ოხერი ხალხი კია... — დაუმატა და მანქანა მესამე სიჩქარეში ჩააგდო. გზა ცოტათი გავაკდა.

— რას იზამ, ყველა რაღაცას ჩალიჩობს ამ ქვეყნად.

— ასეთი რამ მაინც რამ მოაფიქრებინათ?

— რა, ცუდია? სამ ათასს ჩადებ, თუ მოიგებ, მთელი შემოსავლის სამოცი პროცენტი შენია...

— თუ არა და, ხომ კარგავ იმოდენა ფულს?

— მაშ როგორ? ლოტოსავით არაა? იმდენი კაცი დებს და ერთი იგებს. რისკის საქმეა, — ბედომ მეფისტოფლის ღიმილით შესცინა უხილავ კუპიურებს და სიამით გაიზმორა, — იმოდენა ფულს ჩაიდებ ჯიბეში!.. კაცი მაშინ იქნები! სამ ათასს იმ ქაჩალ ბავალოს მივაშავებ — დიდი შებერტყილი ვინმეა — რა მიყო, მაგის... დანარჩენიც ჩავიცვამ, დავიხურავ, ერთ კარგ დროს გავატარებ ჯარში წასვლამდე.

გურამმა უგემურად შემოხედა. უცებ გაუფუჭდა გუნება. ბედოს არ გამოპარვია.

— შენ რა, ჩემზე ნაკლებ დღეში იქნები? — თითქოს შეუტია, — ჩემზე მეტიც ხომ გერგება და... ოც ათასად, ძძაო, თბილისში პირველი კაცი იქნები ძმაბიჭებში. სულაც, რესტორანი შეგიძლია დახურო, როცა გაგეხარდება... რაც გინდა, ის აკეთო... ვაფშემ, მოისვენებ, რა!

გურამი ადვილად წამოეგო ანკესს:

— არა მჯერა რაღაც... ზღაპარი მგონია, — ისიც აჰყვა ოცნებას, — ჯერ იმ სამ ათასს დავაბრუნებ სალაროში... მერე დედაჩემს ისე გამოვაწყობ, ქალი არ დადიოდეს ჩვენს უბანში. ინეზას სამზითვოდ მივცემდი ნაწილს... კიბეს გამოვცვლიდი, მორყეული კბილივით რომ ყანყალებს. რემონტს გავაკეთებდი... სოფლის სახლისთვის ხის მასალას ჩავიტანდი, ფანჯრები სულ დამპალა...

ოცნება შორს გამოჩენილმა ფარამ შეაწყვეტინა. გაღმა გორაკზე, სადაც მათი გზა იდო, ცხვარი გაფენილიყო. უზარმაზარი ნაკადი პირდაპირ კვეთდა მათ სავალს. მეცხვარეები არც კი ნაღვლობდნენ, სწრაფად გადაეჭრათ გზა, რაკი აქ არავითარი ტრანსპორტი არ მოძრაობდა.

გურამმა აქედანვე მიაყვირა საყვირი მეცხვარეებს განზრახ საგანგაშოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ იმათ ყურიც არ შეიბერტყეს. სულაც გაჩერდნენ შარის კერპებივით და გაშტერებით შემოჰყურებდნენ შორიდან მომავალ უცნაურ მანქანას. ფარამაც შეანელა სვლა და ზედ რომ მიადგნენ, გზა გადატვირთული აღმოჩნდა. შეეცადნენ ნელი სვლით გასულიყვნენ თავისუფალზე და საყვირით აშინებდნენ პირუტყვს, რომ როგორმე გაეფანტათ, მაგრამ ამაოდ.

— საით, ბიჭო, საით? — გამოსძახა ერთმა დროულმა კაცმა, როცა ფარას დააღწიეს თავი, — მაქეთ საით გაგიწევიათ, რაი გეგულებათ?.. გზაი აღარ არი და კვალი... არც ვინმე ცხოვრობს მანდეთ... ეჰეი!..

ბიჭები,წაყრუებაში არ ჩაგვითვალონო, ხელის აქნევით გამოესალმნენ იქ მყოფთ და კვლავ აჩქარებით გაუყვნენ მტვრიან შარას.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ხან მაღლა იწევდნენ, ხან ქვევით ეშვებოდნენ, სიჩქარის შეუნელებლად გადიოდნენ დახრამულ რიყეს, ღელეებს, გუბეებს... წამით არ ანელებდნენ სვლას. სვლის დროს ჭამდნენ, სვამდნენ, ლაპარაკობდნენ, დუმდნენ, დაობდნენ, ფიქრობდნენ და არც ერთი წუთით არ ჩერდებოდნენ. რაც უფრო მეტად ეჭიდებოდა ცას საღამოს ბინდი, მით უფრო ჩქარობდნენ მთის შემოვლას, რომელიც ახლა უკვე მარცხნივ მოქცეოდათ. მათი ვარაუდით, ს.ღამოთი ყულამდე უნდა ჩაეღწიათ, საიდანაც ისეთი გზა ეშვებოდა ურუსმართანამდე, ღამითაც შეიძლება სვლა. გამთენიისას კი ურუსიდან უკვე ბედო წაიყვანდა მანქანას — სახიფათო აღარაფერი იქნებოდა, სარაიონო გზატკეცილი მიემართება კავკასიონის გავაკებაზე ბარისაკენ. მერე იქ უკვე ხელით მიწვდება კაცი გოროზს, მათ საცნებო პუნქტს. თუ ღმერთმა ინება და პირველები ჩავიდნენ, გამობრუნება უკვე დარიალითაც შეიძლება. სწორ გზაზე, ქალაქებზე ბედო ივლის, სახიფათო არაფერია. ინსპექციაც რომ იყოს, მართვის უფლება აქვს. ამ გზაზე ისინი წინ არავის გაუშვებენ, ასე რომ, პირველები დაბრუნდებიან. პრიზი მათი იქნება!

გურამს გაღიმა. გახედა ბედოს, რომელიც, სავსებით მოშვებული, გადაწოლილიყო საზურგეზე და მიუხედავად იმისა, რომ ოღროჩოღრო გზაზე ზამბარებდაჭიმული მანქანა საშინლად ინჯღრეოდა და ჯაჯგურობდა, თვლემდა.

მის შემხედვარეს, გურამსაც ერთბაშად მოეძალა დაღლილობა.

— მოდი, დაიძინო იქნებ, — უთხრა ჰაერგაპარულ გუდასავით მიგდებულ ბედოს. — დაისვენე. ყულს იქით შენ უნდა წაიყვანო მანქანა.

— ღამით? — უცებ გამოფხიზლდა ბედო, — გადაირიე? რამდენ დროს დავკარგავთ! მე შენსავით სად შემიძლია, ისიც სიბნელეში?

— ყულს იქით გზა კარგია, რისი გეშინია?

— კარგი კია, მაგრამ მე მაინც ისე ვერ წავიყვან, როგორც შენ. გათენებამდე გაძლო უნდა.

— ვერ შევძლებ. მაშინ ორი-სამი საათი მაინც უნდა დავისვენო... აი, ამ ხევს რომ გადავალთ, პატარა უღელტეხილია, იქ შეიძლება... ჩვენ სულ იქ ვისვენებდით — მე და მამა... ერთხელ მთელი ღამე დავრჩით, მანქანაში გვეძინა. ჩვენ ახლა გაცილებით უფრო ადრე ჩავალთ, ვიდრე მაშინ ჩავდიოდით. იქ დაღამებულზე მივდიოდით, ახლა კი მზეც არ ჩასულა ჯერ.

— დროს დავკარგავთ, — უხალისოდ, გაგრძელებულად ამოამთქნარა ბედომ, — არა მგონია, სხვებმა ეგეთი ფუფუნების უფლება მისცენ თავს... იმიტომაც მოდიან ორ-ორნი. ერთი ეკიპაჟი სამიანიც იყო, თუ შენიშნე.

— კი. მხოლოდ ის ერთი კაცი იყო მარტო, გახსოვს? ქვრივი, წვერმოშვებული. არ ვიცი რისი იმედი აქვს. გოროზში ჩახვიდე და უკან გამობრუნდე შეუსვენებლივ, რკინა

უნდა იყო კაცი. ეტყობა, ძალიან უნდა უჭირდეს. სხვებივით სახალისოდ არ ჩარეულა ამ საქმეში.

— ჰო, ალბათ. იქ ისეთი კაცებია, ფეხებზე ჰკიდია ერთი ფული — „აზარტნიკები“... ისე, ძველი შოფრებიც ბლომად ერევნენ. მართალი გითხრა, სწორედ მაგათ გააწყალეს მაშინ გული. ერთმანეთს არ აცლიან ტრაბახს. ეგენიც მონადირეებივით არიან: რას არ იგონებენ. გახსოვს, ერთი რომ იძახდა, თბილისიდან ქუთაისში ორ საათში ჩავსულვარო?

— ზღაპარია.

— აბა რა! ერთი საათი გორში ჩასვლას უნდა. სხვა რომ არაფერი, მაგისტრალია. ხანდახან მატარებლის ვაგონებივით წაეწყობიან ერთმანეთს მანქანები, ცხვირს ვერ გამოყოფ რიგიდან.

— ის ვინღა იყო, ჩაფსკვნილი, ჩვენს „პანტერას“ რომ დასცინა, როცა ვუთხარი, ასოცზე მეტით ვერ დადისო?

— არის რა. ნამდვილი ტრაბახმეისტერია. ერთხელ, ოდესღაც, აუღია პირველი ადგილი და თავში აქვს ავარდნილი. ძველებიდან მაგის მეტი არცაა ვინმე. გამარჯვება განაღდებული ჰგონია. ჩემი მანქანა ას სამოცამდე ადის და თქვენ რისი იმედი გაქვთო. მინდოდა მეთქვა, „გზის-მეთქი“, მაგრამ გამახსენდა შენი გაფრთხილება და ენას კბილი დავადგი.

— ჩვენი ძრავა სულ სხვაა, — თავმომწონედ გასწორდა წელში გურამი.

ერთხანს დუმდნენ. მერე ისევ გურამმა წამოიწყო:

— ისე, ის კაცი ძალიან შემეცოდა, აი ის ქვრივი. ოთხი ბავშვი მყავსო. ახლახან დაღუპვია ცოლი, — თვალები ოდნავ მოჭუტა, სივრცეს გახედა და თითქოს თავისთვისო, ისე ჩაილაპარაკა: — ჩვენ თუ მოვიგეთ, თავის სამ ათასს, რაც ჩადო, დავუბრუნებ.

— გადაირიე?! — ფინია რომ წამოიყეფს, ისე შეხტა და წამოიყვირა ბედომ. — რაზე, ძმაო, მაგისთვის უნდა ჩავინგრიო ჯიგარი ამ გზაზე? სანაძლეო სანაძლეოა. მოგება-წაგება ძმები არიან, ხან მოიგებ, ხან წააგებ. როცა თამაშობ, არ იცი, რომ რისკს ეწევი? დააძალა ვინმემ თუ?

— შენ ვინ დაგაძალა? — დამცინავად გაიღიმა გურამმა და პირდაფჩენილი ამხანაგი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა; ბედომ ვერაფერი უპასუხა და ისევ მან განაგრძო: — ცხოვრებამ დაგაძალა, საქმე წაგივიდა იმგვარად. ჰოდა, იმასაც ცხოვრებამ დააძალა. რა ქნას?.. არა, ღმერთმა გაგვიმართლოს და უეჭველად დავუბრუნებ.

— შენი ნებაა, — უამურად აიმრიზა ნირწამხდარი ბედო. — შენს ფულს, რასაც გინდა, იმას უზამ. მე, აბა, ძმაო, სხვისი მისაცემი არაფერი მაქვს.

დიდხანს ხმა არ ამოუღიათ. სწრაფი სვლა უკვე შეუძლებელი ხდებოდა და გურამმა გააათკეცა გულისყური.

— ჰმ, შენ ახლა ამბობ მაგას, თორემ, მერე, ფულს რომ ჩაიტენი ჯიბეში, არც ის კაცი გაგახსენდება და არც შენი დანჯღრეული კიბე, — ჩანს, აქამდე სულ ამაზე ფიქრობდა ბედო. — რა, მე დამზოგა ვინმემ? არ მახსოვს, ვინმეს აბაზი დაებრუნებინოს. ეგ კი არა, ის თვალსლიპა ბაყალო პირდაპირ მახრჩობს, ჩქარა, ფულიო. ნაწილ-ნაწილ გადახდაზეც უარს მეუბნება... ჰოდა, ახლა ბედომ სხვას უნდა შეარჩინოს?

„ისე, ეს ამ შტერი ჩხაკუნას საქმეაო“, — გაიფიქრა მან და რატომღაც გულს მოეშვა. „რა ჩემი საქმეა? თუ უნდა, სულაც მას მისცეს მთელი მოგებაო“, აგდებულად შეათვალიერა ძმაკაცი და კარგი დამრიგებელივით დაუწყო:

— შენ, გეტყობა, არ გესმის თამაშის წესები. აქ ისეთი ზაკონებია, უნდა დაეშორჩილო. კაროჩ, შეცოდება არ შედის მოთამაშე კაცის საქმეში. მასეთ კაცი მოთამაშედ ვერ ივარგებს.

— არც ვაპირებ, — ჩაეცინა გურამს, — მეყო, რაც ვიოამაშე.

— ჰო, მართლა, — გამოცოცხლდა თანამგზავრი, — შენ, მახსოვს, ცოტა-ცოტას წააცდენდი ხოლმე ხელს. სხვათ შორის, არ თამაშობდი ურიგოდ.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია გურამმა, — ნეტა რა ეშმაკად მინდოდა. რომ შეიტყვეს, ცალკე ჩემები გადაირიენ, ცალკე — მასწავლებლები... რომ გამახსენდება, მამაჩემი რა დღეში ჩავარდა!.. — უცებ გამოეცვალა კილო და სხაპასხუპით ალაპარაკდა, ენერგიულად და დაბეჯითებით: — იცი, რამ შემზარა ყველაზე მეტ-დ? სწორედ იმ შენმა „ზაკონებმა“. ერთმანეთს არ ინდობენ... გახსოვს ძმები ყავარაძეები? კინაღამ დახოცეს ერთმანეთი ერთი მანეთისათვის. ან ის „კაპრიზა“ რომ იყო, შენც იქ არ იყავი, სამი მანეთისათვის ყველას კინაღამ თავები დაგვიხეთქა, ჩემს წინააღმდეგ მოლაპარაკდითო? მეორე დღეს ექვსი თუმანი დაგვახარჯა კაფეში. მოდი და გაიგე ახლა შენ მაგათი...

ბედოს გულიანად გაეცინა. ესაა სწორედ თამაშის ეშხი. მაშ როგორ გინდა? ზაკონი ზაკონია.

— არ მინდა, ბატონო, მე შენი „ზაკონი“, ისე უფრო არხეინად ვარ. — თქვა გურამმა, მოიღუშა და ჩაფიქრდა.

ღამის მოახლოება ცივმა ნიავმა ამცნოთ. კურტაკები ჩაიცვეს და უდარდელად უშვერდნენ შუბლს გრილ ნიავს. გურამი სიგრილემ კიდევაც გამოაცოცხლა და მშვენივრად გრძნობდა თავს, მაგრამ ბედო ცოტათი მოდუნდა, მოიბუზა, უსიამოდ შეაჟრჟოლა და გამოუცნობმა შიშმა გაჰკრა გულში. იმის გაფიქრებაც, რომ შეიძლებოდა, მას მოსწეოდა მანქანის ტარება, გუნებას უფუჭებდა. კაცმა რომ თქვას, მანქანის ტარება მშვენივრად იცის, მაგრამ ეს მანქანა მაინც სულ სხვაა. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და, შეიძლება, უკანმოუბრუნებლად გადაეშვა ხრამში. ისიც აწუხებდა, რომ მუცლის გვრემა დაეწყო, როგორც იცის ხოლმე შეციების დროს.

„პანტერა“ ჯიუტად მიიკვლევდა გზას, როგორც ღევნილი მგელი — გაუკვალავ თოვლში და ორ ზოლად ტოვებდა საბურავებით დასერილ ნაკვალევს. გზა დავიწროვდა და ბოლოს სულ წაიშალა მინდვრის ბოლოში.

დაძაბულნი იცქირებოდნენ წინ. გულის ფანცქალით მოელოდნენ, აწი კიდევ რა ფათერაკი გამოუხტებოდათ. მინდორი რომ გადაიარეს, თითქმის მთლად შეკრულ ხევს მიადგნენ. მარცხნივ ორიალით მიისწრაფოდა მთის ქაფაშლილი მდინარე, მარჯვნივ კი თვალუწვდენელი ჭიუხები გადმოყუდებულიყვნენ. მდინარის გაყოლებაზე ვიწრო გზა მიემართებოდა. კაცმა რომ თქვას, გზა კი არა, ჩვეულებრივი მიწაყრილი იყო, უბრალოდ, მდინარის ვიწრო ნაპირი, რომელიც საურმედ თუ გამოდგებოდა.

გურამმა მანქანა შეაჩერა და გადმოვიდა. ბედო ცნობისმოყვარეობითა და შიშით ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. ისე იყო დაბეჟვილი, ადგომის თავიც არ ჰქონდა. მუცელი უჭყრიალებდა და გული უფრიალებდა.

გურამმა გამოცდილი მძღოლის თვალი გააყევნა წინ გზას, თავისთვის შეაფასა ყველა შანსი და შესაძლებლობა და უსიტყვოდ ახადა კაპოტი „ჯიპს“. ხმაამოუღებლივ ჩაირბინა მდინარესთან ვედროთი, მოარბენინა წყალი და რადიატორს მიასხურა: „პანტერა“ ზომაზე მეტად გახურებულიყო, დაქანცული რაშივით ისრუტავდა წყალსა და გრილ ჰაერს. გურამმა კანისტრიდან ბენზინი ჩაამატა ავზში და ისევ საჭეს მიუჯდა. ერთი კი უთხრა ბედოს, გამაგრდიო და დაძრა მანქანა. საშინელი ნჯღრევა-რყევით მიდიოდნენ ღორღიან ნაპირზე, ხან მარჯვნივ გადაიხრებოდნენ, ხან — მარცხნივ. ერთ-ორჯერ იფიქრეს, გადავბრუნდით და ეგ არისო, მაგრამ ბედი სწყალობდათ. კიდევ კარგი, მაინცდამაინც დიდი არ იყო ეს მონაკვეთი და მალე კვლავ რაღაც გზის მაგვარს მიაწყდნენ.

ახლა უკვე სულ ქვევითა და ქვევით ეშვებოდნენ. თანდათანობით მატულობდა ტყის საფარი. მდინარეც მიატოვეს სადღაც და ყურთასმენასაც ეშველა. ხევიც შედარებით გაფართოვდა, გაიშალა. ძრავას ისე აღარ უჭირდა და თანაზომიერი გუგუნი დიდად არ არღვევდა ამ ულამაზეს სიჩუმეს, რომელიც დაუფლებოდა ამ უკაცრიელ ადგილს.

გურამს გუნება გაუფუჭდა. ვეღარ ცნობდა იქაურობას. არა და, ეგონა, ხუთი თითივით ვიცი ყველაფერიო. ისე ჰქონდა ჩაბეჭდილი გონებაში ეს მარშრუტი, ვერ წარმოედგინა, რამე არ ხსომებოდა. ახლა ალალბედზე მიყვებოდა ტყე-ღრეში ვიწრო, ხრამისაკენ გადახრილ გზას, რომლის მოუხრეშავი, დანოტივებული მძიმე გრუნტი ყოველ ნაბიჯზე ხიფათს უქმნიდა მათ.

ზოზინით მიდიოდნენ, ნელ-ნელა, დაჭიმულ-დაძაგრულები. ბედომ სულ დაკარგა ფერი. დროდადრო მწარედ ამოიკვნესებდა ხოლმე.

ბედად, მალე დააღწიეს თავი ტყიან მასივს და გაშლილ გორაკებს შორის მოექცნენ, საიდანაც უკვე კარგად ჩანდა ქვემოთ გაშლილი ბარი და სოფლის სილუეტები, აქა-იქ გორაკებზე ასვეტილი ძველისძველი საყარაულო ციხე-კოშკების დაკბილული ქონგურები. დასახლებული პუნქტი რაკი გამოჩნდა, გურამს გული მოეცა, ახლა თითქოს კიდეც ეცნაურა აქაურობა. გზაც ცოტათი გაფართოვდა, მოსახვევებიც აღარ იყო მაინცდამაინც მკვეთრი და სიჩქარესაც უმატა ცოტათი.

ბედო გადაწოლილიყო სავარძლის ზურგზე, გადაეგდო უკან თავი და თვალები დაეხუჭა, მთლად მოდუნებულიყო. მკვდრის ფერი ედო. ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად, როგორც დიდი ფუთა, აჰყოლოდა მანქანის რყევას და ისე ყანყალებდა, იფიქრებდი, საცაა, გადავარდებაო.

საკმაოდ ჩამობნელდა და გურამმა, რომელიც მთელი გულისყურით გზას მისჩერებოდა, წამით შეავლო თვალი მას, ეს რა უცნაურად იქცევაო, მაგრამ არ შეუმჩნევია, რომ ბედოს სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო.

— ნუ გეშინია, მალე ჩავალთ, — დასამშვიდებლად უთხრა და მუხლზე დაჰკრა ხელი, „ჰა, ცოტაც და, გავალთ კიდეცო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენა ჩაუვარდა, აზრი გაუწყდა, უცებ დაამუხრუჭა მანქანა და ელდანაკრავი ასე დარჩა გამშრალი. წინ გზა აღარ იყო.

შიშით შეხედა ბედოს, მაგრამ იმას თვალიც არ გაუხელია, იდო გუდურასავით და მძიმედ სუნთქავდა. გურამმა ჯერ გზა შეათვალიერა დაბეჯითებით. ეტყობოდა, მარჯვნიდან, მთის ტყიანი კალთიდან ნიაღვარი წამოსულიყო განიერ ზოლად და ზედ გზაზე გადაევლო გარდიგარდმოიქ, სადაც გზა გადაეკვეთა, საკმაოდ მოზრდილი ხრამი გაჩენილიყო.

გუნება წაუხდა, მძიმედ ჩაფიქრდა. ფრთხილად, ზოზინით გადმოძვრა ძარადან და გზაზე გამავალ ხრამს ზედ გადაადგა. ისეთი ღრმა არ იყო, როგორიც პირველი დანახვისას მოეჩვენა, ჩავარდნის შემთხვევაში დიდი უბედურება არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ აქ რომ მანქანა ჩაგიხტეს, მოგჭამა ჭირი, ვერაფრით ვეღარ ამოათრევ.

დაკვირვებით შეავლო თვალი ფერდობს, საიდანაც ნიაღვარი დაქანებულიყო. შენიშნა, რომ გზისა და ფერდობის შესაყართან ხრამში საკმაოდ მოზრდილი ბორცვი შეხორხლილიყო ქვაღორღისაგან. ეს იყო ახლა მათი ერთადერთი იმედი. ფეხით მოსინჯა, ხომ არ ჩაიშლება მიწაყრილიო და რაკი შეატყო, ნიადაგი უკვე გამყარებულიყო, ზედ შედგა. მერე იქიდან თავის „ჯიპს“ გამოხედა, თვალით გაზომა მისი სიგანე და მიწაყრილს შეადარა. თუ არ ჩაიშალა ეს ღორღი ამ დახრამულში, ცალი ბორბალი რომ შედგეს ზედ, არა უშავს-რა, მეორე ბორბალი ფერდობზე შეიძლება შეაგდო... სხვა გზა არ არის. მაგრამ მანქანა შეიძლება ისე გადაიხაროს ხევისაკენ, გადაბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს კიდეც. მაშინ კარგად მეყოლე — ჩაიტანს ამ ტყეღორღიან უფსკრულში.

ერთბაშად ცეცხლი მოენთო გულზე — მორჩა, გადაწყდა! ან ხევში გადავისვრი ამ მანქანას, ან გავალ! გავალ და ჩავალ კიდეც პირველი! კარგად იცის, სანუკვარ ადგილამდე ამ მომენტში ის უნდა იყოს ყველაზე ახლოს. შეუძლებელია სხვა ვარიანტი. ეს იცის, გუმანით გრძნობს, გამოანგარიშებულიც აქვს წუთი-წუთზე... და ამ დროს ამ ოხერი ნანიაღვრალის გამო დაკარგოს ყველაფერი!.. არა, არამც და არამც!..

და უცებ თავჩარგულ ბედოს შესძახა:

— ჩქარა, ჩამოდი!

ბედოს ხმა არ გაუღია. ხელით შეანჯღრია:

— რა მოგივიდა, ასე როგორ წახდი? ჩამოდი, უნდა გადავახტუნო „პანტერა“.

ბედომ რაღაც წაიდუდღუნა კვნესით. ძლივს გაახილა თვალები, უაზროდ შემოხედა მეგობარს და ისე დაიმანჭა, თითქოს ს..სიკვდილო ჭრილობა მიეყენებინოთ. იმდენად დაუძლურებულიყო, გურამის დახმარება დასჭირდა, რომ მანქანიდან ჩამომძვრალიყო. ლასლასით მივიდა ერთ დიდ ქვასთან და ზედ მოიკალათა. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. გურამი უკანმოუხედავად ჩახტა მანქანაში, ჩართო ძრავა და „ჯიპი“, სანამდეც შეიძლებოდა, უკან დახია. მერე მძლავრად ააგუგუნა სტარტზე დამდგარ თვითმფრინავივით და უცებ მოწყვეტით გააქანა. „პანტერა“ მოსხლეტით გავარდა ჩახრამული გზის კიდეზე შემორჩენილ ნაყარზე და რაკი მეორე ბორბლით ფერდობს მიეყრდნო, შეყირავდა, მძლავრად აბღავლდა, აგრიალდა, გადაიზნიქა ხევისკენ, ერთი წამით შედგა, მარცხენა თვალით მიყარ-მოყარა ღორღი და ის იყო, უნდა გადატრიალებულიყო, რომ მეორე ნაპირზე გავარდა, ერთი შეტორტმანდა, ზათქით დაუშვა აყირავებული მარჯვენა მხარე და გასწორდა.

გურამი სწრაფად გადმოხტა და ხრამის მეორე მხრიდან გამოხედა მისიკვდილებულ ბედოს. ლამის ყურებამდე გარღვეოდა პირი, ისე იღიმებოდა:

— ჰა, რას იტყვი? ესაა როდეო!

რომ დაატყო, თანამგზავრი მთლად გამოთიშულიყო, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ეს უკვე არ გავდა გზით გალახულობას. უსიამოვნო წინათგრძნობამ შეძრა, რამე ხომ არ დაემართაო, და შეშინებული გადმოხტა უკან, თავზე წაადგა გაბრუებულ ბიჭს და ჰკითხა:

— ბიჭო, ბედო, რა მოგივიდა?

იმან ძლივს შეძლო თვალებში შეეხედა მისთვის. ადგომის თავი არ ჰქონდა, ძლივს წაილუღლუღა:

— რა ვიცი... მუცელი მიჭყრიალებს... თითქოს გულიც მერევა.

გურამი დაიბნა. თვალი მიმოავლო იქაურობას, თითქოს ვინმეს მოხმობა უნდოდა საშველად, მაგრამ რომ გაიცნობიერა, სად იყო, შეშინდა. უკვე მთლად ჩამობნელებულიყო, ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, მეტი ვერაფერი მოიფიქრა: წელზე მოხვია ხელი მორღვეულ ბედოს და წამოაყენა. ვაივაგლახით გადაიყვანა დახრამულ მონაკვეთზე, ძლივს მიათრია მანქანამდე, გაჭირვებით ჩასვა შიგ და დაიძრა.

დიდრონი ფარები საიმედოდ ანათებდნენ, მაგრამ სვლა

მაინც ჭირდა ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, დანოტივებულ გრუნტზე. ერთი იმედი ის იყო, რომ უკვე გარკვევით ჩანდა ქვემოთ რომელიღაც სოფლის კონტურები, აქა-იქ სახლებიდან გამონაშუქი სხივი. შორიდან ძაღლების ყეფა და საქონლის ზმუილიც აღწევდა სმენამდე.

მალე გაივაკეს და მომცრო მინდორზე გავიდნენ. უკვე ნათლად ჩანდა სოფელი. ნაკელის სუნიც კი იყნოსა და მიხვდა, სადღაც ახლოს ფერმა უნდა ყოფილიყო. მართლაც, მალე წაადგნენ საჩეხეს, სადაც შერეული საქონლისთვის მოეყარათ თავი მწყემსებს. მენახირე-მეცხვარეები ბაგებისაკენ ერეკებოდნენ ძროხებს, ცხვრებსა და თხებს. რამდენიმე კაცი ზედ გზაზე გამოსულიყო და გაოცებით შემოჰყურებდა მათკენ მიმავალ ფარებაბდღვიალებულ მანქანას.

გურამმა პირველსავე გამოლაპარაკებაზე იცნო ჩრდილოკავკასიელი მეჯოგეები. რუსულად ჰკითხა, სად ვართო.

იმათ უცებ არ გასცეს პასუხი, პირიქით, ერთმანეთთან რაღაცის გადალაპარაკების შემდეგ ჰკითხეს, თქვენ საიდან მოდიხართ, რა ხალხი ხართო. რომ შეიტყვეს, საიდანაც იყვნენ, ისე გადახედეს ერთმანეთს, თითქოს სასწაული რამ გაეგონოთ.

— ეს როგორ? — ვურებს არ უჯერებდა ერთი დროული კაცი. — თბილისიდან ამ გზით ჩამოხვედით? შეუძლებელია... დაუჯერებელია! — გაოცებით მხრებს იჩეჩდა ის და ამხანაგებს გაუგებრად მისჩერებოდა.

— რვა თუ ათი წელია, ამ გზით უკვე აღარავინ დადის. საერთოდ, გზა აღარც კია. შეშისთვის თუ მიდის ხალხი მაქეთ და ეგ არის და ეგ, — ჩაერია ლაპარაკში შედარებით ახალგაზრდა კაცი. — მაქეთ ცხენებით ძლივს დადიან და თქვენ — მანქანით? ხალხიც თქვენა ყოფილხართ!

ერთხმად ალაპარაკდნენ, შემოეხვივნენ გარს მანქანას და ათასი შეკითხვა დააყარეს გურამს, თანაც ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ „პანტერას“, ხელსაც კი უსვამდნენ. ეს რა საოცრებაა ასეთიო, გამტანი და ყველგან მავალიო.

გურამს აჩქარების თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც ცდილობდა სწრაფად გასცლოდა აქაურობას, მით უმეტეს, რომ ცუდი წინათგრძნობა არაფრით არ ტოვებდა: არ მოსწონდა, ასე გულშემოყრილ თანამგზავრს რომ ხედავდა — ბედოს თავი არ აუღია ამ ყაყანში.

— ამ სოფელში საავადმყოფო სად არის, ვერ მეტყვით?

კაცები შეწრიალდნენ, ჩვენ ეს ბიჭი მთვრალი გვეგონაო და რომ გაიგეს, ვერ იყო კარგად, შეწუხდნენ:

— სოფელი პატარაა, საავადმყოფო აქ არ არის, მაგრამ ექთანი მაინც იქნებაო.

გურამმა გრიალით ჩაატარა თავისი „პანტერა“ ორღობეში და მალე უკან მოიტოვა სოფელი. რაღაც ათიოდე წუთში ამბულატორიასთან მიაყენა მანქანა მეორე, უფრო დიდ სოფელში, როგორც მეცხვარეებმა ურჩიეს.

ექთანი ახალგაზრდა ქალი იყო, ქალი კი არა, თითქმის სულ გოგო. უცებ დატრიალდა, ყველაფერი საოცრად ოსტატურად, მოხდენილად გააკეთა. მაშინვე ერთ პატარა ბიჭს დაუძახა, ჩქარა, ექიმთან გამეგზავნეო და თვითონ ავადმყოფს მიხედა — დააწვინა, ფეხთ გახადა, ქამარი შეუხსნა, მკერდი გაუღეღა, სუფთა საფენი გადააფარა, რაღაც-რ. ღაცეები გამოჰკითხა და ამ ხანში ექიმიც მობრძანდა. უკვე მოხუცებულობაში შესული კაცი იყო, თმაგაჩეჩილი, გაჭაღარავებული, ულვაშა. თეთრი, ბუთხუზა ხელები ჰქონდა, რაც ერთგვარად თითქოს არც კი შეეფერებოდა მის გლეხურ გარეგნობას. ხმა არ ამოუღია, ისე მიადგა მკვდრისფერდაკრულ ბედოს და მაგრად დახუჭული თვალები ცერებით გაუღო. მერე ქუთუთოები აუწია, დიდხანს უყურა და ჰკითხა, სიცივეს ხომ არ ვრძნობ ტანშიო. ბედომ თავით ნიშნა — ჰოო, და ისევ მიებნიდა.

ექიმმა რაღაც ანიშნა ექთანს და უბრძანა, წყალი გააათბე საჩქაროდო, პატარა ბიჭი კი თბილი რძისათვის გაგზავნა მეზობლებში. მერე კარებთან ატუზული გურამისაკენ წამოვიდა:



— რა ჭამა, თუ იცი? — ჰკითხა ჩაფიქრებით.

— რა ვიცი... გზაში ვჭამეთ რაღაც... პური, ყველი, ძეხვი...

ექიმი ჩაფიქრდა და კვლავ ავადმყოფისაკენ მიბრუნდა ალდა.

— რა ჭირს? — შიშით დაადევნა მას გურამმა.

— მგონი, მოწამლულია. ბოტულიზმი გაგიგია? — ისე თქვა ექიმმა, ვითომც არაფერიაო, და საქმეს შეუდგა.

გურამმა ბედოს წვალებას ვეღარ გაუძლო და გარეთ გამოვიდა. ბნელოდა. მთებს შორის სავსე მთვარე მოიპარებოდა. გრილი ნიავი უბერავდა.

მწარე ფიქრები აეშალა. ხედავდა საქმე უკულმა შეტრიალდა და ყველაფერი წყალში იყრებოდა. ისე, ჯერ კიდევ შეიძლება დაკარგულის ანაზღაურება! მაგრამ ამ ბედოს რა უყოს? მაგისი იმედი ჰქონდა, ცოტა ხნით მაინც დაასვენებდა და ახლა რა გამოდის? ერთი-ორი საათი თუ არ დაიძინა, მანქანას ვეღარ დასძრავს. ამ ღამესაც რომ თავი დავანებო, ხვალ დღისით რა ეშველება? შეძლებს ამდენს?

ამ ფიქრში იყო, როცა ჭრიალით გაიღო კარი და ექიმი გამოვიდა აივანზე. მაშინვე მიირბინა მასთან გურამმა და თვალებში მიაჩერდა. იმან დინჯად ამოიღო ჯიბიდან მოჭმუჭვნილი სიგარეტის კოლოფი და ასანთის ძებნას შეუდგა. ერთი-ორი ნაფაზი რომ დაარტყა, მორიდებით ჩაახველა და კმაყოფილებით დააქნია თავი:

— გადარჩა შენი ძმა. ბეწვზე კი ეკიდა, აი!ერთი, ნახევარი საათი რომ დაგგვიანებოდათ, ვერაფერს გიშველიდით. მხოლოდ საოლქო საავადმყოფოში თუ შეიძლებოდა რამის გაკეთება, ჩვენ სისხლის გადასხმის საშუალება არა გვაქვს.

გურამს გულზე მოეშვა:

— მაშ, ყველაფერი რიგზეა?

— რიგზეა.

— შეგვიძლია გავემგზავროთ?

— სადა? — თვალები გაუფართოვდა ექიმს.

— საქმეზე მივდივართ. გვეჩქარება.

ექიმს გულიანად გაეცინა. სიყვარულით შეავლო თვალი ბიჭუნას:

— შენ, გეტყობა, წარმოდგენა არა გაქვს, რას გადარჩით. კაცი იმ ქვეყნიდან გამოვაბრუნეთ.

— ჩვენ არ შეგვიძლია დარჩენა.

— ყმაწვილო! — ხმას აუწია მკურნალმა, — მე თქვენი საქმე არ ვიცი. მე ჩემი საქმე მაქვს. ავადმყოფის დაძვრა არ შეიძლება, მორჩა და გათავდა!

— რომ არ წავიდეთ, არ შეიძლება, ექიმო, — არ ეშვებოდა გურამი.

— რა, მოგდევთ ვინმე თუ? ციხიდან ხომ არ გამოქცეულხართ? — შეათვალიერა იგი ექიმმა ირონიული ღიმილით და დაუმატა: — არ გ.ვხართ, რაღაც. — მერე ჩაფიქრდა, მშვიდად აწონ-დაწონა სათქმელი და განაგრძო: — მოდი, ასე მოვიქცეთ: ეს ბიჭი აქ დავტოვოთ, მარინა დაადგება თავზე, არაფერს გაუჭირვებს. შენ კი ჩემთან წამოდი, ამაღამ დარჩი. სტუმარი ღვთისაა. შენი ტოლა შვილიშვილი მყავს სწორედ, ისიც შენსავით გულფიცხი ბიჭია. გაეცანით ერთმანეთს, დამეგობრდით. თანაც მომიყევი, რა საქმეზე მიგეჩქარებათ, თუ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არ არის. თბილისის ამბებსაც მიამბობ. რამდენი რამე მოხდა იქ ამ ბოლო დროს და მე პირველი პირიდან არაფერი ვიცი.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, ჩვილი იესო და მისი დედა — მარიამი. რამდენიმე ბრძენკაცი შორიდან მოვიდა და იესოს საჩუქრები მოუტანა. მათ იხილეს ვარსკვლავი, რომელმაც იესოსთან მოიყვანა. ბრძენკაცებმა იციან, რარიგ დიდი და სახელოვანი იქნება იესო. აი, ამიტომ მოუტანეს მას საჩუქრები.

ᲛᲐᲡᲘᲗ ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲝᲓᲐ, ᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲑᲝᲠᲪᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲕᲓᲐ. ᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ: „ᲘᲡᲔ ᲛᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲑᲐᲒᲘᲡᲐᲛᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ქალი ჭიდან წყლის ამოსაღებად მოვიდა. იესომ უთხრა, რომ შეუძლია მისცეს ისეთი რამ, რაც წყლის უმჯობესია. ქალმა ირწმუნა და თავის მეგობრებს უამბო ამის შესახებ. ისინი მოვიდნენ და აგრეთვე ირწმუნეს იესო.

ᲘᲔᲡᲝ ᲧᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲘᲡ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსები და მარიამი ჩვილ იესოსთან ერთად შორ გზას დაადგწენ. ისინი გაურბიან ადამიანებს, რომელთაც ჩვილის მოკვლა სურთ. გზა ეგვიპტისკენ უდევთ. ღმერთი ზრუნავს იესოზე, ამიტომაც უბრძანა იოსებს მისი ეგზომ შორს წაყვანა.



ზომლეზიანები ცხოვრობენ ისეთ ადგილებში, სადაც ეკეთებოდა ეკეთებოდა, ოღონდ ეკეთებოდა ზეციერ ბრძანებლებს, ანუ ეკეთებოდა ზეციერ ბრძანებლებს. ისინი ეკეთებოდა, ეკეთებოდა, ეკეთებოდა, ეკეთებოდა. ნეტ ეკეთებოდა ეკეთებოდა? ალბათ ეკეთებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იესო თავის მეგობრებს ესაუბრება. მათ მოციქულები ეწოდებათ. ზოგი მათგანი მეთევზე იყო, მაგრამ იესომ თავისთან იხმო. მოციქულები ამცნობენ ადამიანებს, რომ ყოველი მათგანი უყვარს ღმერთს. შენც შეგიძლია, მოუყვე სხვებს იესოზე და იმაზე, რომ გიყვარს იგი.

ᲘᲔᲡᲝ და მისი მოჯამაგირეები ტბის ნაპირზე ᲘᲧᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ისინი ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ, ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ, ᲯᲔᲛᲡ და ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲟᲘᲡ ᲨᲕᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲘ, რომ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲔᲡᲝᲛ თავისთან ᲛᲘᲮᲛᲝ. ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, რომ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მათგანი ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ. შᲔᲜᲪ შეგიძლია, მოუყვე სხვებს იესოზე და იმაზე, რომ გიყვარს იგი.

ბურთი, ბურთი, ბურთი...

„დრეკადი ან მკვრივი მასალისაგან დამზადებული მრგვალი საგანი, იყენებენ სპორტულ თამაშებში“, — ასეა განმარტებული სიტყვა „ბურთი“ ლექსიკონებში. მოდით, ახლა, წამით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა და რა არ იქნებოდა, რომელიღაც ჩვენ წინაპარს ეს, თითქოსდა სულ უბრალო და მხიარული „მრგვალი საგანი“, რომ არ გამოეგონებინა.

რა იქნებოდა და —
საყოველთაო მოწყენილობა.
რა არ იქნებოდა და —
ფეხბურთი,
კალათბურთი,
ფრენბურთი,
წყალბურთი,
ჩოგბურთი,
მაგიდის ჩოგბურთი,
ხელბურთი,
ცხენბურთი,
მოტობურთი,
რაგბი,
ბურთიანი ჰოკეი,
ბადმინტონი,
ლელო,
ლაპტა,
პელოტა,





და კიდევ უამრავი სხვა სპორტული თამაში, ურომლისობაც დღეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

ყველა თამაშს თავ-თავისი ბურთი აქვს, რომლებიც წონითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზომითაც, დიამეტრითაც, მასალითაც, საფარის სისქითაც და, ის კი არა, ზოგჯერ ფორმითაც. ბურთების უმრავლესობა ტყავის საფარისა და გასაბერი კამერისგან შედგება. არსებობს დატენილი ბურთებიც, რომლებიც შალის ან ბამბეულის ანაძენძით, ბამბით, ზღვის ბალახით ან ძუით არის ამოვსებული.

ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთები ტყავის ცალკეული ნაჭრებისგან იკერება, რათა ბურთს სფეროს სწორი ფორმა ჰქონდეს, სხვანაირად ის ვერ იგორებდა.

გასაბერი ბურთებისაგან ყველაზე მძიმე კალათბურთის ბურთია — იგი 600-650 გრამს იწონის. ყველაზე მსუბუქი მაგიდის ჩოგბურთის, პინგ-პონგის ბურთია — 2,5 გრამი. პირველი მათგანი რეზინისაა — ასეთი ბურთი უკეთესად ხტის, მეორე თხელი ცელულოიდისგან არის დამზადებული.

ჩოგბურთის ბურთიც რეზინისაა, მაგრამ რეზინის გარსს ზევიდან ხაოიანი მაუდი აქვს გადაკრული. ეს მას მეტ დრეკადობას აძლევს, იმიტომ რომ შალის ხაოები კარგად ზამბარავს და ბურთი ადვილად ხტება მიწიდან.

განსხვავებული, ნესვის მოყვანილობისაა რაგბის ბურთი, რა თქმა უნდა, ესეც სპორტის ამ სახეობის ბურებით არის განპირობებული.

განსაკუთრებულია ბადმინტონის ბურთიც, იგი წარმოადგენს პლასტმასის ან კორპის სფეროს, რომელზეც ტყავი ან მისი შემცვლელია გადაკრული და ზედ პლასტმასის ან ფრთის სტაბილიზატორია დამაგრებული, რაც იმისთვის არის საჭირო, რათა ვოლანმა გარკვეული მდგომარეობა შეინარჩუნოს ჰაერში.

„ყველა თამაშობაში ბურთაობა მეფეა და ჯირითი დედოფალიო“, — უთქვამს ჩვენს ხალხს და აბა, რაღა გასაკვირია, რომ ქართველებს ბურთთან დაკავშირებული ამდენი სპორტული თუ გასართობი თამაში აქვთ: ლელო, ცხენბურთი, გაკვრაბურთი, ღორაობა, გაქცევაბურთაობა, საყებურთი, შეხლაბურთი, ბინაბურთი, წრებურთი, ხაზბურთი და ა. შ. ხოლო თუ ამას მთელ მსოფლიოში გავრცელებულ სპორტის თუ თამაშის სხვა სახეობებსაც დავუმატებთ, ასე რომ გაუთავისებია ქართველ კაცს, სულ არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, თუ რა მოწყენა დაისადგურებდა საქართველოში, თავის დროზე ეს მრგვალი საგანი რომ არ გამოეგონებინათ, დრეკადი ან მკვრივი მასალისგან რომ მზადდება და ბურთი რომ ჰქვია.

მ. ბოდერაძიშვილი

ნინო ნაკაშიძე • 120

შესრულდა 120 წელი საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის დაბადებიდან. იგი იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც საუკუნის დასაწყისში თავის მხრებზე იტვირთა ჩვენი ბავშვების სულისა და გონების ლიტერატურით საზრდოობის ძნელი საქმე. ძნელი კიდევ უფრო იმიტომ, რომ იმ ხანებში ქართული ენა დამცრობილი და შეურაცხყოფილი იყო სხვა ენის პატრონთა მიერ. არა და, იმისათვის, რომ სათქმელს მიზნისთვის მიეღწია, იგი სწორედ მშობლიურ ენაზე უნდა თქმულიყო. იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი, აკაკი წერეთელი, მარიამ დემურია, ილია სიხარულიძე და მრავალი სხვა ერის მოჭირნახულე ეწეოდა ამ ჭაპანს, ნინო ნაკაშიძეც მუდამ მათ გვერდით იდგა. 1904 წ. გამოაქვეყნა მან პირველი საბავშვო მოთხრობა და იმ ხნიდან მოყოლებული, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე (იგი 91 წლისა გარდაიცვალა) ჩვენი გოგო-ბიჭების აღზრდის, სულის გაფაქიზების, გონების გამდიდრების საქმეს შეალია. მისი მშვენიერი ზღაპრები და მოთხრობები დღესაც ასწავლიან პატარებს სამშობლოს სიყვარულს, გარჯის ყადრს, სიკეთის მადლს. სადა ენა, თხრობის ბუნებრიობა და უშუალობა გამოარჩევს ნინო ნაკაშიძის თითოეულ ნაწარმოებს და, ალბათ, ამიტომ უჭირავს მათ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სხვადასხვა თაობის წიგნის თაროზე. გავიხსენოთ, თუნდაც, „ბავშვები და ბეღურები“, „ჩვენ დავიკარგეთ“, „ბოჩოლა“, „ულუ და თეთ“, „ორი დედოფალა“, „მათია და ნიკო“, „მახობელა“ და სხვ.

დიდი ამაგი დასდო ქალბატონმა ნინომ ქართული საბავშვო წიგნების გამოცემის საქმესაც, ბევრმა წიგნმა სწორედ მისი წყალობით გაიკვლია გზა ნორჩ მკითხველამდე. პირველი ფერადსურათებიანი ქართული საბავშვო წიგნის, ხალხური ზღაპრის „დედაბერი, ტურა და მელია კუდა-გრძელიას“ (მხატვ. ვ. სიდამონ-ერისთავი) გამოცემის წარმატებით დაგვირგვინებაც მისი დამსახურებაა. დიდია მისი ღვაწლი პირველი ქართული საბავშვო თეატრის დაარსების საქმეშიც.

წლების განმავლობაში მუშაობდა ნინო ნაკაშიძე ჟურნალ „ნაკადულის“ შემოქმედებით მუშაკად, 1910 წლიდან კი, მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, სარედაქციო კოლეგიამ, როგორც რედაქციის ყველაზე გამოცდილი და საქმის ერთგული თანამშრომელი, რედაქტორად აირჩია იგი. იმის წარმოსადგენად, თუ როგორ უძღვებოდა ქალბატონი ნინო მასზე დაკისრებულ საქმეს, მისი შემდეგი სიტყვებიც კმარა: „ნაკადული“ წარმომიდგება ხოლმე რაღაც ცოცხალ, მეტისმეტად საყვარელ, ალერსიან, მეტყველ, ლამაზ არსებად, რომელიც მოითხოვდა ჩემგან სათუო მზრუნველობას, სერიოზულ მოპყრობას და სიხარულით ავსებდა ჩემს გულს ისე, როგორც საყვარელი შვილის მოვლა და აღზრდა“. სწორედ რომ საყვარელი შვილივით ეკლებოდა ნინო ნაკაშიძე საბავშვო ჟურნალს და გარს შემოკრებილ მწერლებთან თუ მხატვრებთან ერთად არც ცოდნას ზოგავდა, არც ძალ-ღონეს და ნიჭს, ოღონდ კი გოგო-ბიჭებს მართლაც კარგი ჟურნალი ჰქონოდათ.

მანანა გელაშვილი

რიგოლი ბიჭი იყო თომა?

— რა საძაგელი ბიჭია!

— რა ჭუჭყიანია!

— უთუოდ ტრამვაისაც ახტება!

— დედა არ ჰყავს და აბა ჭკუას ვინ ასწავლის!

— მეეზოვის ნათესავია და ის ინახავს... კარგად კი სწავლობს თურმე სკოლაში.

— როგორც უნდა, ისე ისწავლოს, რაც უნდა, ისა ქნას, მე ჩემს შვილს არ მივცემ ნებას მაგასთან ითამაშოს და იაროს! როდესაც ეგ თამაშობს, მე ჩემ გოგის ეზოში არ ვუშვებ, მეშინია, ცუდი სიტყვები და ცუდი ზნე არ ისწავლოს მისგან!

ასე ლაპარაკობდნენ მშობლები ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭ თომაზე.

თომა მართლაც ცელქი ბიჭი იყო, მართალია, ცუდი ჩაცმული, მაგრამ ეზოში ბავშვებს ყველას უყვარდა და უიმისოდ არც ბურთის თამაში, არც რიკ-ტაფელა, არც ლახტაობა და არც ხმალაობა არ იმართებოდა.

თომასაც ყველა ბავშვი უყვარდა, განსაკუთრებით კი პატარა გოგი, მაგრამ სწორედ გოგის არ უშვებდა დედა მასთან სათამაშოდ.

გოგი იყო პატარა, შვიდი წლის ბიჭი, დედისერთა. ყო-

ველთვის დაბანილ-დავარცხნილი, სუფთად ჩაცმული. მასაც ძალიან უყვარდა თომა, მაგრამ რა უნდა ექნა, როდესაც არ უშვებდნენ თომასთან. გოგი იჯდა აივანზე და უცქეროდა, როგორ თამაშობდა თომა ბავშვებთან, ან როგორ იჯდა მზის ყურეზე და წიგნს კითხულობდა. მაგრამ თუ დედა წავიდოდა სადმე, მაშინვე გადახტებოდა ეზოში, მოეხვეოდა თომას და ეუბნებოდა:

— შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, თომა, ცუდ სიტყვებს და ტრამვაიზე შეხტომას ხომ არ მასწავლი?

— რასაკვირველია, არა, გოგი, ტრამვაიზე შეხტომა როგორ იქნება, შეიძლება ფეხი მოიტეხო... ცუდი სიტყვების ლაპარაკი ხომ სირცხვილია.

— დედას კი ჰგონია, რომ შენ ცუდი ამხანაგი ხარ ჩემთვის, იმიტომ არ მიშვებს.

— მერე, შენ რას ეუბნები, გოგი?



— ვეუბნები, რომ შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ არ მიჯერებს.

— იმიტომ არ გიჯერებს, რომ შენ დედას მე არ ვუყვარვარ, გოგი, — ამბობდა შეწუხებული თომა.

— არ უყვარხარ, თომა, არა.

— არც არასოდეს არ შემიყვარებს, თუ იცი, გოგი?

— არ ვიცი, თომა, დედამ კი არ იცის, შენ რა კარგი ხარ, რა სირბილი იცი. გახსოვს, ტრამვაის რომ გაასწარი მაშინ, მე დედას ვუამბე და მას ჰგონია, რომ შენ ტრამვაის შეახტი.

ეზო, სადაც გოგი და თომა ცხოვრობდნენ, დიდი იყო. ეზოში მრავლად იყვნენ ბავშვებიც, ამიტომ იქ შუადამ თამაში და ყივილ-ხივილი ისმოდა.

ერთ დღეს ეზოში შემოგრიალდა საბარგო მანქანა. შოფერმა გააჩერა მანქანა და სადღაც წავიდა.

ეზოს ბავშვები აცვივდნენ მანქანაზე და დაიწყეს თამაში. თომა არ იყო ამ დროს ეზოში. ერთმა ბიჭმა, კოტემ, დაიწყო მუხრუჭის ტრიალი. უცებ მანქანა ახმაურდა და ადგილიდან დაიძრა, ბავშვები ფაცხა-ფუცხით გადმოხტნენ მანქანიდან, მხოლოდ პატარა გოგიმ ვერ მოასწრო გადმოხტომა და ყვირილი მორთო.

სწორედ ამ დროს ეზოში გოგის დედა შემოვიდა, შეშინებული წივილ-კივილით მივარდა გოგის და მოჰკიდა ხელში ხელი, მაგრამ მანქანის ფიცარი მაღალი იყო, მან გადმოყვანა ვერ მოახერხა და მისდევდა მხოლოდ, აბა როგორ შეძლებდა დედა ამდენ სირბილს და ძალაუნებურად გაუშვა ხელი გოგის. მანქანამაც თანდათან უმატა სიჩქარეს. ხალხი სულგანაბული შესცქეროდა უიმედოდ.

— ვაიმე, რაღა ვქნა, მიშველეთ, სვეტს დაეჯახება, დამეღუპება შვილი, — ყვიროდა საბრალო დედა. გოგიც ღრიალებდა, თავი ვეღარ შეიკავა, დაბარბაცდა და დაეცა მანქანაში.

სად იყო, სად არა, გამოჩნდა თომა. გამოუდგა მანქანას და თან უყვიროდა:

— არ ადგე, გოგი, იწექი, იწექი.

ოჰ, როგორ მირბოდა თომა! მისი ფეხები თითქოს მიწას არ ეკარებოდნენ, თითქოს ჰაერში ფაცფაცებდნენ.

— დაეწევა, კი... ვერ დაეწევა... დაიღუპება ბავშვი... ახლავე სვეტს დაეჯახება... — ისმოდა ხალხში.

თომა დაეწია, შეხტა მანქანაზე და მკვირცხლად დაამუხრუჭა; მანქანა უცებ შეტორტმანდა და გაჩერდა.

გაოცებული ხალხი მისცვივდა მანქანას...

თომამ გადმოიყვანა გოგი და აყვანილი წაიყვანა დედისკენ, რომელიც გულშეწუხებული დავარდნილიყო ქუჩაში.

თომამ ვერ გაბედა დედასთან ახლოს მისვლა და შორიდან უყურებდა, როგორ მივიდა გოგი მასთან, როგორ მოიყვანეს გონებაზე დედა და როგორ მოეხვია იგი თავის შვილს.

ის იყო, თომა წასვლას აპირებდა, რომ მოესმა ძახილი:

— თომა, თომა მომიყვანეთ!

თომა მივიდა. გოგის დედამ მოხვია თომას გოგისთან ერთად ხელი და ორივე მაგრად ჩაიკრა გულში.

სულ არ გრძნობდა, რომ თომა ჭუჭყიანი იყო.

— ჩემო თომა, ჩემი შვილის გადამრჩენელო, ჩემი ბიჭის საუკეთესო ამხანაგო, დღეიდან შენც ჩემი შვილი იქნები, ჩემი გოგის ძმა... დღეის იქით, ხალხო, იცოდეთ, ორი შვილი მყავს, — იძახდა ის და ქვითინებდა.

ხალხშიაც აქა-იქ ტირილი ისმოდა.

დედა ააყენეს, ის თომასთან და გოგისთან ხელჩაკიდებული წავიდა შინისკენ.

მთელი ეზოს ბავშვები იდგნენ და შემკრთალნი შესცქეროდნენ მას.

— ოჰ, როგორ გადარჩა... როგორ გადაარჩინა! ვაშა, ბიჭო თომა! — იძახდნენ ეზოში ბავშვების მშობლები.

არ მინდა

არ მინდა სხვისი დაუთვლელი
ოქრო და ვერცხლი,
ჩემი საწყლური საუზმითაც
იოლას გავალ,
რაც ჩემად არ ჩანს,
ნუმც მომაგებს მაღალი ღმერთი,
ოღონდ ჩემი მზის
არ მოვაკლდე
ღიმილს და სალამს.
ესღაა ჩემი განძეული —
წინაპრის ძვლები,
მისი ტკივილი ჩემი მთის და
ბარის შვილია,
ვარ საკურთხეველს ჩამოღვრილი,
უბიწო ცრემლი,
იმ გზის მტვერი ვარ,
სადაც ტყვიამ იცნო ილია.
მხოლოდ ამას გთხოვ,
ჩემი ღვიძლი მე შემარჩინე,
ნუ მიზიარებ ჩემეულში
ცრუს და ავყიას,
ჩემი სიმართლე დროშა არის
ალუბლისფერი
და სტკივა იგი
ჩემი სულის კედლებს ჯანღიანს.

ნინო კუტალაძე,
თბილისი, 120-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

ქვირტის სიხარული

ერთი ტოტის კუდი ვარ, სახელად კვირტი მქვია. მეც ვსუნთქავ, ვცოცხლობ, ვხარობ, მყავს დედა და მეგობრები. რა ლამაზია დედაჩემი, მწვანე კაბით რომ შეიმოსება, ყვავილებს რომ სათითაოდ კოცნის! ბრაზით ვიბერები, მავიწყდება, ისინიც რომ მისი შვილები არიან...

თეთრ-ვარდისფერი ბუნება მერე მწვანე კაბას იცვამს. მხოლოდ დიდ, მკაცრ და უხეშ მთებს ვერ ერევა სიმწვანე — იმათ თეთრი ნაბდები ურჩევნიათ.

სურნელოვანი თბილი ჰაერი მაბრუებს. ღაბუა ჩიტი პირდაპირ ყურში ჩამჭყივის, ფუმფულა თეთრი მკერდი წინ გადმოუგდია და გოგმანებს.

თვალის ახელისთანავე ცა დავინახე. როგორ მომეწონა! აფრენა მოვინდომე, მაგრამ... ქვემოთ დავიხედე, ფეხები დაბმული მქონდა. ცრემლი გადმომიგორდა. დედამ მომიალერსა. ღამით ბუმ დაიკივლა, მშობლის თბილ უბეში შევიმალე და მშვიდად მივიძინე. დილით ბუ აღარ ჩანდა. გავმხიარულდი, ჩემს წინ, ხეზე, გრძელკისერა ფრინველი დავინახე, ბუდიდან დაფჩენილი ნისკარტები ჩანდა. ბარტყებმა რომ საკვებით გული იჯერეს, მარჩენალ დედას აქეთ-იქით შემოუსხდნენ, იმანაც უალერსა და უალერსა, ზურგები ნისკარტით დაფხანა, მერე ფრთები შეატყლაშუნა, დავფრთხი, კინაღამ ძირს ჩამოვვარდ-ტყე. ბედი მქონია, თორემ რომელიმე მსუნაგი ღორის წერა გავხდებოდი. დედამ შვილები გაამწკრივა — „აი, ასე, აი, ასე"-ო, და ისევ ფრთების ტყლაშუნს მოჰყვა. ბატარები ფეხზე ძლივს დგებოდნენ, თვალები ეხუჭებოდათ, ერთბაშად აფრენა კი მოინდომეს! აქედან ვგულშემატკივრობდი. დედა ჩიტი ჩემთან მოფრინდა (შეემჩნია ეს), გამიღიმა და მომეფერა. იმ დღიდან ყოველთვის მაკითხავდა, ახალ-ახალ ამბებს მიყვებოდა, მართობდა. წვიმები შემოგვეჩვივნენ, დღე არ გავიდოდა, არ გვსტუმრებოდნენ. ფოთლის ქვეშ ვიმალებოდი და ძირს ვეძლეოდი.

...ერთხელაც, უცებ, ელვა ჩამოიჭრა ციდან და ხე შუაზე გააპო. ავღრიალდი, თავზე ცეცხლი მეკიდა...

— რა იყო, რას შეშინდი? — გამიღიმა ფოთოლმა... სიზმარი იყო, მე ცხადი მეგონა.

არადა, მთელი მწვანოსნები — ხეებუჩქები, ხავსი, მთელი ტყე და მათი მოტრფიალე ჩიტუნები მხიარულ ფერხულში ჩაბმულიყვნენ, „გაზაფხული დადგაო", — დასძახოდნენ და დღესასწაულობდნენ.

ნინო მაისაშვილი,
თბილისი, საღამოს სწავლების
მე-5 სკოლა, VIII კლასი.

ფვიმაში

წვიმის წვეთები მხიარულად წკაპუნობენ დედამიწაზე; „მე შეყვარებულებს დავეპკურე თავზე. დაე, სპეტაკნი იყვნენ"... „მე კიდევ იმ აჩქარებულ ყმაწვილს თვალი ჩავუკარი, ვერ გაიგო ხუმრობა სულელმა, გამიბრაზდა. ეჰ!..., „ახლა იმ გაკაპასებულ ქალსაც მივხედოთ. მშვიდი და ნაზი ყოფილიყოს ამიერიდან!" „მოდი, ეკლესიის გუმბათზე ჯვარი განვბანოთ"... „ცოდვაა ჩიტუნა, მობუზულა, სითბო მიეც"...

გოგონამ ხელი გაშალა, ცას ახედა. ერთი წვეთი ზედ ხელისგულზე დაასკუპდა, თვალებში ჩახედა. გოგონამ ნაზად შეუბერა სული. გაიზარდა, გაივსო წვეთი. დიდ ბუშტად იქცა, ღრუბლებამდე უწია, გოგონაც აიტაცა და გაფრინდა, გაფრინდა ზეცისკენ.

არავის გაკვირვებია — გაუხარდათ, არ მოღუშულან, — გაიღიმეს, არ გაბოროტებულან, — მიუსიყვარულეს ერთმანეთს. იცოდნენ, წვეთები დღეს თუ ხვალ ყველას განბანდნენ და ისინიც შეძლებდნენ ფრენას.

ცოტა ხნის მერე ნისლი გადაიყარა, ცის პატარა ჭუჭრუტანიდან ჯერ ერთი ფიფქი გადმოვარდა, მას მეორე მოჰყვა, მესამე... წვიმა შეწყდა, ცა გადათეთრდა და მალე ეს სითეთრე მიწაზე გადმოვიდა.

უკვე ბარაქიანად ბარდნიდა.

ახლა ფიფქები დაშრიალებდნენ მხიარულად დედამიწაზე.

ქეთი ქათამაძე,
თბილისი, მე-8 ქართული გიმნაზია,
XI კლასი.

მათიკოს მკვლელობა

(ნამდვილი ამბავი)

მეკითხებიან, ვისი შთამომავალი ვარ. ვუპასუხებ — აბრამისა-მეთქი. ვინ იყო აბრამიო? ვახტანგის მამამეთქი.

დიდი ვახტანგი პაპა რომ გარდაიცვალა, მე დაბადებულიც არ ვიყავი და, აბა, აბრამიც საიდან მეცოდინება? რა გქვიანო? ლაშა-მეთქი. იქვე მდგომი ოთხმოციოდე წლის ლადო ხელაშვილი ჩემს მაგივრად უპასუხებს ცნობისმოყვარე ქართლოს თვალჭრელიძეს, ვახტანგის მამა აბრამი იყოო, იგი ღვთისნიერი კაცი იყოო, მათიკოს მკვლელობის შემდეგ გატყდაო, გაჭაღარავდაო.

ჩვენი ცნობისმოყვარეობა ლადო პაპამ სახეზე რომ ამოიკითხა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე განაგრძო: მაშინ ბავშვი ვიქნებოდი, მაგრამ ვმეგობრობდი აბრამთანო, მას მღვდლის მორჩილის თანამდებობა ეკავა ეკლესიაშიო, სახლთან პატარა დუქანიც ჰქონდა და სანთელ-საკმეველს სთავაზობდა ხალხსაო.

ერთხელ აბრამმა თბილისში ჩხიკვის ბარტყი იყიდა. შინ რომ მოიყვანა, ფრინველი არაფერს მიეკარა. ისიც იძულებული გახდა, რამდენიმე დღის მერე პატრონისთვის უკან მიეყვანა — მიშველე რამეო. პატრონმაც დაარიგა: ხომ გითხარი, ჯერ დარდობს მშობლის მოცილებას-მეთქი, აცალე, რამდენიმე თვე გავიდეს, შეგეჩვევა, მოილხენს და თავადაც მოგალხენსო. რასაკვირველია, ისევ უკან წამოიყვანა აბრამმა ბარტყი.

სახლი აბრამს წერწვერაზე ჰქონდა, მამაპასიეული, ხოლო ნაფუძარზე — დუქანი. აბრამმა მათიკოსათვის სპეციალურად შერჩეული გალია ნაფუძარზე დარაბებიან ფანჯარაში მოათავსა და შეჰხაროდა ბარტყის გაზრდას.

ძალიან კარგი გამოდგა მათიკო, — განაგრძობდა თხრობას ლადო პაპა. სულ იცოდა აბრამის შვილების სახელები და ეძახდა კიდეც: ანეტა, თამარ, ქეთი, რუსუდან, ნინო და, ბოლოს, აბრამს ვაჟიშვილი რომ ეყოლა, მათიკომ ახარა: აბრამ, ბიჭი შეგეძინა, ვახტანგი დაარქვესო! ამის გამგონე აბრამის მეზობელ გაბროს, რომელიც იმ დროს სანთელ-საკმეველის სათხოვნელად ყოფილა მისული, გაკვირვებისაგან ქუდი გაუვარდა ხელიდან. როცა აბრამი დაღლილობისაგან ტახტზე მიესვენებოდა, მათიკო ხშირად აფხიზლებდა: „ადე, აბრამ, მუშტრები მოვიდნენო!“ აბრამიც წამოდგებოდა და ისტუმრებდა ნაცნობ-მეგობრებს.

საღამოობით აბრამი გალიით გადაიყვანდა მათიკოს წერწვერაზე და დილით ისევ გადმოჰყავდა ნაფუძარზე. ერთხელ, როცა მათიკო გალიაში იჯდა და საკენკს მიირთმევდა, რამდენიმე უცხო მამაკაცი დაინახა, მაშინვე გააღვიძა აბრამი: „ადე, აბრამ, ქურდები მოვიდნენო!“ ამ სიტყვების გაგონებაზე თოფი გავარდა და მათიკო გალიაში ჩაიკეცა. ქურდები გაიქცნენ...

აბრამი წამოდგა. ჯერ გალიასთან მივიდა და, რა დაინახა გასისხლიანებული მათიკო, ტყვიით განგმირული, ოხვრით აიყვანა ხელში და მკერდზე მიისვენა.

არა! კაცურ კაცს ასეთი რამის ჩადენა არ შეუძლია, მე კი არაკაცებთან საქმე არა მაქვს და არც ვიცოდე, ვინ არის მკვლელი. დღეს ელოლიავა მიცვალებულს თვალცრემლიანი აბრამი. ხალხი მოგროვილიყო დუქანთან. ყველა რაღაცას საქმიანობდა. ნაფუძარში ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დაასვენეს მათიკო. ზემოდან აბრამის მეუღლის, მარიამის შემონახული ქათქათა ზეწარი გადააფარეს, მათიკოს სულივით წმინდა და სუფთა. ბოლოს ერთმა მეზობელმა კუბოც გამოთალა და გაპატიოსნებული მათიკო ჩაასვენეს ამ პატარა საცხედრეში. ისევ ის ზეწარი გადააფარეს და ასე, რამდენიმე დღეს გლოვობდნენ მათიკოს. ბოლოს მიცვალებული მღვდელმაც აკურთხა, როგორც წესი და რიგია. მიცვალებული ონადირში წაასვენეს, სადაც ახლა ვაშლაჯვრის სასაფლაოა. აბრამის საგვარეულოს მამულების გადაღმა დაასაფლავეს მათიკო. აბრამის ოჯახმა მიცვალებულს ქელეხი გადაუხადა. ცხვარი ჭოპორტიდან ჩამოიყვანეს, მათიკოს დაკრძალვას იმაზე მეტი ხალხი დაესწრო, ვიდრე ჩვეულებრივად მოდიან ქელეხში.

ყოველ წელიწადს, ვიდრე აბრამი ცოცხალი იყო, მიცვალებულის დღეს უქმობდა. ჩაიცვამდა საეკლესიო ტანსაცმელს, გაიტანდა ტაბლას და მოინახულებდა მათიკოს საფლავს, რომელსაც ქრისტიანული ჯვარი ამშვენებდა.

მას შემდეგო, — განაგრძო თხრობა დაღლილმა ლადო პაპამ, — თითქმის ორმოცდაათი წელი გავიდა და მაინც ახსოვთ სოფლელებს ლეგენდად შემორჩენილი მათიკოს მკვლელობისა და ქელეხის ამბავიო.

დაასრულა თხრობა ლადო პაპამ, მთხრობელიც და მსმენელიც გავირინდეთ და დიდხანს, დიდხანს ვისხედით ავტობუსის მოსაცდელ სკამზე უხმოდ. ბოლოს გამოჩნდა ბავშვებით სავსე ავტომობილი, მძღოლმა შეგვიჩერა, ჩავსხედით და ჩვენი გარინდება ბავშვების ჟრიამულმა შთანთქა.

ლაშა გენეგაშვილი,
თბილისი, 186-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

ნუნუ ქადაგიძე

მხატვარი ფ. მაღრაძე

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ დედამიწას ორი მზე დაჰნათოდა.

მზეები რიგრიგობით სუფევდნენ ცაზე, რათა დედამიწას არასოდეს მოჰკლებოდა მათი ნათელი. ჩავიდოდა თუ არა ერთი, მაშინვე მეორე ამოდიოდა.

ამიტომაც დედამიწაზე არასოდეს ღამდებოდა.

დედამიწის ბინადარნი მიჩვეულნი იყვნენ ცაზე ორი მზის მონაცვლეობას. მათ არ იცოდნენ, რა იყო ღამე, რადგან არასოდეს ენახათ იგი. ამიტომ არც არავინ გამოთქვამდა უკმაყოფილებას მისი არარსებობის გამო.

მხოლოდ მთვარე იყო უკმაყოფილო.

ჰქონდა კიდეც მიზეზი: მარადიული დღის გამო იგი არასოდეს ჩანდა ცაზე. მთვარე ხომ ბევრად უფრო სუსტად ანათებს, საგანგებოდ უნდა ეძებო ცაზე მისი ადგილსამყოფელი.

მთვარეს სულაც არ ეჭაშნიკებოდა ასეთი შეუმჩნეველი არსებობა. სურდა, თავადაც გამოემჟღავნებინა თავისი იდუმალი, განსაკუთრებული სილამაზე, პოეტებს ლექსები მიეძღვნათ მისთვის, ყვავილებსაც, ზოგიერთს მაინც, მის მკრთალ შუქზეც გაეშალათ თავიანთი ნაზი კოკრები.

— ცოტა ხნით მაინც დააგვიანეთ ამოსვლა ერთ-ერთმა თქვენგანმა, — ეუბნებოდა მთვარე მზეებს. — დამაცადეთ, სულ ცოტა ხნით მაინც გამოვანათო.

— განა ჩვენ გიშლით? — უკვირდათ მზეებს.

ამაზე მთვარე ვეღარაფერს ამბობდა. გამონათებას მართლაც არავინ უშლიდა. მაგრამ ხმამაღლა იმის აღიარება, რომ სხვა მნათობები ჩრდილავდნენ, არაფრით არ სურდა.

რაც შეეხებათ მზეებს, თავიანთი გულუბრყვილობის გამო ვერ მიმხვდარიყვნენ, რა აწუხებდა მთვარეს. გულკეთილად უღიმოდნენ, როგორც ახლობელ მეგობარს და სხივების ისეთ ნიაღვარს აფრქვევდნენ ხოლმე, რომ მთვარე სულმთლად იკარგებოდა მხედველობის არედან.

მთვარე გულში იხვევდა ჯავრს, მარტო ცრემლებს გადმოღვრიდა ხოლმე, თუმცა არც მათგან ჰქონდა რაიმე ნუგეში: ცრემლები მყისვე ორთქლდებოდნენ მზეების მცხუნვარებისაგან და დედამიწამდე ვერასოდეს აღწევდნენ.

რაკი თხოვნით ვერაფერი გააწყო, მთვარემ ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, სხვა გზა ეპოვნა.

მთვარე ბუნებით ცბიერია, ეშმაკობაში გაწაფული. კარგად იცნობს დედამიწის იდუმალ ბინადართ, მდინარისა თუ მიწის წიაღში მყოფ სულებს, თავის გრძნეულ ძალას უნაწილებს ხოლმე მათ. ისინიც ვალში არ რჩებიან და მიწისა და წყლის წიაღის საიდუმლოებებს ანდობენ. სწორედ მათი წყალობით იცნობს მთვარე დედამიწის ისეთ ჯურღმულებს, სადაც მზის სხივებს თავის დღეში არ ჩაუხედავთ.

ღამის სიბნელე გრძნეულ სულებსაც ენატრებოდათ, რადგან იძულებულნი იყვნენ, ჯურღმულებში ეცხოვრათ, ზედაპირზე ვერ ამოდიოდნენ, რამეთუ წესად არა აქვთ მზის სხივებში სეირნობა. ამრიგად, მეორე მზის თავიდან მოშორება მათთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა.

ჰოდა, როცა მთვარემ თავისი გულისტკივილი გაუზიარა, გრძნეულმა სულებმა ერთი ეშმაკური ხერხი მოიგონეს. იგი მთვარესაც მოეწონა, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, სათქმელი დაალაგა, ნამით პირი დაიბანა და ერთ-ერთ მზეს ეწვია.

მზე ხალისიანად შეხვდა. გულიანად გაუღიმა სტუმარს და თვალისმომჭრელი სხივების ნიაღვარი დააფრქვია.

„დამაცადე!“ — ფიქრობდა მთვარე და ცდილობდა, არაფერი შეტყობოდა, მაგრამ უნებურად სახე მაინც გვერდზე ეღრიცებოდა.

ილაპარაკეს აქეთურ-იქითური. მთვარე უმეტესწილად დედამიწაზე ლაპარაკობდა, მის სილამაზეს აქებდა, ყოველთვის ღამაზი იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანს განსაკუთრე-

ბით დამშვენდაო, მის ელ-მინდვრებში სეირნობას არაფერი სჯობსო.

მართალიაო, დაეთანხმა მზე, დედამიწა მართლაც ძალზე გამშვენიერდა, ყოველდღე დავყურებ და თვალს მაინც ვერ ვაშორებ, ასეთი სილამაზის ჭვრეტა არასოდეს მოგბეზრდებაო.

მერე მთვარე ფრთხილად ალაპარაკდა დედამიწის კიდევ ერთ იდუმალ სილამაზეზე, რომელიც მის წიაღში სუფევდა.

— ოჰ, რომ იცოდე, რა სილამაზე იმალება მიწის წიაღში! რა იდუმალი სულები ცხოვრობენ იქ, რა უზვეულოა მათი გარეგნობა! აღწერაც კი ძნელია, — აღფრთოვანებით ამბობდა მთვარე.

მზეს არასოდეს ენახა მიწის წიაღის სულები.

— ნუთუ შეიძლება, რომ დედამიწაზე ცხოვრობდეს ვინმე, რომელიც მე თვალით არ მინახავს? — გაიკვირვა მან.

— აბა, როგორ ნახავდი, ისინი ხომ არასოდეს ამოდიან ზედაპირზე! მათი ნახვა მხოლოდ ყველაზე ღრმა ჯურღმულებში შეიძლება!

მზეს ისე შერცხვა, რომ ერთიანად წამოწითლდა. ცნობისმოყვარეობაც არ აძლევდა მოსვენებას.

— ეს როგორ მომივიდა, რომ დედამიწის ასეთ საინტერესო ბინადრებს არ ვიცნობ, აქამდე ვერ შევძელი მათთან დამეგობრება? წამიყვანე და მიჩვენე მათი ადგილსამყოფელი, — სთხოვა მთვარეს.

— ამაზე როგორ დაგზარდებაო ძველ მეგობარს, — უთხრა მთვარემ და ორივენი დაეშვნენ დედამიწაზე.

ჩაუარეს მოშრიალე ტყეებს, ყვავილოვან მდელოებს. მზეს ძალიან ეჩქარებოდა ახალი მეგობრების გაცნობა, ამიტომ არსად შეჩერებულან. ჯურღმულის შესასვლელს მიადგნენ. მთვარე წინ მიუძღოდა მზეს, ფრთხილად იწყო ჩასვლა ჯურღმულში. მზე უკან მიჰყვებოდა და ვერ ამჩნევდა მიწის სულებს, რომლებიც ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდნენ.

დიდხანს იარეს ასე. მთვარე გაფაციცებით მიიწევდა წინ, უფსკრულიდან უფსკრულში ინაცვლებდა შეუსვენებლად. მზეზე ნაკლებად როდი ეჩქარებოდა ჯურღმულში ჩასვლა.

ბოლოს ჩააღწიეს. ორივე მნათობი ერთად ჩაეშვა ჯურღმულის უკიდურეს, ყველაზე ღრმა ხაროში.

ჰოდა, როგორც კი მიზანს მიაღწიეს, მთვარე შეუმჩნევლად გამოეპარა მზეს და იმ ხაროში მარტო დატოვა. ეს სულაც არ გასჭირვებია, მთვარე ხომ ისედაც ძლივს სჩანდა მზის გვერდით.

დასცილდა თუ არა მთვარე მზეს, მაშინვე დრო იხელთეს მიწის იდუმალმა სულებმა, ჭინკებმა, მაცილებმა, ჯუჯებმა, საჩქაროდ მოარღვიეს ჯურღმულის შიგნითა კლდეები და გამოსასვლელი მჭიდროდ ამოქოლეს.

მზეს არაფერი გაუგია, ისევ აგრძელებდა გზას. ეგონა, მთვარე გვერდით მომყვებაო. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა პიტალო კედელს შეეჩეხა.

მობრუნდა და ჯურღმული მოათვალიერა. მთვარე არსად ჩანდა.

— სადა ხარ, მთვარევ? — გასძახა.

არავინ გამოპასუხებია.

მაშინ კი მიხვდა მზე, რომ მთვარემ რაღაც იეშმაკა. სასწრაფოდ გამობრუნდა უკან, სცადა ჯურღმულიდან ამოსვლა, მაგრამ ამაოდ, გრძნეულ სულებს ისე საიმედოდ ამოექოლათ გამოსასვლელები, რომ სულ მცირე ნაპრალიც კი არ დაეტოვებინათ.

დარჩა მზე ჯურღმულში გამომწყვდეული.

არავინ იცის, რამდენი ხანი დაჰყო იქ. არც თვითონ გაეგებოდა რაიმე, დროის სათვალავი აერია. ხშირად ფიქრობდა მთვარის უცნაურ საქციელზე, ნეტავი ასე რამ გააბოროტაო, უკვირდა.

გაბრაზებით კი ოდნავაც არ ბრაზობდა. არ შეუძლო გაბრაზება, ასეთი იყო მისი ბუნება. არც ღიმილი მოუშლია, თავისი ხალისიანი. ბრწყინვალე ღიმილი, ირგვლივ შემომდგარ სალ, ულმობელ კლდეებს შეჰღიმოდა და იმედს წამიერად კარგავდა.

ხსნა არსაიდან ჩანდა.

ასე გადიოდა დრო. მზეს სულ უფრო და უფრო უმძიმდა ჯურღმულში ყოფნა. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა შეძლებდა იქედან თავის დაღწევას და ზედაპირზე ამოსვლას. ენატრებოდა მწვანედ მოშრიალე ტყეები, ყვავილოვანი მდელო, რომელსაც უწინ ასე დაჰხაროდა ცის ლურჯი თაღიდან.

და აი, ერთხელ, ჯურღმულის სამარისებური სიჩუმე ოდნავგასაგონმა ხმამ დაარღვია.

მზემ განცვიფრებით მიუგდო ყური. ხმაური განმეორდა. რაღაცამ წყლის წვეთივით გააწკაპუნა. და, მართლაც, მზის სხივებზე წყლის წვეთებმა ძვირფასი თვლებივით გაიბრწყინეს.

— მშვიდობა თქვენს მოსვლას, — ჩვეული მისალმება შეაგება მზემ წყლის წვეთებს და გულიანად გაუღიმა.

— აქ როგორ აღმოჩნდი, მზეო?! — გაიკვირვეს წვეთებმა



მზემ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი.

— ჩვენ არაფერი ვიცოდით ამის შესახებ, — თქვეს წვეთებმა. — დიდი ხანია, მიწის ჯურღმულებში ვმოგზაურობთ. როდესაც ცის ლურჯ კალთაზე დავსეირნობდით ღრუბლის სახით, მაშინ ჯერ კიდევ ორი მზე ანათებდა.

— თუ ასეა, ჯურღმულის გზები გეცოდინებათ, — გაიხარა მზემ და კიდევ უფრო გაბრწყინდა.

— ცხადია, ვიცით, ჩვენ ხომ დაუსრულებლად ვმოგზაურობთ ხან ჯურღმულებში, ხან ზედაპირზე, მერე კი ცაშიც ავფრინდებით ხოლმე.

— მეც წამოგყვებით, ზედაპირზე ერთად ავიდეთ, — სთხოვა მზემ.

— ოღონდ იცოდე, ძალზე მიხვეულ-მოხვეული გზებით დავდივართ, — გააფრთხილეს წყლის წვეთებმა. — სხვანაირად არ შეგვიძლია. ხანდახან გვგონია, რომ აღარც კი გვიწერია მიწის ზედაპირზე ამოსვლა, მაგრამ ბოლოს მაინც ვპოულობთ გამოსავალს. შენ კი შეძლებ ამას?

— მე ვერ შევძლებ, მაგრამ ჩემი სხივები შეძლებენ, — თქვა მზემ.

ეს თქვა და მზემ შეკუმშვა იწყო. მისი ბრწყინვალე ბადრო თანდათან დაპატარავდა, ჯერ მუშტისხელა გახდა, მერე ისიც გაქრა...

მზე საკუთარ სხივებში გადასახლდა და კიდევ უფრო გაბრწყინდა. მას ხომ ობობას აბლაბუდაზე უწვრილეს ბილიკებზე უნდა ევლო, ამას კი მხოლოდ მისი სხივები თუ შეძლებდნენ.

...და დაიწყო ჯურღმულებში მზის სხივებისა და წყლის წვეთების მოგზაურობა. სად აღარ იყვნენ — მიწისქვეშა მღვიმეები, მდინარეები თუ ტბები — ყველაფერი მოიარეს. ოკეანის ფსკერზეც კი ამოყვეს თავი რამდენჯერმე.

რახან ერთხელ დამეგობრდნენ, აღარც განშორებულან, ყველგან ერთად იყვნენ, განუყრელად. ერთმანეთს ამხნევებდნენ ხოლმე.

თუმცა ბოლოს ყველა მათგანი ძალზე დაიქანცა, რადგან მეტისმეტად გაჭიანურდა გზა. მზეს ლამის გადაეწურა იმის იმედი, რომ ოდესმე შეძლებდა ჯურღმულებიდან თავის დაღწევას და მიწის ზედაპირზე ამოსვლას. მაგრამ სწორედ ამ დროს სინათლემ იელვა...

ამოვიდნენ, მაგრამ რა ყოფით!..

წყლის წვეთები მაშინვე თვალსა და ხელს შუა აორთქლდნენ, ისინი ობობას ქსელზე სიარულისას ისე დაპატარავებულიყვნენ, რომ წყლის წვეთები აღარც კი ეთქმოდათ. ეს უკვე ნისლი იყო, თვალისათვის უხილავი. ნისლი ისე სწრაფად გაქანდა ცისკენ, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო თავისი მეგობრისათვის.

არც მზის სხივებისთვის ჩაევლო უკვალოდ ამდენ ხანს ჯურღმულებში მოგზაურობას. ჯერ ერთი, მთლიანად დაჰკარგვოდათ მხურვალება, სრულებით აღარ ანათებდნენ. სადღა იყო ის ბაჯაღლო ოქროს მსგავსი ბრწყინვალე ელფერი, რითაც ადრე ასე იწონებდნენ თავს! ამას გარდა, მიწის უწვრილეს ხვრელებში ძრომიალისას უცნაურად შეიცვალნენ, უცნაური დაკლაკნილ-დახლართული იერსახე ჰქონდათ.

ამდენად, მზის სხივები სრულებით აღარ ჰგავდნენ მზის სხივებს, უფრო მცენარის ფესვებს დამსგავსებოდნენ.

— ეს რა ამბავია ჩემს თავს?! — ამოიოხრა მზემ, როდესაც საკუთარი სახეცვლილება აღმოაჩინა. — ჯურღმულიდან კი ამოვედი, მაგრამ აღარც მე ვარსებობ და აღარც ჩემი სხივები!

აქ კი საბოლოოდ გადაიწყვიტა იმედი მზემ. იმის ძალაც კი წაერთვა, რომ ენატრა რაიმე. თვალით აღარაფრის ნახვა აღარ უნდოდა. არც ის მქრქალი უსახური ფესვები ენაღვლებოდა, რომლებიც მისი სხივებისგან დარჩენილიყვნენ.

შავ ფიქრებში ჩაძირულ მზეს უეცრად ნაცნობი წკაპუნის ხმა შემოესმა:

— წკაპ, წკუპ!

მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად დადარდიანებული იყო, მზეს მაინც მოსტაცა ყურთასმენა ნაცნობმა წკაპუნმა. დიახ, ეს სწორედ მისი ძველი მეგობრები, წყლის წვეთები იყვნენ, როგორც ვთქვით, მათ უკვე მოასწრეს ჰაერში აფრენა და ახლა წვიმის სახით ეპკურებოდნენ თავზე უსახურ ფესვებად გარდაქმნილ სხივებს.

— ნუ ნაღვლობ, ყოველივე კარგად იქნება, — მხიარულად უმღეროდნენ წვიმის წვეთები ძველ მეგობარს.

— ჰო, ნუ ნაღვლობ, ყოველივე კარგად იქნება! — წვიმის წვეთებს ბანი დააწია ცაზე მსუფევმა მზემ და თბილი სხივებით მოეფერა თავის ოდინდელ მეგობარს.

ამან ცოტათი ანუგეშა და მოასულიერა თითქმის სრულ გაქრობამდე მისული მზე. იმის ღონე აღარ შესწევდა, თვითონაც შეხმიანებოდა თავის ძველ მეგობრებს და მადლობა ეთქვა ნუგეშისცემისათვის. ხმაც არ გაუღია, ისე მიიძინა დამშვიდებულმა და იმედმოცემულმა.

კარგა ხანს ეძინა მშვიდად, უშფოთველად. ძილში გრძნობდა, თუ როგორ ეფერებოდნენ მზის თბილი სხივები. არც წვიმის წვეთები აკლებდნენ მზრუნველობას, წყურვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოტკოლდ ეფრაიმ ლესინგი

ვირი ლომის გვერდით

ლომთან ერთად ტყეში მიმავალ ვირს გზაზე ნაცნობი სახედარი შემოეყარა, რომელიც თავაზიანად მიესალმა, გამარჯობა, ჩემო ხაყვარელო ძმობილოო!

— უსირცხვილო, ვინ არის შენი ძმა? განანებ მაგ თავხედობას! — უპასუხა ლომის მხლებელმა ვირმა.

— რაო, გეთაყვა, განა, ლომს რომ ახლავხარ, ჩემზე უკეთესი ხარ? — უპასუხა გაწბილებულმა ნაცნობმა.

დათვი და სპილო

დათვი ადამიანთა შეუგნებლობაზე შესჩიოდა სპილოს:

— მე, სერიოზული დათვი, მათ დაკრულზე ვცეკვავ და ისინი კი დამცინიანო.

— შენზე ნაკლებად სერიოზული არა ვარ, მათ მუსიკაზე შეც ვცეკვავ, მაგრამ ჩემთვის არასოდეს არავის დაუცინია, — მიუგო სპილომ და თან დასძინა: — ისინი იმიტომ კი არ დაგცინიან, რომ ცეკვავ, არამედ იმიტომ, რომ უშნოდ, მოუხერხებლად დაძუნძულებ და შენ კი ეს ცეკვა გგონიათ.

კურდღელი და ლომი

ერთხელ კურდღელმა ჰკითხა ლომს:

— მართალია, რომ თქვენ, ლომები, მამლის ყივილზე ფრთხებით?

— მართალია, — უპასუხა ლომმა, — დიდ ცხოველებს ყოველთვის რაღაც სუსტი მხარე გვაქვს. აი, სპილოებზეც ამბობენ, რომ გოჯის ჭყვიტინისა ეშინიათ.

— მართლა?! — თქვა კურდღელმა. — ახლა ნემთვისაც გასაგებია, თუ ჩვენ, კურდღლებს, რატომ გვეშინია ძაღლებისა.

უმადურობა

მონადირე გააფთრებით მისდევდა მელიას. დაქანცული ნადირი უეცრად კედელს წააწყდა და ზედ აძვრა, რომ თავი გადაერჩინა. იქიდან მეორე მხარეზე რომ იოლად ჩასულიყო, ეკლიან ბუჩქს ჩაეჭიდა და მისი დახმარებით ქვემოთ მშვიდობიანად დაეშვა. მხოლოდ ეს იყო, ეკლებმა მელიას ქულაჯა და მშვენიერი, ფაფუკი კუდი დაუკაწრეს.

— შეხედეთ ამ საცოდავს, ამ არარაობას, ეს რა მიყო, რა ქულაჯა წამიხდინა! — უკმაყოფილოდ წამოიძახა გადარჩენილმა მელიამ და ბუჩქს ზიზღით მოხედა.

მგელი და მეცხვარე

მინდორში საშინელი ყინვა იჭირა და მეცხვარეს მთელი ფარა გაუწყდა. მგელმა გაიგო ეს ამბავი, მივიდა მეცხვარესთან და მიუსამძიმრა:

— მონაწილე ვარ შენი მწუხარების, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, — თქვა მგელმა და თათი გამწარებით შემოიკრა სახეში, — ვაი, როგორ დაგვეღუპნენ... რა კეთილები იყვნენ, რა სათნონი, როგორი მსუქნები... განა ღირს კი ამის შემდეგ სიცოცხლე?..

— მადლობელი ვარ, მგელო, თანაგრძნობისათვის, — მიუგო მეცხვარემ. — როდი შეგონა, თუ ასეთი შემბრალე გულისა იყავი.

— მაგას თავისი თავი ებრალება, — დასძინა მეცხვარის ბიჭმა და მგელს თოფი დაუშიზნა. მგელი გაიქცა და თან გულმოკლული იმეორებდა, ეს რა უბედურებაა, საშიშარიც ვეღარ გითქვამს კაცსაო.

არწივი

— რატომ აკეთებ ბუდეს ასე მაღალ კლდეებში? — ჰკითხეს არწივს.

— მართვე მაღლა, ცაში უნდა გავზარდო, თორემ მზის ახლოს ფრენა გაუჭირდება, — მიუგო არწივმა.

თარგმნა

შ. ამირანაშვილმა

უკლავდნენ და გულს საამურად უგრილებდნენ.

როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ მაღალ, მწვანე ღეროზე ყელყელაობდა, თავისი ძველი სახე დაბრუნებოდა — მზის სახე. სავსებით აღდგენილიყო საკუთარი სხივებიდან.

გაიხარა მზემ, გულიანად გაიღიმა, უფრო ფართოდ გაშალა ოქროსფერი ფურცლები, ყველას და ყველაფერს შეჰღიმა თავის ირგვლივ: ცაზე მსუფევ ბრწყინვალე მზეს, თავის ძველ მეგობარს, მის სხივებში მიყუჟულ უჩინარ მთვარესაც. შისთვის საიდუმლო აღარ იყო მთვარის ცბიერების ამბავი. იცოდა, რისთვის ჩაიტყუა იგი ჯურღმულში მთვარემ, წვიმის წვეთებმა ხოვ დაწვრილებით უამბეს ყველაფერი. მიუხედავად ამისა, მაინც არ ბრაზობდა მასზე, უხინჯოდ აპატია ყველაფერი. ასეთი იყო მისი ბუნება, სხვანაირად არ შეეძლო.

შემდგომში, როდესაც დამშვიდდა და გონს მოეგო, ისევ ცაზე მოისურვა დაბრუნება.

მეორე მზე ცის თაღიდან ულიმოდა, გულოდებიო, აჩქარებდა.

ის-ის იყო, უნდა გაფრენილიყო ცისკენ, რომ თავის მწვანე ფოთლებზე უხვად დაფრქვეული წვიმის წვეთები შეამჩნია.

შეყოყმანდა...

მიმტევებლობასთან ერთად მადლიერიცაა მზის გული. არ შეეძლო იმის დავიწყება, თუ როგორ უშველეს ამ გამჭვირვალე წვეთებმა ჯურღმულიდან თავის დაღწევაში.

— თქვენთანაც მინდა ყოფნა, — წასჩურჩულა მზემ წყლის წვეთებს.

ჰოდა, ველარ მიატოვა თავისი ძველი მეგობრები, ველარ შეელია მათ კეთილხმოვან სიმღერას, საამურ სიგრილეს და გამჭვირვალე მშვენიერ მძივებს, რომლებითაც ასე გულუხვად და ლამაზად უმკობდნენ ისინი მწვანე სამოსელს.

ვერ შეელია და დღესაც მათთანაა განუყრელად, მათთან ერთად ხარობს და იფურჩქნება.

სახე კი მზისკენ მიბრუნებული დარჩა.

ამიტომ უწოდეს სახელად მზესუმზირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხური ხის ჭურჭელი

მესხეთ-ჯავახეთი ოდესღაც ტყიანი ქვეყანა იყო, თუმცა ტყეები ახლა ნაწილობრივ გაჩეხილია, ამ კუთხის მცხოვრებთა ყოფაში ხის ჭურჭელსა და იარაღებს, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ხისაგან ამზადებენ წყლის ჭურჭელს, რომელიც მოსაბერხებელია და წყალსაც კარგად ინახავს. ასეთებია, მაგალითად, **კოკა** და **კუტალი**. ისინი მზადდება, უმთავრესად, ეროკო ფიჭვის მასალისაგან ხეს მუხლებს შორის გადაჭრიან





ილებენ სათნოს. საიდანაც გამოიღებენ კუტალის წურწუმას, ყელსა და სახელურს. საამისოდ ხმარობენ ხელეჩოს, დანას, ბურღსა და ბვეწს. კუტალი შედარებით პატარა და მსუბუქია, აქვს ერთი სახელური, ყელი, წურწუმა, გვამი (წყლის სადგომი), ძირი და ფეხები. კოკა უფრო მძიმე და დიდია ორ ვედროს იტევს), აქვს სახელური, ყელი, ხიდი. ორივე ჭურჭელი სამფეხია. ფიჭვის ჭურჭელში ნადგომი წყალი თავისებური, სასიამოვნო გემოსია. მრავალსულიან ოჯახებში წინათ 10-12 კოკა-კუტალია ჰქონდათ.

წყლისა და რძის შესანახად იხმარება ხის **კასრი** და **კოლოფი**. თხელ ფიცარს (ფირფიცრის სისქისას) ათავსებენ ცხელ წყალში, მერე ღუნავენ და თასმის სისქის ხის ტკეჩით კერავენ, სახელურს ისე ამაგრებენ, რომ ორივე მხარეს გადაიკეცოს, კასრს ორგან გახვრეტენ და შიგ გადასაბმელად ჭანჭიკს გაუყრიან. ძირიც გვერდის მსგავსად იკერება. კოლოფიც კასრს ჰგავს, ოღონდ პატარაა; შიგ რძეს, მაწონს, ერბოს, ყველს, ყაურმას ინახავენ.

ცომის მოსაზელად იხმარება **გოჯი** (ანუ ვარცლი). მისთვის საჭიროა 7 სხვადასხვა ზომის ფიცრის ნაჭერი: შეკვრება ყბის, ძირის, 2 — გვერდისა და 2-თავი ფიცრისაგან.

გობის ერთ-ერთი სახეობაა ხის **საფილავი**; მასში ფილავენ რძეს. ყველა სახეობის გობი ფიჭვის, ნაძვის ან სოჭის საუკეთესო ხარისხის ფიცრებისაგან მზადდება.

რძის პროდუქტების დასამზადებლად აუცილებელი იარაღია **ციცხვი**. იგი, ფაქტობრივად, დიდი ზომის **კოვზია** და მას თლიან პანტის ან მსალის ფიცრისაგან, რომელიც გამძლეა და ხმარებაში არ სკდება.

საოჯახო ნივთებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ფეშხუმს** (დაბალ მაგიდას). ფეშხუმი შედგება ერთი მრგვალი და ორი ოთხკუთხა ფიცრისაგან, რომლებიც ფეხების მაგივრობას სწევენ. ამ ბოლო ხანს ფეშხუმს უმთავრესად იყენებენ ხინკლის ცომის გასაშლელად, პურის გუნდის ამოსაღებად და ა. შ.

ცომის გასაბრტყელებლად იხმარება **საჭიბაზლამის** ფიცარი. იგი ერთი მთლიანი ნაჭრისაგან მზადდება; ეს არის მტკაველის სიგრძე მრგვალი, სახელურიანი ფიცარი. მესხეთში მერყეები კაცის ხასიათზე ამბობენ, ეგ კაცი საჭიბაზლამაა, საითაც უნდა, იქით გადაბრუნდებაო.

პურის ცხობისას იყენებენ ფურნის **ნიჩაბს**, რომლითაც ფურნეში შეჰყრიან და გამოყრიან ხოლმე რუნს. ნიჩბის სიგრძე მეტრ-ნახევარია, გამოთლილია ერთი მთლიანი ფიცრისაგან.

ხორბლის კანის გასაცლელად იხმარება **თოხმახი** — მაგარი, მძიმე ხის მოზრდილი ოვალური ნაჭერი, რომელსაც დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძე ტარი უკეთია.

სამწუხაროა, რომ ყველა ეს ნივთი მესხეთში დღეს იშვიათად იხმარება და მათი მცოდნე თუ ოსტატი თითზე ჩამოსათვლელია დარჩა.

ნოდარ ივანიძე

მუხა

ოჩოპინტრეს საჭრელსი

გინახავთ დიდბრძენი, მრავლის მომსწრე 900 წლის მუხა თელიანის ვენახებში, ან მასზე ლამის ორჯერ უმცროსი „თევდორეს მუხა“ ჯუგაანში? ოქვენ არც ფიქრებში წასული, უდრტვინველი 700 წლოვანი მათი თანამოძმე გეყოლებათ ნანახი სოფელ ლიხნიში და არც 600 წლის გაუტეხელი გოლიათი ოძისში, გიორგი ერისთავის სახლ-მუზეუმის ეზოში. შეიძლება საგანგებოდ ვერც ჩახვიდეთ მათ სანახავად, მაგრამ თუ შემთხვევით მაინც აღმოჩნდებით იმ არემარეზე, აუცილებლად მოინახულეთ ეს ეულად გარჩენილი ახოვანი მუხები, თვალი შეავლეთ მათ დიდებულებას, ხელი შეახეთ მათ დაშაშრულ ზროს, მიეფერეთ, ყური მიუგდეთ მათ შრიალს, და უთუოდ მიხვდებით, რატომ შეუდარებია ქართველ კაცს თავისი სამშობლო მუხისათვის, ურიცხვი მუმლი რომ დასევია და მაინც ვერაფერი დაუკლია...

მუხა ოდითგანვე ყველაზე გავრცელებული ხე ყოფილა ჩვენში. ამაზე თუნდაც სოფლების სახელები მეტყველებს — მუხროვანი, მუხრანი, მუხიანი, მუხათგერდი, მუხა-ესტატე, მუხაოწყარო, მუხამურა, მუხურა, მუხილეთი, დიდი ჭყონი (ჭყონი მეგრულად მუხაა), ჭყონაგორი, რკონი და სხვა.

ქვეყნად მუხის 500 სახეობა არსებობს, მათგან საქართველოში რვა იზრდება, რომელთაგან ყველაზე ერცელი ფართობი ქართულ მუხას უჭირავს. იგი ლამის ყველა ჩვენს ტყეში გვხვდება. ქართული მუხა კავკასიის ენდემად ითვლება და სხვა თანამოძმეთაგან იმით განსხვავდება, რომ მისი რკო ან სულ უყუნწოა, ან ძალზე მოკლეყუნწიანი. ფოთოლი მოგრძოა, 6-12 წყვილნაკვთიანი, ქვემოდან უფრო მკრთალი. ამ სახეობის მუხის მერქანი საუკეთესოა, სიმაგრისა და სიმტკიცის გამო ფართოდ გამოიყენება ავეჯის, პარკეტის, კასრების დასამზადებლად.

ჩვენს მუხებს შორის ყველაზე მაღალი ჭალის მუხა იზრდება. იმის გამო, რომ სხვა სახეობებისგან განსხვავებით მის ნაყოფს გრძელი ყუნწი აქვს, ჭალის მუხას გრძელყუნწასაც ეძახიან. მას ფოთლებიც უფრო მკვრივი აქვს, ტყავისებური, ზედა მხრიდან შუქი მწვანე და შიშველი, ქვევიდან კი ლეგა, მოკლე ბუსუსით დაფარული, 3-4 წყვილნაკვთიანი. ჭალის მუხა იზრდება მდ. მტკვრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის, ივრის, ალაზნის ჭალებში და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში.

კოლხური მუხა ჩვენში მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იზრდება. მისი გამოცნობა სულ ადვილად შეიძლება ფოთლის გაფართოებული ბოლო ნაწილით და ფოთლების ყუნწზე (4 სმ) მოგრძო რკოს სწორმდგომი ყუნწის წყალობით.

იმერეთის მუხა უმეტესად იმერეთში, რიონისა და ყვირილის ჭალებშია გავრცელებული, თუმცა აფხაზეთშიც გვხვდება, კერძოდ მდ. კოდორის დაბლობ ადგილებში. რაკიღა საქართველოს ფარგლებს გარეთ იმერული მუხა სხვაგან არსად გვხვდება, იგი ქართულ ენდემურ სახეობად არის მიჩნეული. იმერულ მუხას უყუნწო ან ძალზე მოკლე ყუნწიანი, ღრმად დანაკვთული, თხელი, ზევიდან მუქი მწვანე, ქვემოდან კი უფრო მკრთალი ფოთლები აქვს, მისი რკოს ყუნწები კი 8-10 სმ სიგრძისაა.



კიდევ ერთი სახეობა, მაღალმთის (ანუ აღმოსავლური) მუხა მარტო მთაში იზრდება, თუმცა ალაგ-ალაგ ტყის შუა სარტყელშიც ჩამოიქვეითებს ხოლმე. მას ხეშეში ფოთლები აქვს, რომელთა ყუნწი და ძარღვები ქვემოდან ხშირი ბუსუსითაა დაფარული, რკო კი ძალზე მოკლეყუნწიანი, ან სულაც უყუნწო იცის.

საზოგადოდ, მუხა სინათლის მოყვარული ხეა, (თუმცა კი ამ მხრივ ფიჭვს ვერ შეედრება), სწორედ ამიტომ ირჩევს სამოსახლოდ ვაკე ადგილებს, ხოლო თუ მაინც მოუწია მთაზე დასახლება, მის სამხრეთ ფერდობებს ანიჭებს უპირატესობას.

მუხის ყვავილიც და ფოთლებიც ერთდროულად იშლება, აპრილ-მაისში, მისი ნაყოფი კი — რკო — ზაფხულის მიწურულს. მაშინ არის, რომ მუხნარებში ღორის ღრუტუნი ხშირდება. მუხა ათას წლამდე ცოცხლობს. სიმაღლეში მისი ზრო 150-200 წლამდე განაგრძობს ზრდას, თუმცა ამ ხნის განმავლობაში 30-40 მეტრზე მაღლა ვერ იწევს, სიგანეში კი სიკვდილამდეც კი იზრდება.

მანანა ჯაალიშვილი

ეჭვიანი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი თინა კრაწაშვილი

დგას ყორანა სათივის ქვეშ, თოკით გამობმული. ბუზებისაგან მობეზრებული, კუდს მოუსვენრად იქნევს. თავი მაღლა აუწევია, ბოძებზე სოკოსავით დადგმული თივის ზვინიდან გამოაძრობს ორიოდე ღერ

— ჩემი რა ბრალია, როცა კეხი ფარსაგად ვერ დამადგი? გარსაკრი მაგრად რომ ამოგეჭირა, ის ფათერაკი არ მოხდებოდაო.

ფათერაკიც არის და ფათერაკიც. ამისთანა რამე, ვისაც კი სახედარი ჰყავს სოფელში, ალბათ არ დაშართნია.

მეჭურჭლიანთ თენგოს პირში რამე გაჩერდება? მგონი, ქვეყანა შეეყარა, ზალიკოს აღარ უნდა გოგო-ბიჭებში გამოჩენა? არა, რაღა ამ დილით მოიგუნება თენგომაც სახედრით წყაროზე ჩამოსვლა! ის დალოცვილი, მოიცდიდა ცოტა ხანს, რა ეშმაკი შეუჩნდა, აავსებდა ზალიკო წყლით კოკებს, წამოვიდოდა შინ და მერე

— ეგეთ ბალახს, ჩაახრამუნებს და ისევ თივისკენ იწვდის ჩიჩვირს. დროდადრო, ყურებდაცქვეტილი, სახლის აივნისკენ მიაბრუნებს კისერს, იქით იყურება. აივნის მოაჯირზე სახემოღუშული ბიჭი გადმოყუდებულა და ეზოში მოფუსფუსე ქათმებს დასცქერის, ვითომ ვერ ამჩნევს, რომ სახედარს შია და მოუთმენლად ელოდება, როდის დამიყრის ზალიკო თივასო.

— არ დაგიყრი, არა! ეგდე ემაგრე მშიერი, ღირსი ხარ. დღეს თავსლაფი დამასხი, კაცი შემარცხვინე, იმ სამგლე მეჭურჭლიანთ ვირმა როგორ

— ეშმაკ-ქაჯურად ... ემთხვა თენგოს გამოჩენა. წყაროზე იმასაც საკოკეები გადაეკიდნა თავისი ნაცარა სახედრისათვის. მისჯდომოდა უკან, კურტუმზე და სახრის ქნევითა და აჩუ- აჩუს ძახილით მაღლიდან ხევში, წყაროსთან დაშვებულ ფერდობზე სულ კუნტრუშ-კუნტრუშით ჩამოვიდნენ.

ის რომ წყაროსთან გაჩნდა, ზალიკოს ერთი კოკა სავსე ჰქონდა, მეორე შეეშვირნა მილისათვის.

თენგომ ჯერ „გამარჯობა“ თქვა, მერე ახედ-დახედა ნავის გვერდით

მოშავებულიყო წყაროზე იმ თავისი სამგლე ვირით! — ფიქრობდა ბიჭი.

მართლაც, ... ემთხვა თენგოს გამოჩენა. წყაროზე იმასაც საკოკეები გადაეკიდნა თავისი ნაცარა სახედრისათვის. მისჯდომოდა უკან, კურტუმზე და სახრის ქნევითა და აჩუ- აჩუს ძახილით მაღლიდან ხევში, წყაროსთან დაშვებულ ფერდობზე სულ კუნტრუშ-კუნტრუშით ჩამოვიდნენ.

ის რომ წყაროსთან გაჩნდა, ზალიკოს ერთი კოკა სავსე ჰქონდა, მეორე შეეშვირნა მილისათვის.

თენგომ ჯერ „გამარჯობა“ თქვა, მერე ახედ-დახედა ნავის გვერდით

მდგომ ზალიკოს სახედარს და თქვა:

— დააჯიბრებ ყორანას ჩემს მერცხალას?

— დავაჯიბრებ! — სწრაფად გაეპასუხა ზალიკო.

— მოიცა, ავავსო მეც კოკები! — თქვა თენგომ, საკოკეებიდან კოკები აამოიღო და ნავთან მერცხალა დასარწყულებლად მიაგდო.

ბიჭებმა კოკები წყლით გაავსეს. პირზე სიმინდის ფუჩეჩები მაგრად გაუკეთეს და სახედრებს აჰკიდეს.

თენგომ ფერდობზე ამავალ გზას გახედა და გამოაცხადა:

— აემ აღმართზე ვისი ვირიც პირველი ავა, გამარჯვებულიც ის იქნება!

— ვინც შენ შეგიშინდეს, მაძღარმა მგელმა ძიძგნოს! — თქვა ზალიკომ და ორივემ სახედრები გვერდი-გვერდ დააყენეს. მოიმარჯვეს სახრე, თითოთითო გავაზე დაჰკრეს და ჰაცე, ჰაცეო, ისე დასჭყივლეს, მერცხალა და ყორანა მახათასჭყვლეტებივით შეხტ-

ნენ, დაცქვიტეს ყურები და აღმართზე აცვივდნენ, უკან კი ბიჭები მიჰყვნენ ფეხდაფეხ სახრის ქნევითა და გამამხნევებელი შეძახილებით.

ფერდობზე ამავალი გზა ფართო იყო. კაცი თუ მოიწადინებდა, წყაროზე ცხენის საზიდარსაც ჩამოიყვანდა. ამიტომ სახედრები გვერდი-გვერდ ისე მიდიოდნენ, ერთმანეთს არ ეხლებოდნენ. თითქოს პატრონებს სურვილს მიუხვდნენო, ნესტოებდაბერილები, კუნთებდაძაბულნი სწრაფად, ხენეშით მიიწევდნენ აღმართზე. შუაგზაზე რომ ავიდნენ, უცებ ყორანას კეხი გვერდზე მოექცა. საკოკეები თავისი კოკებიანად ძირს გადმოცვივდა და კოკები დაიმტვრა. წყალი ღვარივით წამოვიდა ფერდობზე, ყორანას ადევნებულ ზალიკოს ფეხებზე მიეხსა და დაუსველა. მტრისას, ის რომ ხასიათზე დადგა.

საპალნემოხდილ, დამსუბუქებულ ყორანას აღარც სახრე უნდოდა წასაქეზებლად, აღარც გამამხნევებელი შეძახილი; ერთი კი შეყოყმანდა, ვიღრე გარსაკრისა და კეხისაგან ფეხებს გაითავისუფლებდა, მერე დაწინაურებულ მერცხალას დაეწია და გაუსწრო კიდეც. ავარდა ზევით გზაზე, იქ გაჩერდა და ხევისპირად მოსულ ბალახს წიწკნა დაუწყო.

— ვაი, დაგევსო პატრონი! — წამოიძახა იხტიბარწამხდარმა ზალიკომ და ნაწყენი, დარცხვენილი სახით დამსხვრეულ კოკებს დააცქერდა.

— გარსაკრი არ ამოგიჭერია კარგად! — თქვა თენგომ. ეცინებოდა. პირზე ხელი მიიფარა, ლამის გაიგუდა.

სხვას რას იზამდა ზალიკო? სახედრის კეხი, წელზე დასაფარებელი ნაბდის ჩული და საკოკეები წამოკრიფა, ზურგზე მოიკიდა. შინ ისე წამოვიდა, ხმა აღარ ამოუღია. არც ყორანასთვის მიუხედია ზედ. პირუტყვი თვითონ მიჩაქჩაქდა სახლში და მიჩვეულ ადგილზე — სათივის ქვეშ დადგა.

— რა ტყუილად დავპირდი დედას, ვიდრე შენ და მამა ვენახიდან მოხვალთ, წყალს ბლომად დაგახვედრებმეთქი. წყალი კი არა და კოკები დაიმტვრა, თავი შევირცხვინე! — დარდობდა ზალიკო.

იმ ნაღვლიანი ფიქრებიდან ვიღაცის ძახილმა გამოარკვია. გაიხედა. ჭიშკართან, ეზოს გარეთ, თავის სახედარზე ამხედრებული თენგო იდგა და აქეთ, აივნისკენ იმზირებოდა.

„ნეტავი, რისთვის მობრძანდა, რაღა უნდა, ხო გულიანად იცინიხითხითა!“ — გაიფიქრა ზალიკომ და



ეროვნული ბიბლიოთეკა

აივნიდან ეზოში ჩავიდა, ჭიშკარი ბრაზიანად გამოაღო. თენგო სახედრიდან ჩამოსვლას არ აპირებდა. ორივე ხელში აქეთ-იქით ახალთ-ახალი, პირისფერი თიხის კოკები ეჭირა, ზალიკოს გაუწოდა და თქვა:

— აჰა, გამომართვი, პაპაჩემმა გამომატანა, შენ ხომ იცი, ამეების ოსტატია. ქურიდან გუშინ დილით გამოვაწყვეთ გამომწვარი ჭურჭელი. რო ვუთხარი, ზალიკოს სახედარს საკოკეები გადმოუცვივდა-მეთქი, მაშინვე თქვა — გარსაკრი მაგრად არ ჰქონია ამოჭერილიო.

ზალიკომ კოკები გამოართვა. გაუხარდა. თენგოს მადლობა უთხრა, კიდევ იმის თქმას აპირებდა: თუ კაცი ხარ, სხვას ნურავის გააგებინებ, რა მარცხიც დაგვემართა მე და ყორანასაო, მაგრამ ვერ მოასწრო — ვიდრე ხმის ამოღებას მოახერხებდა, თენგომ მერცხალა შეაბრუნა, ფეხის ქუსლები ფერდებში ამოჰკრა და შინისკენ გააჭენა.

ზალიკომ კოკები ეზოში შეიტანა. აივნის ქვეშ ფრთხილად დადგა. მერე სათივეზე აძვრა და დამშეულ ყორანას თივა გადმოუყარა.

შა უპასუხა, აუცილებლად დაგეძა-
რებითო...

— მშობელი იყო. ბავშვი ეპილეფ-
სიით ჰყოლია დაავადებული და ამბობ-
სად უშოვნია რელანიუმის ამპულე-
ბი. დღესვე უნდა მოვიძიო და მივა-
წოდო...

უსიყვარულოდ არ შეიძლება არ-
სებობდეს არაფერი — არც საქმე, არც
ოჯახი, არც ამდენი ნაცნობ-შეგობა-
რი და თაყვანისმცემელი.. ირმა სო-
ხაძის ცხოვრების მაშოძრავებელი
ძალა სწორედ სიყვარული და სიკე-
თეა. იგი უხვად თესავს ამ სიკეთეს
და სულაც არ ფიქრობს იმაზე, რომ
სიკეთითვე გადაუხდიან.

— ქალბატონო ირმა, დღეს ჩვენ
სიკეთის დეფიციტს განვიცდით. თა-
ნდათან გაქრა სათნო ღიმილი, ზრ-
დილობიანი სიტყვა-პასუხი, უბრალ-
ოდ, თავაზიანი მისალმება.

— მართალს ბრძანებთ. დღევანდე-
ლმა პირობებმა შეცვალა ადამიანე-
ბი, თითქოს გააბოროტა ისინი. ახა-
ლგაზრდობის ბედ-იღბალი კი მოსვე-
ნებას მიკარგავს. უფსკრულის პირას
მდგარნი, საოცრად დაბნეულნი არი-
ან.

...მაგრამ ჩვენ ვართ მათ წინაშე
დამნაშავენი. ჯერ იყო და, ყალბი
ლოზუნგებით, ჭეშმარიტებას მოცი-

და სიკეთისთვის შეიქმნა ადამიანი...

სიმპათიური, ჭორფლიანი გოგონა
გატაცებით ასრულებს სიმღერას
„ნარინჯისფერი ზეცა“ და თან ნა-
რინჯისფერ ზღვას, ცასა და მაჩიკოს
ხატავს. ამ სიმღერამ და მისმა შემ-
სრულებელმა შალე მოიხვეჭეს სა-
ხელი... ყველა აალაპარაკა ირმა სო-
ხაძის საოცარმა მუსიკალურობამ და
საშემსრულებლო ოსტატობამ, ყვე-
ლას აინტერესებდა, როგორი იქნებო-
და გოგონას მომავალი ბედი... და
ირმამაც არ გააწბილა თაყვანისმცე-
მლების იმედები. მღეროდა და ერთ-
დროულად მუსიკის ანაბანას ეუფ-
ლებოდა. დაამთავრა ნიჭიერთა ათ-
წლედი, შემდეგ — თბილისის კონ-
სერვატორიის ორი ფაკულტეტი —
საფორტეპიანო და თეორიული. წერ-
და საკუთარ სიმღერებს. შემდეგ გას-
ტროლები, აღიარება...

— ბევრს ჰგონია, — ამბობს ქალ-
ბატონი ირმა, — რომ გასტროლები
მხოლოდ ოვაციები, ყვავილები და
პატივისცემაა. ნამდვილ ხელოვნებას
კი თან სდევს მომქანცველი მრავალ-
საათიანი რეპეტიციები, ქალაქიდან-
ქალაქში, სასტუმროდან-სასტუმრო-
ში გადასვლა, ქანცგამწყვეტი შოგ-
ზაურობა...

ტელეფონი აწკრიალდა. ირმამ
მოიბოდიშა და ყურმილი აიღო. სა-
ხე უცებ მოეღრუბლა, შეწუხებულ-
ლებულ ნიადაგზე ვზრდიდით, ხელ-
ვყავით მათი სული და გული, ახლა
კი უკეთური დამოძღვრების შედეგს
ვიმკით.

...მრავალჯერ ვყოფილვარ საზღვა-
რგარეთ და ყოველთვის გული დამწ-
ყვეტია იმის გამო, რომ ჩვენს ბავშ-
ვებს ნამდვილი ბავშვობა არასოდეს
ჰქონიათ. მარტო დისნეილენდის და-
თვალიერება რამდენ სულიერ საზრ-
დოს აწვდის მოზარდის სულსა და
გონებას! ჩვენ კი რით შეგვიძლია გა-
ვახაროთ ჩვენი ნორჩები? გაპარტა-
ხებული „მზიურით“, გაჩანაგებული
ზოოპარკით, მოუწყობელი პარკები-
თა და მოშხამული ჰაერით? ის კი

არა, ჩვენს პატარებს წესიერი სათამაშოც კი არ გააჩნიათ.

ვიხსენებთ კინოფილმს „თოჯინები იცინიან“. ერთ-ერთი პერსონაჟი კითხულობს: „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო“. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! 70 წელზე მეტი გავიდა იმ რევოლუციის შემდეგ, ბავშვებს კი არათუ ნორმალური სათამაშო, ბევრი სხვა რამეც აკლიათ.

ბოლო წლებში მომძლავრებული უცხოური, დაბალი მხატვრული დონის ფილმები მოზარდებს სისასტიკისა და ძალადობისკენ უბიძგებენ. ბავშვებს კი უპირველესად სიკეთე და მიტევება უნდა ჩავუნერგოთ.

საიდან ისწავლოს მოზარდმა სიკეთე?

ოჯახში, მშობლებისგან, ახლობლებისგან, იმ წრისგან, სადაც იგი სწავლობს თუ თამაშობს. ბავშვის სულიერი სიწმინდის წყარო სიყვარული უნდა იყოს, მისი საქმიანობა სიყვარულით უნდა იყოს გამთბარი. ჩვენი შვილები აუცილებლად უნდა იყვნენ რომელიმე წრის წევრები — სპორტი იქნება თუ ხელოვნების რომელიმე დარგი...

— ამ ათიოდე წლის წინათ გადავწყვიტე, შემექმნა საბავშვო მუსიკალური თეატრი. მასში 5-15 წლის 15 მოზარდი გაერთიანდა. გამოვდიოდით კონცერტებზე, ვასრულებდით პოეტ გივი ჭიჭინაძის ლიბრეტოს მიხედვით შექმნილ ჩემს მუსიკალურ სპექტაკლებს — „ნაძვნარა ტყის ზღაპარი“, „ორი ზღაპარ-ქალაქი“. ამჟამად ისევ მე და ბატონი გივი ვმუშაობთ სპექტაკლ „პირველოქტაველებზე“. რეპეტიციებს ჩემს ბინაში ვატარებთ საკუთარი შენობის უქონლობის გამო.

— თქვენი გოგონაც დასის წევრია?

— დიახ, ჩემი შვილი წლის ნატო სიამოვნებით მონაწილეობს დადგმებში, განსაკუთრებით მალვინას როლი იტაცებს.

— რას გვეტყოდით თქვენი ოჯახის შესახებ?

— უფროსი გოგონა, სალომე, სკოლას ამთავრებს და ჰუმანიტარულ განხრას მიჰყვება. ჩემი მეუღლე, რეზო ასათიანი, ადრე მღეროდა, ახლა კი თავის ძირითად პროფესიას — ინჟინრობას დაუბრუნდა, სამშენებლო სამმართველოს უფროსია...

ქალბატონი ირმა საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების მთავარი რედაქტორია და, ბუნებრივია, ძალზეა გადატვირთული: სამსახური, რეპეტიციები, კონცერტები, ოჯახი, შვილები...

— ვცდილობ, ოჯახს ყურადღება არ მოვაკლო, ბავშვებს ხომ დედის სითბო და ალერსი ყველაზე მეტად სჭირდებათ.

...დიახ, ჩვენი ვალია, ყველაფერი ვიღონოთ მომავალი თაობის უკეთესი მერმისისათვის. ყველა გაჭირვება უნდა დავივიწყოთ და ბავშვებს კი არაფერი მოვაკლოთ. ავფორიაქდი, როცა გავიგე, საქართველოში 5000 მძიმედ დაავადებული ბავშვია. უცხოეთის კლინიკებში მათ გასაგზავნად უამრავი თანხა იყო საჭირო. მაშინ ტელევიზიით გამოვედი და ვთხოვე, ვისაც შეეძლო, თავისი ხელფასიდან თითო მანეთი გადმოერიცხა. ჩვენი ხალხი გულმოწყალეა, იმდენი თანხა შეგროვდა, რომ უკვე 31 ბავშვს აღმოვუჩინეთ დახმარება. ფილარმონიაში გამართულ საქველმოქმედო მარათონში კი 700000 მანეთი გაიღეს დამსწრეებმა. გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვისაც გული შესტკივა და დახმარებას უწევს ავადმყოფ ბავშვებს...

ქალბატონ ირმას ხშირად აწუხებენ: ხან საგზურს სთხოვენ, ხან — წამალს, ხან—ბინას და... პურის ფულსაც კი... ისიც ხან ერთ დაწესებულებას მიადგება, ხან ზოგიერთ გავლენიან პირს მიაკითხავს, ხან ნაცნობს და ხან უცნობს აწუხებს, ოღონდ ადამიანი არ გააწბილოს და იმედი არ დაუკარგოს.

სენეკას უთქვამს, ძნელბედობისას ნუ კარგავ იმედსო. სწორედ ამ იმედით განაგრძობს თავის საკონცერტო თუ საქველმოქმედო მოღვაწეობას, ლამაზი სიმღერების შექმნას კეთილი და სათნო ქართველი მანდილოსანი, ტკბილი ოჯახის პატრონი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ირმა სოხაძე.

ნანა ფავლენიშვილი



ბებია (3 წლის ნათიას): — დილით ასე უნდა მიესალმო, ნაცნობს — „დილა მშვიდობისა“, საღამოს — „საღამო მშვიდობისა“.

ნათია: — ხვალ „ხვალე მშვიდობისა“ უნდა ვუთხრა?

3 წლის ნათია: — ფეხები მტკივა!

ბებია: — რატომ, შვილო?

ნათია: — დედამ შემწვარი კარტოფილი მაჭამა და იმიტომ!

(ნათიას შემწვარი კარტოფილი არ უყვარს).

8 წლის გიორგის ძალიან უყვარს გივი ბაბუა. გიორგის მშობლებს ბიჭი შეეძინათ, რომელსაც ბაბუას სახელი — გივი დაარქვეს. შინ მოყვანილ ჩვილს ყველა თავს ევლება.

გიორგი (ყურში უჩურჩულებს ბაბუას):— ბაბუ, მოდი, მე გივი ვიქნები, მაგას გიორგი ერქვას, კარგი?

6 წლის თინიკო დედასთან ერთად საოჯახო ალბომს თვალიერებს.

დედა: — აი, ამ სურათზე ჩემი და მამაშენის ქორწილია აღბეჭდილი. ეს დეიდა მზია, ეს — ძია თემური, ეს — ჩემი მამა, და, ეს — ფიქრია.

თინიკო (განაწყენებული): — კი მაგრამ, ყველა რომ იქ ყოფილა, მე რატომ არ დამპატიჟე?

— ეს რა შენობაა? — ეკითხება 5 წლის ნუგზარი დედას.

— აქ ბავშვებს ყიდიან.

— სინათლე რატომ არ უნთიათ?

— ახლა დაკეტილია.

— ალბათ ბავშვები გაუთავდათ, — დაასკვნა ნუგზარმა.

ტელევიზორში მულტფილმია. 5 წლის რატი ინტერესით უყურებს. ბებია მეზობელთან მუსაიფობს.

რატი: — გაჩუმდი, ბებო, თორემ „მაცნე“ რომ დაიწყება, მე ვილაპარაკებ.

ბებია (3 წლის ნათიას): — დამახვენებ, გოგო, თუ არა?

ნათია: — გაგახვენებ, ჰო, გაგახვენებ!

ძმები გრიმები

ძმები გრიმები... ვინ მოთვლის რამდენი ქვეყნის რამდენ ბავშვს გასძღოლიან ეს მეზღაპრე ძმები კეთილი ფერიებით, ბოროტი ჯადოქრებით, ბედნიერი უფლისწულებით, კეთილშობილი რაინდებით თუ დოყლაპია ხელმწიფეებით დასახლებულ საოცნებო სამყაროში! რამდენი გოგო-ბიჭი შეუმზადებიათ ძილის წინ უცხო ჯადოსნური სიზმრების სანახავად! რამდენისთვის უსწავლებიათ გონიერებისა და შრომაგარჯის ყადრი, რამდენის გულში ჩაუგდიათ სიკეთის თესლი.

ბევრი, ძალზე ბევრია დედამიწაზე ასეთი ადამიანი, უკვე დიდი თუ ჯერაც პატარა, და, აი, ამ ძალზე ბევრიდან ძალზე ცოტამ თუ იცის ძმების სახელებიც კი. ძმები გრიმები — მორჩა და გათავდა, მათ წიგნებსაც ხომ მხოლოდ ასე აწერია... ძმათაგან უფროსს იაკობი ერქვა, უმცროსს — ვილჰელმი. ორივენი გამოჩენილი ფილოლოგები, გერმანული ფოლკლორისტიკის, მეცნიერული მითოლოგიის ფუძემდებლები იყვნენ. მაშინ, მე-18 საუკუნეში, როცა ქვეყნისა და ხალხის დაქუცმაცებულობით, დაქსაქსულობით შეწუხებულმა მოწინავე ადამიანებმა სავსებით მართებულად გადაწყვიტეს, რომ გერმანიის გაერთიანებისთვის საჭირო იყო ხალხს დაენახა, რომ მისი მიწა-წყლის ყველა კუთხის მკვიდრთ ერთიანი ისტორია, კულტურა, მითოლოგია და ზეპირსიტყვიერება ჰქონდათ. ძმები ამ დროს სტუდენტი იურისტები იყვნენ. სამშობლოს გაერთიანების წმინდა იდეებით გატაცებული ახალგაზრდები უყოყმანოდ ჩაერთვნენ გერმანული ხალხური სიმღერებისა და ზღაპრების შეგროვების საქმეში. ... მათ უამრავი ზღაპრული სიუჟეტი დააგროვეს და გადაწყვიტეს, ისევე, ხელუხლებელი სახით გამოეცათ ისინი. გამოსცეს კიდეც, მაგრამ პირველ ცდას მაინცდამაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ვილჰელმი და იაკობი მიხვდნენ შეცდომას და ხელი მოჰკიდეს შეგროვილი მასალის ლიტერატურულ დამუშავებას. ასე გაჩნდა საუცხოო ზღაპრების წიგნი — „საბავშვო და საშინაო ზღაპრები".

დროთა განმავლობაში ძმები სულ უფრო მეტად მომთხოვნი გახდნენ საკუთარი თავის მიმართ, გულდაგულ არჩევდნენ გამოსაქვეყნებლად ზღაპრებსა თუ სიმღერებს. ამის შედეგად გრიმების არქივში დიდძალი მასალა დაგროვდა, ზოგი სამუდამოდ დაწუნებული, ზოგიც — უბრალოდ, დროის უქონლობის გამო დაუმუშავებლად დარჩენილი. აი, ამ უკანასკნელთა რიცხვს, ძმები გრიმების ხელნაწერ მემკვიდრეობას განეკუთვნება ჩვენს მიერ დღეს შემოთავაზებული ზღაპარიც.

მოხუცი ჯარისკაცის თეთრეული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ჯარისკაცი. ერთხელაც ამ მოხუც ჯარისკაცს დაესიზმრა, რომ მეფე გახდებოდა. გაუხარდა, იფიქრა, „ვინ იცის, იქნებ მართლა ამიხდეს სიზმარი და მეც ბედს ვეწიოო". ადგა და გზას გაუდგა. იარა, იარა და ანაზდად კარეტა შემოხვდა. „მოდი და, უკან შევახტები, სატერფულებზე, აგე, რამხელა გზა მიძევს წინო", — გადაწყვიტა ჯარისკაცმა და ის იყო, შეახტა კიდეც, რომ კარეტა გაჩერდა, კარეტაში მჯდომმა თავი გადმოყო და წყრომით იკითხა:

— როგორ გაბედე, უნებართვოდ გესარგებლა ჩემი კარეტით?

— მე ბატონს ვეძებ, თქვენო ბრწყინვალებავ! — არ დაიბნა ჯარისკაცი.

— გინდა, ჩემთან იმსახურო? — ჰკითხა კარეტის პატრონმა.

— უდიდესი სიამოვნებით, — დათანხმდა ჯარისკაცი.

— კარგი, და რაკილა შევთანხმდით, დარჩი მანდ, სატერფულებზე, — თავი დაუქნია ბატონმა და გასწიეს, ოღონდ საით, ახალ ბატონს არ უთქვამს. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ძველებურ სასახლეს მიადგნენ. ბატონი კარეტიდან გადმობრძანდა და ჯარისკაცს უთხრა:

— ეს სასახლე მე მეკუთვნის, შენც აქ იცხოვრებ ჩემთან ერთად. გულდასმით მოისმინე და კარგად დაიხსომე, რა გევალება: ჯერ ერთი, სასახლეში ასი ოთახია, მათგან ოთხმოცდაცხრამეტში შეგიძლია შეხვიდე ხოლმე და ის ჭამო და სვა, რაც მოგესურვება, მეასე ოთახის გაღება კი არამც და არამც არ გაბედო, თორემ იცოდე, განანებ, სიცოცხლის ფასად დაგიჯდება. მეორეც — თეთრ რაშს უნდა მოუარო და იმდენი ნახორხალი აჭამო, რამდენსაც შეირგებს...

— სად გაგონილა, ცხენს ნახორხალი როგორ ვაჭამო? — შეესიტყვა ჯარისკაცი.

— რასაც გეუბნებიან, ის გაიგონე, თუ არ გინდა, რომ დაისაჯო, გაიგე?! — გაბრაზდა სასახლის პატრონი, მერე თავი დაიოკა და განაგრძო: — და მესამეც: ბებერ პუდელს უნდა მოუარო და იმდენი თივა აჭამო, რამდენსაც შეირგებს... სულ ეს არის შენი მოვალეობა.

მე ბმირად მიწევს ხოლმე სასახლის დატოვება, მაგრამ იცოდე, სადაც უნდა ვიყო, ვერაფერს გამომაპარებ, ყველაფერს შევიტყობ. ზუსტად შეასრულე ყველა ჩემი განკარგულება. როგორც კი რაიმეს დაარღვევ, გიმეორებ, სიცოცხლის ფასად დაგისვამ, — ერთხელაც გაუმეორა სასახლის პატრონმა, ჩაჯდა კარეტაში და წავიდა. ჯარისკაცმა კი თეთრ რაშს ნახორხალი კი არა, თივა დაუყარა, პუდელს იმას აჭმევდა, რასაც თვითონ ჭამდა, თავისი პატრონის მუქარა კი სულ გადაავიწყდა. ერთხელაც შევიდა ჯარისკაცი თავლაში, თეთრონისათვის თივა უნდა დაეყარა, და ყურებს არ დაუჯერა — ცხენმა ადამიანის ენაზე დაილაპარაკა:

— მეგობარო, კეთილი კაცი ჩანხარ, მოდი, ბარემ გამათავისუფლე. თუ მზად ხარ ეს გააკეთო, მითხარი და მე ისეთ საიდუმლოს გაგიმხელ, რომლის მეოხებითაც, თუ მოინდომებ, ბედს ეწევი.

გაოცებული ჯარისკაცი დაეთანხმა, თუმცა არც თუ სანდოდ მოეჩვენა ცხენის სიტყვები.

— მაშინ იმ აკრძალულ მეახე ოთახში შედი, — განაგრძო ცხენმა. — იქ წყლით სავსე ვარცლს დაინახავ, არ შეეყოყმანდე, სამჯერ განიბანე იმ წყლით და ისე გაჭაბუკდები და გალამაზდები, რომ ბადალი არ გეყოლება. იმ ოთახში სამი ოქროს შანდალიცა დგას, აიღე და ზურგჩანთაში ჩააწყვე, იცოდე, მალევე გამობრუნდი, შემომაჯექი და დედაქალაქისაკენ გამაჭენე. იქ მეფის სასახლეში მებაღის თანაშემწედ უნდა დადგე. პუდელიც ჩვენ წამოგვყვება. ამ სასახლის პატრონი ჯადოქარია და გამოგვიდგება, მაგრამ შენ ნურაფრისა შეგეშინდება.

ჯარისკაცი ისე მოიქცა, როგორც თეთრონმა დაარიგა, მერე ზურგზე მოახტა და ცხენი ისარივით გავარდა სასახლის კარიბჭეში. პუდელიც თან გაჰყვა. ერთ საათსაც არ გაევლო, რომ ჯადოქარი უკან გამოუდგა, ყველაფერი შეეტყო და ახლა გაავებული ბრდღვინავდა. მისდევს ჯადოქარი გაქცეულებს, სადაც არის, უნდა წამოეწიოს, მიიხედა თეთრონმა უკან და ჯარისკაცს უთხრა:

— ერთი ოქროს შანდალი გადააგდე!

მოიქნია ჯარისკაცმა შანდალი და გადააგდო. მათ უკან უმალ აზვირთებული ზღვა გაჩნდა. გაუჭირდა ჯადოქარს ზღვის გადალახვა, ლტოლვილებმა კარგა დიდზე გაუსწრეს. მაგრამ ჯადოქარმა მაინც გადაცურა ზღვა, ძალა მოიკრიბა და სულ მალე დაეწია. ცოტაც და — სწვდებოდა, მაგრამ თეთრმა რაშმა კვლავ უთხრა ჯარისკაცს:

— მეორე შანდალიც გადააგდე!

გადააგდო ჯარისკაცმა მეორე შანდალიც და მყისვე მაღალი გალავანი წამოიმართა. მაგრამ ჯადოქარმა ის გადალახა და ჯარისკაცს მესამე შანდლის გადაგდებაც მოუხდა, რომელიც ბუჩქნარით დაფარულ უზარმაზარ მთად აიზიდა.

— ამ მთას ეგრე იოლად ვერ გადმოვა, — თქვა თეთრონმა, — ხოლო როცა გადმოვა, უკვე ისე შორს ვიქნებით, რომ ჩვენს გზა-კვალსაც ვერ მიაგნებს.

ასეც მოხდა, და თეთრმა რაშმა, ჯარისკაცმა და პუდელმა მშვიდობიანად მიაღწიეს ქალაქის კარიბჭეს.

— მე აქ დავრჩები, შენ კი ქალაქში შედი და ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგე, — უთხრა თეთრონმა ჯარისკაცს, — ხოლო თუ გაგიჭირდეს, ამ ადგილზე მოდი, დამიძახე — „სადა ხარ, ჩემო თეთრონო-თქო!“ — და უმალ შენთან გავჩნდები.

გული სწყდებოდა ჯარისკაცს, არ უნდოდა თეთრ რაშთან განშორება, მაგრამ რას იზამდა, დაპირება უნდა შეესრულებინა — მეფის მებაღეს თანაშემწედ უნდა დასდგომოდა. მეფის მებაღემ მაშინვე აიყვანა ჯარისკაცი, ოღონდ უთხრა, იცოდე, კი არ უნდა დამეხმარო, ყველა საქმეშიო შენ თვითონვე უნდა აკეთო. ჯარისკაცმა ბაღისა არაფერი იცოდა და შეწუხდა, მერე მეგობარი გაახსენდა, სასოწარკვეთილი ქალაქის კარიბჭესთან მივიდა და თეთრონი გამოიხმო. ჯარისკაცის დაძახილზე თეთრი რაში მაშინვე იქ გაჩნდა და იმანაც უამბო თავისი გასაჭირი.

— ნუ ნაღვლობ, — უთხრა თეთრონმა. — წადი შინ, მთელი შენი სამუშაო შესრულებული დაგხვდება.

მართლაც, მთელი ეს უზარმაზარი ბაღი მოვლილი დახვდა ჯარისკაცს: ხეები — შემობარული, ბუჩქები და ბალახი — გაკრეჭილი, ყვავილებიც საუცხოოდ დარგული. ასე ხდებოდა ყოველდღე, ნამუშაკევი ისეთი მშვენიერი იყო ხოლმე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა. ეს რა კარგი და გამრჯე თანაშემწე ჰყავს მეფის მებაღეს, ყველაფერს როგორ გემოვნებით აკეთებსო, — აღტაცებული იყო ხალხი.

გავიდა ერთი წელი და იმ ქვეყნის მეფეს შტერმა შემოუტია, იმძლავრა და დედაქალაქის გალავანსაც მოადგა. არ იცოდა ჯარისკაცმა, როგორ მოქცეულიყო და თეთრი რაში გამოიხმო — რა ვქნა, ქალაქში დავრჩე თუ თავს ვუშველოო. თეთრონმა კი მიუგო:

— შენ ხომ ჯარისკაცი ხარ და თავს კი არა, ქალაქსა



ანზორ აბულაშვილი — 60

ჩაიკროლა შინაგანი წვის, სიტყვასთან და რითმასთან ჭიდილის, მკითხველის გულთან და სულთან მისასვლელი ბილიკების ძიების ოთხ ათეულზე მეტმა წელიწადმა.

ჩაიკროლა, მაგრამ არა უნაყოფოდ: პირიქით — ჩამოიმარცვლა ათეულობით, ასეულობით მშვენიერ ლექსთა კრიალოსანი.

სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი... მისი ფირუზისფერი ცა და ზურმუხტოვანი ხმელეთი... ქართული გენის, ქართული სულის სიმაღლე და მშვენიერება, ვაუკაცური შემართება, უსაზღვრო სიკეთე, სიბრძნე და გონიერება... თვალმახვილი, მუსიკასავით მშვენიერ ლექსებადაა ჩამოქნილი.

პოეტის ლექსების პირველ ჟღერ[illegible] ბული 1961 წელს დასტამბა „ნაკადულმა". ამჟამად იგი ოცზე მეტი წიგნის ავტორია.

ანზორ აბულაშვილს გამორჩევით უყვარს ბავშვები. ამ სიყვარულს იგი არა მარტო ყმაწვილთათვის შექმნილი ლექსებით, არამედ მთელი თავისი საქმიანობით გამოხატავს. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი იუბილარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1962-1980 წ.წ.) მუშაობდა ჟურნალ „დილაში", ამჟამად კი საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილის" რედაქტორია.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია და სარედაქციო კოლეგია „ნაკადულის" თვალშეუდგამი სისწრაფით მიჰქრიან წლები.

აგერ, ანზორ აბულაშვილი, ჩვენი ჟურნალის რედაქციის ხშირი და მარად სასურველი სტუმარი, ყმაწვილთათვის (და არა მარტო ყმაწვილთა-თვის) კარგად ცნობილი და საყვარელი პოეტი, 60 წლისა გამხდარა!

ჩაიკროლა შინაგანი წვის, სიტყვასთან და რითმასთან ჭიდილის, მკითხველის გულთან და სულთან მისასვლელი ბილიკების ძიების ოთხ ათეულზე მეტმა წელიწადმა.

ჩაიკროლა, მაგრამ არა უნაყოფოდ: პირიქით — ჩამოიმარცვლა ათეულობით, ასეულობით მშვენიერ ლექსთა კრიალოსანი.

სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი... მისი ფირუზისფერი ცა და ზურმუხტოვანი ხმელეთი... ქართული გენის, ქართული სულის სიმაღლე და მშვენიერება, ვაუკაცური შემართება, უსაზღვრო სიკეთე, სიბრძნე და გონიერება... თვალმახვილი, მუსიკასავით მშვენიერ ლექსებადაა ჩამოქნილი.

პოეტის ლექსების პირველ ჟღერ[illegible] ბული 1961 წელს დასტამბა „ნაკადულმა". ამჟამად იგი ოცზე მეტი წიგნის ავტორია.

ანზორ აბულაშვილს გამორჩევით უყვარს ბავშვები. ამ სიყვარულს იგი არა მარტო ყმაწვილთათვის შექმნილი ლექსებით, არამედ მთელი თავისი საქმიანობით გამოხატავს. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი იუბილარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1962-1980 წ.წ.) მუშაობდა ჟურნალ „დილაში", ამჟამად კი საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილის" რედაქტორია.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია და სარედაქციო კოლეგია „ნაკადულის" მრავალათასიან მკითხველთან ერთად სულითა და გულით ულოცავს ანზორ აბულაშვილს მესამოცე წლისთავს და უშრეტ შემოქმედებით ენერგიას, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს მას.

და მის მცხოვრებთ უნდა უშველო, ჩალისფერი ცხენი, აბჯარი და იარაღი ჩემზე იყოს. შენ მტერს თავს დაესხმები და უკუაქცევ. — თქვა და უმალ ყველაფერი გაიჩინა — ჩალისფერი ცხენიც, აბჯარიც და იარაღიც.

ჯარისკაცი აბჯრით შეიმოსა, იარაღი აისხა, ჩალისფერ ცხენზე შეჯდა და მტერს შეუტია, შეუტია და გააქცია. მაგრამ მეორე დღეს მომხვდურნი ისევ შემოადგნენ ქალაქს. და ჯარისკაცმა ისევ გამოიხმო თეთრი რაში. მისცა მაშინ თეთრონმა ჯარისკაცს შავრა და ახალი საჭურველი. კვლავ შეუტია ჯარისკაცმა და კვლავ გააქცია მტერი, მაგრამ ბევრნი იყვნენ და ჯარისკაცს უკვე თეთრონზე ამხედრებულს მოუხდა ბრძოლა. მაშინ კი გაანადგურა, ხოლო გადარჩენილებს კუდით ქვა ასროლინა. წავიდნენ და წავიდნენ, აქეთ აღარასოდეს გამოუხედავთ.

გაოცებულმა მეფემ ბრძანა, მოეძებნათ ის გულადი რაინდი, ქვეყანა რომ იხსნა და მისი ასულის ხელი შეეთავაზებინათ. მოძებნეს ჯარისკაცი და მეფეს აახლეს. იმან თავისი ქალი შერთო და ტახტის მემკვიდრეობაც უბოძა. მეორე დღეს, როცა ჯარისკაცი თეთრონს შეხვდა, მან უთხრა:

— შენ შენს ბედს ეწიე. ბედნიერი ხარ და ალბათ მე სულ დამივიწყებ!

მოიკლა ჯარისკაცმა თავი, ეგ არ იქნება, არ მოხდებაო, ყველაფერს შენ უნდა გიმადლოდე და როგორ დაგშორდებიო, მაგრამ გამართლდა თეთრონის სიტყვა. გაუტკბა ჯარისკაცს სასახლის კარის ცხოვრება, სახელმწიფო საქმეებსა და დროსტარებაში ერთგული მეგობარი სულ გადაავიწყდა, რამდენიმე წლის განმავლობაში საერთოდ არ გახსენებია. მაგრამ ერთხელ ქალაქის შემოგარენში რომ სეირნობდა, თეთრონიც გახსენდა და თავისი დაპირებაც. შერცხვა. გული ეტკინა, და შესძახა: სად ხარ, ჩემო თეთრონოო! თიქოს მიწიდან ამოძვრაო, თეთრი რაში უმალ იქ გაჩნდა და უთხრა:

— სწორედ რომ კარგ დროს გაგახსენდი, თორემ აღარაფერი გიშველიდა, დაიღუპებოდი. ახლა კი აიღე და შენი მახვილით მე და პუდელს თავები დაგვაყრევინე, ჯადოსაგან გაგვათავისუფლე!

ისე მოიქცა ჯარისკაცი, როგორც თეთრონმა უბრძანა, და უეცრად თვალწინ მშვენიერი პრინცი და პრინცესა წარმოუდგნენ. ისინი იმ ბოროტ ჯადოქარს მოეჯადოებინა, ყველანი ერთად რომ გამოექცნენ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთად გამოსწიეს ქალაქისკენ. პრინცი და პრინცესა იმ ქვეყანაში დასახლდნენ, სადაც ტახტზე უკვე ჯარისკაცი იჯდა და ცხოვრობდნენ სამივენი ბედნიერად და სიამტკბილობით.

თარგმნა მ. ხოსიტაშვილმა

ანზორ აბულაშვილი

მაზრის კომისარი

(ჭარსულიდან)

ცრემლში წვიმა-თოვლს ურევდა
ქოხმახებს შორის სასახლედ
მოჩანდა ორი სართული.
აივნის მხარეს, ერთ-ერთ სვეტს
ამკობდა ღამის სანთური.
მეორე მხარეს გომური
(ცოდვა უხილავს რამდენი!),
იმ წლებში სახელდახელოდ
„ხალხის მტრის“
გამოსამწყვდევი.
თვით სახლის თავზე წითელი
დროშაც თითქოსდა კრთებოდა,
იმ აივანზე მრისხანე,
კაცი რომ გადმოდგებოდა —
„ბუდიონოვკით“, ჩექმებით.
მაუზერით და მაზარით.
კაცი კი არა — იმ მაზრას
თავს დატეხილი თავზარი...
ახლა ძნელია ყველაფრის
გარკვევაცა და გარჩევაც,
მაგრამ ის ბნელი წარსული
ხსოვნაში მარად დარჩება.
ეჩვენებოდა ხალხის მტრად
იმ ფარაჯიანს სუყველა,
ვინ რად გაბაწრა, ვინ იციის,
ვინ იცის, ვის სად უყელა.
ასე მგონია, თავად ხალხს
ხალხის მტრად თვლიდა ერთიან,
დღემდე სწვავს მრავალს,
მის გამო
რაც ცრემლი გადმოსწვეთია.
ვითომც ებრძოდა მშრომელთა
მჩაგვრელებსა და ორგულებს.

იყო დრო, ამ წყნარ სოფელში
ჟამი იმგვარად დიოდა,
შიში — ხან სიცხე სდაღავდათ,
ხან სიცხეშიაც სციოდათ.
ცხოვრობდა ცენტრი სამაზრო,
მთას შეფენილი სოფელი,
თავის დარდით და წუხილით,
სხვათაგან განუყოფელით.
აქ სახლი მახსოვს ქვიტკირის,
გზა-შარას გადაჰყურებდა...
დრო — ქარიშხალში სისხლსა და
თანაც ხან საყდრებს ანგრევდა,
ხან ციხე-კოშკის ქონგურებს.
დღეს იქნებ არც კი მერწმუნოთ,
იქნებ გეგონოთ ზღაპარი.
ქვიტკირის სახლში მთელ ღამეს
ხრჩოლავდა ჭრაქი — ლამპარი,
გომურიდან კი ტუსაღთა
კვნესა და წყევლა ისმოდა,
მას კი თვის ნამოქმედარით
თვალები გადაცისკროდა.
ასეთ კაცს, ანუ არაკაცს,
ალბათ, ნადირს თუ შევადრით.
კედლიდან ღიმით დასცქერდა
პორტრეტი დიდი ბელადის.
გულს არასოდეს ულბობდა
მოთქმა და ტაძრის ნანგრევი...
და ბოლო დროის „მჩაგვრელებს“
სპოზდა ახალი მჩაგვრელი..
მაგრამ სამარე ყოველთვის
მარტო სხვისთვის არ ითხრება
და ავის მოქმედს ერთხელაც
თავისი მოეკითხება.
მასაც უწიეს, სხვის სამტროდ
„საქმეში“ ჩაფლულს ყელამდე
და სატუსაღო გომურში
პანღურ-კინწრისკვრით შეაგდეს.
თვით გამოსცდიდა, რაც იყო,
ალბათ, ხარო თუ „კარცერი“,
გამოგონილი მტრისაგან
რევოლუციის დამცველი...
მას მერე ჩამოიმარცვლა
ტაატით ნელი მრავალი.
ღვთის მადლით, ახლა სხვა
გვიდევს
გზა — მომავლისკენ სავალი.

ხატვარი ირა რაზმაძე

ბუხართან

სიდონი გაბრიელ კოლეტი
მხატვარი ბურამ ნემსაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებიერა კიკი – ანგორის ჯიშის ზოლიანი კატა.

ძაღლი ტობი – ბულ-ტერიერი, ინგლისური ჯიშის ძაღლი (ოთახის ძაღლი).

წვიმს. ოქტომბრის ქარი ხველ ფოთლებს ჰაერში ატრიალებს. შემოდგომაა. ქალმა პირველად დაანთო ბუხარი. ცეცხლის დანახვაზე გახარებული ნებიერა კიკი და ძაღლი ტობი კუთხეში, ბუხრის თბილ მარმარილოსთან, გვერდიგვერდ მიწოლილან, მონუსხულები შესცქერიან ცეცხლის ენებს. ენგულში მადლობას სწირავენ მას.

ნებიერა კიკი: – (თათები აღარ უჩანს, მუცელქვეშ ამოუდვია, ბალიშივით დასკუპულა) – შენ ისევ მოხვედი, ცეცხლო?! ასეთი ლამაზი თუ იყავი, არ მახსოვდი. დიდებულო! შენი დანახვა მიხარია, მაგრამ მორცხვი ვარ და ვერ გიმხელ. თვალებს ვჭუტავ, შენი სინათლე თვალს მილულავს და სახეზე ბნელი და შმაგი ფიქრები აღარ მეხატება. შენს ტკაცატკუცში იკარგება ჩემი ჩუმი კრუტუნი. ძალიან ნუ გიზგიზებ, ნუ მაკრი ნაპერწკლებს ქურქზე, რა ოინბაზი ხარ...

ძაღლი ტობი: – (სიცხისაგან გათანგული, ენაგადმოგდებული, აპრიალებული თვალებით) – ბარაქალა, შენ, ცეცხლო! ღვთაებავ! მართალია, ისევ პატარა ვარ, მაგრამ კარგად მახსოვს, სულ პირველად ქალბატონის ხელმა როგორ გაგაღვიძა სწორედ ამ ბუხარში. ღმერთივით მომეევლინე, იდუმალო! გამაოცე! მე ხომ ჯერ ლეკვი ვიყავი, ახლად შობილი ლეკვი. ის შიში ჯერაც არ გამნელებია. აუჰ, რა იყო ის წითელი, რა მესროლე, ნემსივით მეცა!.. კინაღამ ტყავი დამიწვა... მეშინიან... ჰო, მოდი, გავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს. რა ლამაზი ხარ! მუქი ვარდისფერი შუაგულიდან ოქროსფერ ნაკუწებს ისვრი, ცისფერი ჰაერის შხეფებს. კვამლი ტრიალებს, იკლაკნება და უცნაურ ცხოველებს ხატავს... დამცხა! ცოტა გაენელდი, რა! მეუფეო, ცეცხლო, ვერ ხედავ, დრუნჩი როგორ გამომიშრა, მთლად დამისკდა და ჭრაჭაჭრუჭ გაუდის... ნუთუ ვერ ამჩნევ, ყურები როგორ მილაპლაპებს? თათგამოწვდილი გევედრები, ვეღარ ვუძლებ ამ სიამეს! (შებრუნდება) რას იზამ, ბოლომდე მოსაწონი არაფერია. კარის ქვეშიდან სუსხი იპარება და ნემსებივით მჩხვლეტს უბალნო ბარძაყებზე. გამეთოშოს ზურგი, ახია მაგაზე, შენ ხომ ჩემს პირდაპირ ხარ, ცეცხლო, რომ გეთაყვანო!

ნებიერა კიკი: – ცეცხლო, მე კატა ვარ და ამიტომ ყველაფერს ვხვდები, რაც შენს მიღმა ხდება. წინასწარ ვგრძნობ ზამთარს! გულს მიფორიაქებს, მაგრამ მაინც მოუთმენლად ველი. ზამთრის პატივისცემის ნიშნად ბეწვი უფრო ფაფუკი მიხდება, უფრო მიბზინავს. წაბლისფერი ზოლები მიშავდება, მუცელზე ქათიბი ისე მიელვარებს, ავი თვალით არ ინახება. კუდზე რაღა გითხრა, ვეფხვივით წითურად და შავად მაქვს დაზოლილი, კეტივით აშვერილი. ყურის ბოლოებზე თითო ქოჩორი მაღგას, რბილი და ხავერდოვანი. ქალბატონი მეუბნება, ეს შენი საყურეებიაო... აბა, მითხარი, რომელი კატა დამიდგება წინ? ვიცი, იანვრის ღამეები რასაც მპირდებიან. გათოშილი მთვარის შუქზე სერენადებს დავამღერებ, სახურავის ქიმზე სატრფოს მედიდურად დაველოდები, ორღობეში მეტოქესაც შევერკინები... რა ვქნა, ვჯობნი სხვებს!.. მერე კუდს გავაქიცინებ, ყურებს კეფაზე დავიწყობ, უმოწყალოდ ავქშუტუნდები, დავიძაგრები, თითქოს გულის ასარევად ვემზადებიო და... აღმომხდება ხმა, ხმა ნარნარი და თან ისეთი მჭექარე, რომ ორივე ორთათას ძილს დავუფრთხობ. განგებ ავცრემლდები, ავქვითინდები; ბაღში ბოლთის ცემას დავიწყებ, გავიფხორები, ბნელ-ბნელ კუნჭულებს ჩამოვუვლი და ისე მოვიგიჟიანებ თავს, რომ ხვადებს სულ შიშის ზარს დავცემ!

ძაღლი ტობი: – ძაღლი ვარ და ამიტომ წინასწარ ვხვდები, ცეცხლო, რა ამბავია. ჩვენს თავს – ხიხარული მოგაქვს თუ განსაცდელს გვიმზადებ. ბაღში უკვე წვიმს. მგორი გზაზეც, ალბათ ტყეშიც. ზაფხულში რომ გაავდრდება, წვიმის წვეთები თბილად მეცემა მტვრისაგან გაჭუჭყიანებულ რუხ დრუნჩზე, მაშინ ნოტიო ჰაერის ყნოსვით ვტკბები, რომელიც დასავლეთიდან მოაქვს ხოლმე ქარს. ცა იღრუბლება, გარეთ ქარი გულისგამაწვრილებლად ზუზუნებს, ჩემსავით ყმუის. რას მერჩის, უნდა, რომ წამოუბეროს და მაინცადამაინც ყურები დამაცქვეტინოს. იკაშკაშე, ცეცხლო! იცი, ძლივს მოვიპოვებ ხოლმე უფლებას, რომ შენს წინ ჩავიცუცქო და გეთაყვანო! უნდა გითხრა, რომ ქალბატონს გარეთ, წვიმაში უყვარს ხეტიალი. თავზე წვეტიან კაპიშონს რომ წამოიხურავს, მეშინია, ისეთი შესახედავი ხდება. მერე თავის ოჩოფეხებზე შედგება და ჰერი... პატარ-პატარა გუბეებში დატოპაობს, ტალახში დააბოტებს, ნამით ხავსს ხომ სულ ვერ ამჩნევს, ზედ გადაუვლის! მეც უკან უნდა გავყვე: რა ვქნა, შევპირდი, მთელი ცხოვრება შენს უკან ვივლი-მეთქი და... ჰოდა, გავყვები ასე, უსიტყვოდ, უნუგეშოდ. წვიმის წყალი ზურგს კი გამიკრიალებს, მაგრამ მუცლის ქათიბი სველი ქვიშით სულ დამეთხუპნება. მივყვები, მივყვები და უცებ, ჩემი გაჭირვება ხომ იცი, მუცელი ამიბუყბუყდება, ყველაფერი დამავიწყდება. უცნაურად მოვიქცევი. ფეხებით მიწას ისე მოვფხოჭნი, რომ წვრილწვრილ ღეროებს ძირფესვიანად ამოვთხრი, ბალახბულახს სულ გადავთელავ. ჰაერში ნეშოს საძაგელი სუნი დატრიალდება... ქალბატონს მოეწონება ჩემი სიანცე, ლაპარაკის საღერღელი აეშლება და ჩვენც გამო

გაინძერი, ტოლჩასავით რომ დასკუპულხარ! აი, გაგიფრინდა კოდეცო". ქალბატონი ჩემსავე თავს ისე შემაცოდებს, რომ ლაძის ამატიროს: „ო, ჩემო პატარა მურია, როგორ ჰგავხარ ცილინდრსაო, ხმელეთზე თუ წყალში ჩემი ერთგული ხარ და როგორ შეგცივნიაო! როგორ დასველებულხარ, ასე ნეტავ რას განიცდი, რატომ მოიწყინეო"? მანამ მივუხვდები, გულწრფელად ვებრალები თუ არა, თვალები ცრემლებით მევსება, თითქოს ყელში წამიჭირესო და... მე და ქალბატონი ერთ ხმაზე ამოვიოხრებთ... ბედნიერებისაგან თავს რეტდამესხმება, როცა მისი ჭირვეული ოჩოფეხები შინისაკენ იზამეს პირს. ერთი სული აქვთ, სახლის პატრონი იპოვნონ, მაგრამ ამას ჩქარი სიარული ჰქვიან? მიიზლაზნებიან და მეტი არაფერი. მე ქალბატონის გარშემო დავიწყებ ცქმუტვას, ავყეფდები, ვიჩქარებ, რომ გზა მოვჭრა და ეს გორაკი სწრაფად გადავიაროთ. გზაზე თავლის და დამწვარი შეშის სურნელი გაგვაბრუებს. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩვენს სადგომს ვუახლოვდებით. ფანჯრის მინა დაორთქლილი იქნება, მაგრამ მაინც დაგინახავ, მოკაშკაშე ცეცხლო! ზღურბლზე ფეხს შემოვდგამ თუ არა, მაშინვე რაღაც ძილქუში მომერევა და შენს წინ გავწვები. სითბოზე მუცლიდან მშრალი ქვიშა ჩამომეყრება, სველი ტანიდან ოხშივარი ამივა. ცეცხლო, მზის სადარო! შენ რომ არ მყავდე!..

ნებიერა კიკი: — სიმხურვალე ჩემს ქათიბს ედება. ტანზე ფენა-ფენა აბრეშუმივით ბეწვის ქვეშ, უფერფლინღლიც კი მითბება, ჩემს სათუთ კანს რომ იცავს. ღრუბელივით ვიბერები, ვიბღინძები, ზომა-წონით ოთახის შესაფერისად ხომ უნდა გამოვიყურებოდე? ელექტრონის კრთომა ლარივით ჯაჭიმულ ულვაშებს რომ მითამაშებს, მანიშნებს — ძილის დროაო, ძილი კი არ მეკარება, იცი, რატომ? ზამთრის მოლოდინი და შენი დიდებულება გულს მიფორიაქებს. გარეთ წვიმს. მე შინ ვრჩები. უჩუმრად, რომ არავინ დამინახოს, შეშიდან ჩამოცვენილ ნახერხზე გავწვები. თუმცა, რა დასამალია, რბილი და სურნელოვანი მიწა მეც და ჩემს ბრჭყალებსაც უფრო გვეამება... ჩემი კეთილშობილი ბუნება კარგად იცნობს აი, ამ ჭყამპალა ძაღლს, იცი, რა გაუთავებელი კამათი იცის! თათებიც ყოველთვის მზად აქვს მოსაქნევად. მე შინ ვარ. მოვიცდი, სადაც არის, მზე ამოვა, ან ცივი ქარი წამოუბერავს; თუ ყინვა მოუჭერს, მით უკეთესი. მიყვარს ყინვაში სიარული, ძვალსა და რბილში რომ ატანს, ფილტვებს ეკლიან მუშტებს მიმსგავსებს, მოყინულ ცხვირს კი შაქარყინულად მიქცევს! ყინვის დემონი ჩამიჯდება სულსა და გულში, გიჟმაჟი გავხდები. ქალბატონი გაიცინებს ჩემს საქციელზე, ჩვენი პატრონიც აჰყვება. მიატოვებს თავის ქაღალდებს. ერთი მნახოს, რა მეტოქეც ვყავარ... აბა, შემეჯიბროს!.. ვიშ, რა ნახტომი მაქვს, როგორ გადავდივარ ყირაზე, ვკოტრიალობ, ფოთლები ტანზე მეკვრებიან და ჩემთან ერთად ისინიც დანავარდობენ. თუ კატა ვარ, კატა უნდა ვიყო, მაშ კვამლზე მოფრიალე ფალასს ხომ არ დავემსგავსები? მერე ხიდან გადმოვხტები, ისევ ავხტები, კუდის გარშემო შვიდჯერ შემოვტრიალდები, ისეთ კორიანტელს დავაყენებ, რომ... ერთს გავიზნიქები და ისევ ზემოდან გადმოვხტები! ყირას გავჭიმავ... უცბად ცხვირს დამაცემინებს. იმდენს ვიქროლებ სინამდვილესა და ჩემს ოცნებას შორის, რომ შიში ამიტანს! გავჩერდები. ყველაფერი დამიტრიალდება. ახალი, მრგვალი ქვეყნიერება გადამეშლება თვალწინ, რომლის ერთადერთი უძრავი წერტილი მე ვიქნები... თავბრუდახვეული და ქანცგაწყვეტილი ჩუმად, ძროხასავით დავიბღავლებ. ჩვენი პატრონები გამოცვივდებიან. ქალბატონი სიცილ-კისკისით მოირბენს, მიმიხვდება ოინებს, სახლის პატრონს კი გული გადაუტრიალდება, მუცლის გვრემამ ხომ არ წამოუარაო — ერთი კი გაუელვებს თავში... ამის დანახვაზე ჩავშოშმინდები, ბრძენივით, დინჯი ნაბიჯით მოვალ შენს საკურთხეველთან, ცეცხლო, და ბალიშივით დაგისკუპდები!

ძაღლი ტობი: გახურებული ბალახი ფეხებზე მოდებულ ბალახბულახს მიწეწავს. როგორ მოვიქცე? უკან გადავჯდე? არა, არ შემიძლიან! მირჩევნია, სიცხისაგან ოფლში გავიწურო, ვიდრე წიხლი ვკრა ამ ბედნიერების მახეს... ოღონდ ქალბატონი ნუ მოვა მალე! მეშინიან, არ გამტყიპოს. არც მაგისი ჯადოსნური სიტყვები მედება გულზე მალამოდ, გარეთ გაგდებას რომ მიქადიან: „ტობი, რა სისულელეს სჩადიხარ, ხომ არ უნდა შეიხრაკო? თვალები აგეწვება, გარეთ გახვალ თუ არა, სურდო შეგეყრებაო". აი, ასე მელაპარაკება ქალბატონი. მე მზერას ვერ ვაცილებ, თვალებში შევციცინებ, ის კი, არ გეგონოს, რომ გული მოულბეს. პირველი სართულიდან ხმაური ამოდის. მე ყურს ვუგდებ და ვცნობ ქალბატონის ფეხის ხმას... მაგის ახალ-ახალ ახირებებს ხომ ბოლო არ უჩანს. ამ დილით სტვენით მიხმო. მე ხომ გამგონი ძაღლი ვარ — უმალ გავქანდი და კიბეზე დავგორდი. ეს არ მოხდებოდა, მაგრამ, ცეცხლო, იცი, რა პატარა ვარ, ოთხკუთხედი. ერთი ბეწო თათები, პაჭუა ცხვირი და ღილივით კუდი მაქვს, გაქნევადაც არ ღირს. მე და ქალბატონი გარეთ გავედით. ხის კენწეროზე შერჩენილი ვაშლები სიმძიმისაგან აქეთ-იქით კონწიალობდნენ. გზაში სიხარულს ვერ ვფარავდი, ვცქმუტავდი. ქალბატონი არცთუ ისე გულიანად, მაგრამ მაინც მხიარულობდა. სოფლიდან მოისმოდა მამლების თავმომწონე, გაბმული ყივილი, ოთხთვალა ურმის ჭრიალი; ეს ხმები ისეთი შორეული იყო, თითქოს ცისფრად დანისლულ ბამბაში იყო გამოხვეული და ისე მოფრინავდა ჩვენკენ... ქალბატონმა შორს წამიყვანა. გზაში ბევრი რამ გადაგვხდა. ჯერ იყო და ახმახ ძაღლებს გადავეყარეთ, იმათ მოდგმას ვერ ვიტან, მოთმინებიდან გამომიყვანეს, ისე, უხიამოვნებას კი არ შევხვედრივართ (ღობე ჩაკეტილი იყო და იმან მიშველა), თვალი კი წავასწარი, ხე-

ხილ-ხეხილ, გამალებული რომ მოგვდევდა ერთი კურდღელი. ქალბატონმა დაიქუხა: „აბა, არ გაბედო, ხელი არ ახლო ამ ციცქნასაო“! ჩემმა მოდგმამ სწრაფი, მაგრამ ძალზე მოკლე თათები დამანათლა. თეორკუდამ გამასწრო. გარშემო წითლად ღუოდა კენკრა! იქაურობამ თვალი ისე მოგვტაცა, რომ კარგა ხნით შევჩერდით! ქალბატონი რასაც პირველად დაინახავს, ყველაფერზე თვალი რჩება. მე მისი მჯერა და ვენდობი კიდეც. ტრაბახად არ ჩამითვალო, და რაც კი ქალბატონს ჩემთვის საჭმელი შემოუთავაზებია, არაფერზე მითქვამს უარი, გამისინჯავს გემო, მაგრამ რაც ამ დილით მოხდა... „ჭამე, ტობი, ეს ხომ ასკილის მურაბაა, ო, შე დოყლაპია, შენა! ნუთუ არ გიყვარს?! აბა, გემო გაუსინჯე, ნახე, როგორი მოხარშულია, შუშხავს კიდეც, დამიჯერე, ნამყენი ჯიშის არ გეგონოსო“. მოწითალო გუნდას მოწიწებით დავუწყე ღეჭვა, პირში მწკლარტე ბუსუსი მომხვდა... რად უნდა ლაპარაკი, მისი თარსი ხელის ნამოქმედარი იყო... ეჰ, წინასწარ ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო... ბუყ, დავიძახე და რაღაც ამომერია. ამ ნაგავს თურმე ასკილი ჰქვიან.

ხომ მისმენ, ცეცხლო? იმან, რაც იმ დღეს, გამხმარი ფოთლებით მოშრიალე ტყეში ჩემი თვალით ვნახე, ლამის ჭკუიდან გადამიყვანოს! ალბათ ჩემს ქალბატონს მოსასხამის ქვეშ ჰყავდი შეყუჟული და ისე მოგიყვანა, არა? იქნებ ღმერთებიც შენსავით, ერთი ხელის დაქნევაზე მასთან გაჩნდებიან ხოლმე, რომ სასწაული მოახდენინონ. მე თვითონ ვნახე, როგორ ააშენა კოცონი. აქეთ-იქიდან ბრტყელი ქვები შემოუწყო. განათდა, აბრდღვიალდა იქაურობა, შენი გიჟმაჟი სული დაენთო. წმინდა, ვარდისფერი ალი ზეცას ასწვდა. კვამლი დატრიალდა, მეომარივით გაგდიოდა ჭახჭუხი. მერე მინელდი და ჩაიფერფლე... რა ხდება ამ ქვეყანაზე, ვერა გამიგია რა...

როცა ვბრუნდებოდით, ღობესთან ქალბატონს დავასწარი და პირველმა მე დავინახე ის საშინელება... ამ ცხოველს ხომ ვერსაიდან მიუდგები, ერთი თვალის მოკვრა და — მთელი ჩემი მოდგმა აყეფდება ხოლმე მაგათ დანახვაზე. ხომ მიხვდი, ზღარბზე გეუბნები. ბრაზი მერეოდა, ვიცოდი, რომ ეს მორგვი თავის საფარში იყო შემძვრალი და ალბათ დამცინოდა კიდეც, რომ ვერაფერს ვუხერხებდი. ჩემს ყოჩაღ ქალბატონს შევეხვეწე, ზღარბი გზიდან მოეშორებინა. მარ ჯერ წკეპლით დაუწყო ჩიჩხინი, უნდოდა, ეკლიანი საკნიდან გამოეძვრინა, ისე ირჯებოდა, თითქოს წაბლს აძრობდა თავისი ნაჭუჭიდან. „ხაკვირველია პირდაპირ, სად შეძვრა, ველარ ვპოულობო“. სულ ჯოხის ჩხვლეტით მოიყვანა სახლამდე. გახარებული, კუნტრუშით მოვყვებოდი უკან. იმან კი ზღარბი სანოვაგის ჩასაწყობ კალათაში ჩასვა... საძაგელმა იმდენი იტრიალა, რომ ამოძვრა, ღორის დინგივით დრუნჩი წერტილივით გამოაჩინა; ორი უაზრო, ვირთხასავით პრიალა თვალი დააჭყიტა, ტანი წამოსწია. ახლა თათებს აღარ იტყვი, როგორი აქვს? თითქოს თხუნელ. საგან უთხოვნიაო, ისე აქვს მიბმული, ბრჭყალებით კი აქვს მოსირმული. „რა ლამაზია, ნამდვილი გოჭია“, — შესძახა ქალბატონმა. მე მაგიდის ფეხებთან ჩავიცუცქე; ბრაზი მერეოდა, ერთი სული მქონდა, მომეშორებინა ეს ვიგინდარა, მაგრამ ვინ გისმინა!.. ვაუბატონი კიდევ კარგა ხანს იპარპაშებდა ჩვენს კარმიდამოში, მაგრამ სამზარეულოში რომ კატა ტრიალებს, მგონი, იმან გამოუყვანა წირვა. ვინ იცის, იქნებ ამ ჩვენმა ქვებუდანმაც ჩაიტკბარუნა პირი... თავში ქვა უხლიათ... მე ჩემი თავი გამჭირვებია, ძალზე აზიზი გული მაქვს, სულ არაფრის გამო მიფორიაქდება და სულიც მეხუთება ხოლმე... თუმცა, მოდი, უსიამოვნო ამბებს მივანებოთ თავი. ცხოვრება საამურია! ცეცხლო! შენ ანიჭებ სიცოცხლეს და იშიტომ... ხომ ასეა? ძილი მომერია, აზრი მიწყდება... შენ გაბარებ ჩემს ტყავს, გაუფრთხილდი... ძილ-ბურანში ვარ...

ნებიერა კიკი: ცეცხლო, ბგერნია, მძინავს? არა, თვალები მაქვს მოჭუტული. ხავერდოვანი სხივებივით, ყალმის ერთი მოსმენა-მოსმენა ვლურად მოხატული, ჩემს ქუთუთოებსა და ყურებს შუა ჩასმული. მე მაინც ვფხიზლობ, ფაკირივით ვოცნებობ; ვინაბები. ამ დროს ყველანაირ ხმაურს ვარჩევ. იმასაც ვხედავ, ვინ ტრიალებს ახლომახლო... ცეცხლო, ჩემი გამჭრიახი თვალები მაშინ უკეთესად გხედავენ, როცა მოჭუტული მაქვს. თუ გინდა, დავითვლი, რამდენი ფერის ალი გინთია, რომელთაც მერე ერთ მოკაშკაშე თაიგულად გადააქცევ ხოლმე. აი, იასამნისფერი ალი — ცისფერი, ბდღვრიალა... ეს ხომ ტუიას გამხმარი, სათნო ტოტი იწვის. მისი სული ანთია. გუშინ არ იყო, რომ ფრთაგაშლილი იდგა ხეივანში და თავის გაბარჯღულ ჩრდილთან ერთად თავმომწონედ ირხეოდა? ქალბატონი ადგა და სეკატორით გადაჭრა. რატომ მოიქცა ასე? იქნებ იმიტომ, რომ ხის სული ცეცხლის იასამნისფერ და ცისფერ ფერებად დატრიალებულიყო, ნაპერწკლებად გადმოფრქვეულიყო? ქალბატონსაც ხომ ჩემსავით მოსწონს შენი ცეკვა და რომ არ განელდე, ბუხრის წვეტიანი მაშით არ გისვენებს. როგორ უნდა გაგიგოს? მთელი დღე თავჩაქინდრული დადის, ხელებს წინ და უკან დააქანავებს. მისთვის უცხოა შენი ამოუცნობი და ვარდივით მოგიზგიზე გული! თუმცა, არ ვიცი, იქნებ ბევრი რამ გაეგება კიდეც, მაგრამ რაც უნდა ეცადოს, კატასთან ვერ მოვა.

ბუხარში შეშას ერთი მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა. ეს ბებერი ნაძვია, სურომ ნელ-ნელა გაახმო და ახლა სიცოცხლეს ეთხოვება. ამას წინათ სწორედ ეს ნაძვი ვნახე, მოჭრილი ეგდო, გამხმარი, ჟღალი წიწვიბალახში ეყარა. კენწეროდან ფიხი იღვენთებოდა. ახლა ბუხარში ნებანება იწვის, გამხმარ ჟღალ წიწვს კი ტკაცატკუცი გაუდის, ღუღუნებს, ფერად-ფერად ნაპერწკლებს ისვრის. ქვეშ კი ოქროსფერი ნებიერი ალი

ტრიალებს განცხრომით, კატასავით, რომელიც, კარგა ხანია, ჩემს ტრფიალს ელის...

მიყვარს, ვნადირობ თუ ბრძოლაში ვარ, სულ შენი ცეცხლი მინთია,შენი ცეცხლით ვიწვები. ჩემი შიშით ჩიტები დამზრალი კენკრის ბუჩქებში შეყუჟულან. ფიქრი ნუ გაქვს, მოვიხელთებ სადმე. ჩავუსაფრდები, ბალახბულახში გავინაბები. ვინატრებ, „მიწავ, ჩემი მფარველი იყავი-მეთქი“ და გადასახტომად მოვემზადები. კუნთები დამეძაგრება, ნიკაპი ამიკანკალდება, ოღონდ შემართება არ გამიქრეს და თხასავით არ ავკიკინდე უადგილოდ, თორემ ჩიტები სულ დამიფრთხებიან, ჟრიამულს ასტეხენ. არა, ეს არ მოხდება! გრძნობის სადავე მტკიცედ მიჭირავს, ჩემი თავის გამგებელი ვარ! პირველი თუ არა, მეორე ზუსტი ნახტომი მაინც გამიმართლებს, მსხვერპლს კლანჭებში მოვიგდებ. საცოდავი, ჰა, ჰა, სულს განუტევებს. ერთი ბრჭყალი რომ გამოვდო, თავისი ალესილი ფრთებით დაკოპილ სახეს სულ დამისერავს. სიცილად არ მყოფნის, რას მიძალიანდება ეს არაქათგამოცლილი ფრთოსანი?.. ო, როგორი თავმომწონე ვხდები, როცა ჩემს გიჟმაჟ და ცელქ სხეულს ვიმორჩილებ, მარწუხებში მოვაქცევ ხოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნილი მკვნარნელ

მე. ეჰ, თავშეკავება ძვირად კი მიჯდება. დრუნჩი შეძაბება და ჩემს მოხდენილ ცხვირთან სამი ულმობელი ნაოჭი იკვრება ხოლმე... გამარჯვებული მეომარი, ბრძოლის შემდეგ ლაღად გავინავარდებ. მსხვერპლი პირით შეჭირება და თავჩაღუნული გავარბენინებ სახლისაკენ; მინდა, მოვასწრო და გზაში ერთხელ მაინც გავკრა კბილი. იმ უბედურს შიშისაგან გული წაუვა. უკეთესს ვერც წარმოვიდგენ. სახლს რომ მივუახლოვდები, კრიჭაშეკრული, ხრინწიანი ხმით ავმღერდები. ჩვენებს გავაგონებ. სახლის პატრონი მაშინვე მიატოვებს თავის ქაღალდებს და ასეთ ყოფაში რომ დამინახავს, აღტაცებული თვალს ვერ მომწყვეტს, ქალბატონი კი ჩემს დანახვაზე უმალ გამომეკიდება, დამიკივლებს: „ო, შე ბოროტო, ველურო, დაანებე ჩიტს თავი, ნუ მოკალიო“. მაგრამ ამაოდ!.. აბა, ქალბატონს ნადირობისა რა გაეგება!..

ცეცხლო, სანამ ზამთარია და სიცივე მეფობს, მინდა, ქვეყნიერება გავაკვირვო. გახსოვს, ფერმაში რომ კატა ცხოვრობს (ქალბატონი „ფერმის კატას“ უძახის, ჩვენ კი, პირიქით, იქაურობას „კატის ფერმას“), გაქუცულ კატაზე მოგახსენებ, მაღალ კანჭებზე რომ აწოწილა. სინდიოფალასავით უშნო დრუნჩი აქვს, ჩემს დანახვაზე სულ ბრჭყალებს ილესავს. აი, აქ კი მოთმინება გვმართებს! ის კატა ხეპრე და უხეშია, ღონეზეც კარგად არის, მაგრამ მშიშარაა. კარის ჭრიალზე შეხტება და გაოგნებული, ყურებგადაწყობილი გარბის ხოლმე... ერთხელ დავინახე, როგორ უჩუმრად გამოასალმა სიცოცხლეს ერთი ვარია. ჩვენ ყოველ შეხვედრაზე ჯიუტად ვეჭიდებით ერთმანეთს, ხან რჩეული კატუნას მაცდური თვალებისათვის, ხან ბაღის ბოლოზე ადგილუფროსობისათვის, ხან ნართაული ხიტყვის გამო, ან სულაც უმიზეზოდ, გულის მოსაოხებლად. იმ ბრიყვს შევაგნებინებ, რომ მტრის წახდენა მეტყველი დუმილითაც მეხერხება. ჩემი საომარი მოქმედებისათვის ბაღის ღობეს ამოვირჩევ. რაც უნდა ეცადოს, გინდ ყელი მოიღეროს და ხან დაბალ, ხან ხრინწიან ხმაზე იკვნესოს, გინდ თავისი ბეჩავი სახით, გაქუცული, დალაქავებული ტანით, თავის ჭკუაში მოატყუოს კიდეც და ცრუ მოძრაობა ჩამიტაროს (ეს ვაუბატონის ძველი ფანდია), მე მაინც შეუვალი დავრჩები. ჩემი ლამაზი მწვანე თვალების ისართა კონას მისკენ გავტყორცნი. ამ მზერით შეურაცხყოფილი, წამწამებს დახრის, აცახცახდება, ქედს მოიდრეკს და ამის ნიშნად ძველ, საომარ ცეკვას სულ ბუქნა-ბუქნით ჩამოუვლის. მე ქანდაკებასავით გავქვავდები. მეტოქე ამაზე უფრო გაგულისდება, მაგრამ მალე ჩემი მწვანე თვალების სხივით მოინუსხება... ახითხითდება, თითქოს აკნავლდება კიდეც... ისე გათავხედდება, რომ მსხლის ორკაპა ტოტზე ყირამალა დადგება და ჩემს ჯინაზე ასე, აკრობატივით გაივლის კიდეც. კარგად იცის, რომ ჩამოვარდება, მაგრამ მაგას ხომ შუბლის ძარღვი არა აქვს, მერე რა, იქვე გაგორდება, დამზრალი კარტოფილის მინდორში...

ცეცხლო, ეს ამბავი, რაც მოგიყევი, უთუოდ ახდება. დღეს შენს სულნორჩ, პაწია ალზე მომავალი გაიშლება. ჰო, გავბრუვდი, ჩემი კრუტუნი აღარ ისმის. შენც ნელ-ნელა იფერფლები. აი, სიზმრებიც ამყვა, მაგრამ მაინც გხედავ... მესმის, ხავერდოვანი წვიმა როგორ ევლება ფანჯრის მინებს! სახურავის ღარი მტრედივით ღუღუნებს... სანამ მძინავს, ნუ ჩაქრები, ცეცხლო. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩემს განცხრომასაც დარაჯობ. თავს ვიმკვდარუნებ, თორემ ამას კატის თვლემა ჰქვია, ხომ გაგიგონია?!

ფრანგულიდან თარგმნა
მარიხე ჯილაშვილმა

ჩვენ, ეცნაურ ხალხთან ერთად, ვცხოვრობთ, ხოლოდ მოვალფეროვან სამყაროში. ადამიანები საკუთარ, ოვალ ზშირად ბუნების „ბატონებად“ ტრონებს ვუწოდებთ. მაგრამ ასეა კი? წუთით წარმოვიდგინოთ — შეგვიძლია ფლორისა და ფაუნის გარეშე არსებობა? რა იქნებოდა, ან, უფრო მეტიც, საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე. ყოველდღიურად რომ არ ვურთიერთობდეთ მცენარეებთან, ფრინველებთან, ცხოველებთან? განა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გვკვებავენ და თან ტანთ გვაცმევენ! ახალ მცენარეთა სამყარო ხომ ჩვენ, მაგალითად, ეანგბადითაც უზრუნველგვყოფს: დედამიწელების მოსახლეობა ყოველდღიურად 2 მილიარდამდე ტონა ნახშირორჟანგს ამოისუნთქავს (სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე აღარაფერს ვამბობ). სუნთქვის დროს კი „იწვის“ (იხარჯება) უამრავი ეანგბადი: ჩვენს პლანეტაზე მცენარეები რომ არ იყოს, ეანგბადი მთლიანად „დაიწვებოდა“, წმინდა ნახში-

ევკალიპტის გადანაჰერი — საცხოვრებელი გინა

�ორჟანგიან გარემოში კი სიცოცხლე შეუძლებელი გახდებოდა. ახლა ერთ მაგალითს გეტყვით: მარტო ერთი ჰექტარი სიმინდის ყანა ერთ დღეში იმდენ ეანგბადს გამოყოფს, რამდენიც 150 კაცის სუნთქვისთვისაა საკმარისი.

ყველა ჩვენგანი იცნობს მცენარეებს — ხეებს, ბუჩქებს, ბალახს; მათ ყოველდღიურად ვხვდებით ტყესა თუ მინდორში, მთასა თუ ბარში, ქუჩაში თუ გაზონებზე. მაგრამ არის ზოგი მცენარე, რომელიც ან ჩვენში არ ხარობს, ან ისეთი საიდუმლოება ახასიათებს, რაც თქვენთვის უცნობია. ახლა რამდენიმე ასეთ მცენა-

მცენარე-ბურთი

ზოგიერთი ჯიშის ბამბუკის სიმაღლე დღე-ღამეში 70-110 სმ-ით მატულობს. ამიტომაც უთქვამთ: „ბამბუკზე დილით ჩამოკიდებულ ქუდს საღამოს ადგილად ვერ შესწვდებიო". მისი სიმაღლე ტროპიკულ ზონაში 25 მეტრს აღწევს, სიმსხო კი — 30 სანტიმეტრს.

ალბათ, ყველა თქვენგანს უბბარია (ან უნახავს მაინც) ბრალი (რუს. „მოჩალკა"), მაგრამ ბევრს იგი ხელით ან დაზგაზე მოკსოვილი ნაკეთობა ჰგონია და ბშირად ვერც კი დაარწმუნებ, რომ ეს საოცარი „ქსოვილი" გოგრისნაირთა ოჯახის წარმომადგენლის, ლუფის ნაყოფია. ჩვენში (დას. საქართველოში) ცილინდრული ლუფაა გავრცელებული. ქვემოთ, ნახატზე თქვენ ხედავთ ე. წ. „მოსიარულე" მცენარეს, უცხოეთიდან შემოსულ მანგროს. მანგროს ტოტებზე უვითარდება მსხლის ფორმის ნაყოფები, რომლებიც უუნჭზე მსხვილი ბოლოთია მიმაგრებული.

მალე ნაყოფის წვეროდან მიწის მიმართულებით იზრდება ფესვისებური წვრილი წანაზარდი, მასზე კი ფოთლისა და კვირტის ჩანასახი იზრდება. მომწიფების შემდეგ წანაზარდი ვარდება და მიწაზე ეცემა. წამოიზრდება ახალი



ხენეთ გედი, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ მღერის). არის შემდეგაც მცენარის ბოლოზედა ნაწილი კვდება. 10-20 წლის ადგილ 20-30 დღის განმავლობაში იკეთებს საუკეთილე ღეროს, რომლის სიმაღლეც 10-12 მეტრს, ბოლო დიამეტრი — 20 სანტიმეტრის სიმსხოს აღწევს ბოლმე.

არის მცენარე, რომელსაც შეიძლება „ამინდის ბიურო" ვუწოდოთ. იგი ჩვეულებრივი ბალახოვანი მცენარეა, მიწაზე გართხმული. ბოლოგიაში მას კარლინა ჰქვია.

დასამტვრევად მომწიფებული უკვალილი მთლიანად იშლება, წვრილი და გრძელი

გიგანტური სექვოია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ

ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალური სამუსიკო საშუალო სკოლის საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობს ერთი ნიჭიერი გოგონა — **ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ**. იგი მეათე კლასშია. გარდა იმისა, რომ წარმატებით ეუფლება პიანიზმის ხელოვნების საიდუმლოებებს, მარინეს შესანიშნავი ვოკალური მონაცემებიც აღმოაჩნდა. იგი გატაცებით მღერის, თანაც, ამ ბოლო დროს, ახალი გატაცებაც გაუჩნდა: მან საკუთარი ნაწარმოებების შექმნა დაიწყო და, უნდა ითქვას, არა მარტო თავისი პედაგოგების, არამედ სპეციალისტთა ფართო წრის ყურადღებაც მიიქცია. მისი სპეციალობის მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის **ᲜᲔᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და კომპოზიციის პედაგოგის, კომპოზიტორ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ** აზრით, მარინეს ინსტრუმენტული პიესები და საესტრადო სიმღერები თავისუფლად იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ გოგონასაგან ნიჭიერი შემოქმედი დადგება.

გთავაზობთ მარინე ლოლაძის „მელოდიას“ — პიესას ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის.



მამუკა ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა ქარტო ქვიდი საოცრება

ლალიბელა

ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ არაბები თავიანთ სარწმუნოებას აფრიკის ტერიტორიაზე. ქრისტიანობის უკანასკნელი დასაყრდენი ჩრდილოეთ აფრიკაში — ეთიოპიის სახელმწიფოც — სულს ღაფავდა და ითელებოდა არაბულ ბედაურთა ჩლიქებს ქვეშ. ზეილის იმამი ახმედ გრანი, მიუხედავად თავისი ვაჟკაცობისა, მაინც არნახული სიმკაცრით ავრცელებდა ალაჰის სარწმუნოებას.

ერთ დღესაც იმამის მეომრები პატარა ნაკადულთან შეჩერდნენ. ეს წმინდა ნაკადული იორდანეს სახელითაა ცნობილი. „წმინდა წყალი", — აღმოხდა იმამს დაცინვით. — „ეს წმინდა ადგილია, აქ თქვენ იხილავთ უნიკალურ ტაძრებს, რომელთა ბადალიც მსოფლიოში არ არის", — აუხსნა გამყოლმა. ბევრი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი ახმედ გრანს, ბევრი საოცებაც ენახა, მაგრამ რაც ქალაქ ლალიბელასთან აღმართული აბენა-იოსების ქედიდან დაინახა, მართლაც რომ საოცრება იყო; მწვანეში ჩაფლულ ფერდზე სისხლის წვეთივით მოჩანდა ვულკანური ტუფის ლაქა. მეომრები და გამყოლნი დაწინაურდნენ. კლდეში გამოკვეთილი ეზოსთვის ქალებს, მოხუცებს, ბავშვებსა და ბერებს შეეფარებინათ თავი. იმამის წინ აღმართულიყო ქრისტიანთა ღმერთის სადიდებელი ტაძარი — კლდეში ნაკვეთი საოცრება.

ახმედ გრანი ჩამოქვეითდა. ტაძრის ეზოში შესულს შეშინებული ლტოლვილნი ზიზღის თვალებით აცილებდნენ. თითქმის ნახევარი დღე გავიდა ტაძრის დათვალიერებასა და შესწავლაში. იმამი მონდომებით ათვალიერებდა ქანდაკებებსა და ფრესკებს, ძვირფასეულობას, რომელიც კლდეში ნაკვეთი ტაძრისათვის შეეწირათ. ბოლოს მან იატაკზე ფიჩხი დააყრევინა მეომრებს და ტაძარს ცეცხლი წაუკიდა. გამხმარ ფიჩხებზე უცაბედად ავარდნილი ალის ენები დამცინავად მომზირალ წმინდანთა ხატებს თითქოს თვალს ვერ უსწორებდნენ. „თქვენ შეგიძლიათ წლობით კვეთოთ ქვა და ულამაზესი ტაძრები ააგოთ თქვენი ღმერთის სადიდებლად, მაგრამ რომელიმე მათგანს თუ უყვარს იმ დონეზე თავისი ღმერთი, რომ ამ კოცონში შევიდეს?" ტაძრის ეზოში შეხიზნულნი გაოცებით შეჰყურებდნენ ცეცხლს. უცებ მათ ახალგაზრდა ქალი გამოეყო და დაუფიქრებლად შევიდა კოცონში. იმამმა მისი გამოყვანა ბრძანა. ქალი ნახევრად დამწვარი იყო. ახმედ გრანმა, გაოცებულმა ქალის თავგანწირვით, ბრძანა ცეცხლის ჩაქრობა. იგი მხოლოდ ტაძრის გაძარცვასა და წაბილწვას დასჯერდა, მის დანგრევაზე ხელი აიღო და თავისი მხედრებითურთ იქაურობას გაეცალა.

უცნობი ქალის თავგანწირვამ გადაარჩინა უნიკალურ ტაძართა კომპლექსი განადგურებას. იგი დღესაც ანცვიფრებს მნახველთ თავისი რთული, ორიგინალური, დახვეწილი არქიტექტურით.

ლალიბელა — ეს უცნაური სიტყვა — არა მარტო გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი და უნიკალური ტაძრის სახელია, არამედ ეთიოპიელი მეფისაც, რომელიც ზაგვეს დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. იგი 1182-1220 წლებში განაგებდა სახელმწიფოს და



ისტორიაში ვერავითარი დამსახურების გამო ვერ შევიდოდა, თუ არა როგორც ამ საოცარი კომპლექსის მშენებელი.

მსოფლიოში მრავალი არქიტექტურული საოცრება არსებობს. ყოველი მათგანის მშენებლობა და სტილი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული, ან კიდევ, თავისი „წინამორბედისაგან" არის გადაღებული. ლალიბელა კი განსხვავებულია, რამეთუ ასეთი სახის ტაძრები მსოფლიოში არ გვხვდება გარდა ერთისა, რომელიც ინდოეთის ტერიტორიაზეა, ეთიოპიიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით. ეს არის კაილასანა ტრა ტაძარი.

1200 წელს (შეიძლება თარიღები ზუსტი არ იყოს, რადგან ევროპულ და ეთიოპიურ კალენდრებს შორის წლებში სხვაობაა). მეფე ლალიბელამ პრეტენზიული სახელწოდების მქონე ნაკადულთან, რომელსაც იორდანეს უწოდებდნენ, გადაწყვიტა სატაძრო კომპლექსების აშენება. ამ ადგილებში, კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულებში, ქრისტიანი ასკეტი ბერები ცხოვრობდნენ, რომელთა სახელები ისტორიას არ შემოუნახავს.

ტაძრები (მათი რაოდენობა სულ თერთმეტია) ქანდაკებებივითაა გამონაკვეთი და არა აშენებული, როგორც ეს მიღებული იყო მთელ მსოფლიოში. ეკლესიებს შორის მთებში გაყვანილი იყო საიდუმლო გვირაბები და ყოველი მათგანი ერთმანეთს უკავშირდებოდა. შეუმჩნევლად შეიძლებოდა მეზობელი ტაძრების ეზოებში გადასვლაც.

თერთმეტი ტაძრიდან (ათი მათგანი მეფე ლალიბელამ ააგო, ხოლო მეთერთმეტე — მისმა ქვრივმა) არცერთი ტაძარი არა ჰგავს ერთმანეთს. მათი არქიტექტურული სტილი ადგილობრივია (ეთიოპიური) და მხოლოდ იმ ადგილზე შეიძლებოდა მისი აგება, სადაც ახლაც დგანან. მათი სტილი, როგორც აღვნიშნეთ, ეთიოპიურია და ტრადიციული, რაც საშუალებას აძლევს რესტავრატორებს, უმოკლეს დროში აღადგინონ ყოველი ტაძარი და ორნამენტი.

ისტორიაში შემონახულია ცნობა, რომ ლალიბელამ მოიწვია ხუთასამდე უცხოელი პროფესიონალი მხატვარი და მშენებელი, უმთავრესად — ეგვიპტიდან და იერუსალიმიდან. ერთი საინტერესო ფაქტიც: კომპლექსის მშენებლობისათვის მთელი ქვეყნიდან ეზიდებოდნენ იარაღებს და ამზადებდნენ ახლებს. გასაკვირი არც არის, რომ მშენებლობა ოცდაოთხ წელიწადს მიმდინარეობდა და უმთავრესად ვულკანური ლავის, წითელი ტუფის კვეთა იყო საჭირო.

ტაძრები დღესაც შესანიშნავად არის შემონახული, მხედველობაში თუ არ მივიღებთ არაბი დამპყრობლების მიერ ჩამონგრეულ ქანდაკებებს და შელახულ ფრესკებს. მიუხედავად ასეთი თავდასხმებისა, ქრისტიან ბერებს არასოდეს მიუტოვებიათ ლალიბელა და მონდომებითაც უვლიდნენ მას.

თერთმეტივე ტაძრის აღწერა შეუძლებელია, იგი თავად უნდა მოინახულო. სწორედ ამიტომაც წარმოადგენენ ისინი მსოფლიო საოცრებებს. ერთ-ერთი მისიონერი, გვარად ალვარეში, რომელმაც მეთექვსმეტე საუკუნეში მოინახულა ტაძარი, გაოცებული წერს: — „მე ვწყვეტ ყოველივე ამის აღწერას, რადგან არავინ დამიჯერებს; რაც მე დავწერე და გადმოგეცით, უფრო ზუსტად რომ აღმეწერა, დამსჯიდნენ, როგორც მატყუარას... ლალიბელას მსგავს ტაძარს, მსოფლიოც რომ შემოიარო, მაინც ვერ იპოვი".

კომპლექსის ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც შორიდან არ ჩანს და მისი ნახვა შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც თავზე წაადგები უზარმაზარ ქვაბულს, სადაც ის დგას. წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ უნიკალური მცენარეებით დაბურულ მთის კალთაზე და უცებ აღმოჩნდებით ქვაბულის ძირას. ამ ქვის ჭაში, რომლის სიღრმეც ოცი მეტრია, დგას ტაძარი და მისი სახურავი დედამიწის ზედაპირის გასწვრივაა. ფაქტობრივად, ჩვენ სახურავის დონეზე ვდგავართ. იგი წარმოადგენს სწორკუთხეებიან ჯვარს (სიგრძით 23, ხოლო სიგანით — 19 მეტრი).

თავიდან მშენებლებს იქაურობა გაუთავისუფლებიათ მიწისაგან, დარჩენილი კლდე კი გამოუქანდაკებიათ, როგორც უზარმაზარი ჯვრის ფორმის ტაძარი. აქ არ მოვყვებით ყოველი დეტალის, ულამაზესი ორნამენტებისა და ქანდაკებების აღწერას, ერთი კი უნდა აღინიშნოს: თუ ჩავალთ ჭის ფსკერზე, ჩვენს წინ აღიმართება ულამაზესი ტაძარი. ქვისმკვეთელ ოსტატებს უამრავი სარკმელი ამოუჭრიათ მასზე, რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმითა და ზომით განსხვავდებიან. ყოველი ორნამენტი დახვეწილად და გემოვნებითაა შესრულებული. ტაძრის ეზოში შესვლა მხოლოდ გვირაბითაა შესაძლებელი, რომლის საშუალებითაც ხვდები მთავარი დერეფნის კიდეებთან. ტაძარი თითქოს ოთხსართულიანია — ასეთ შთაბეჭდილებას ტო-

ვებენ კედლების გასწვრივ გაყოლებული ულამაზესი კარნიზები. პირველ სართულზე მოთავსებულია ცხრა ყრუ სარკმელი.

წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გარშემო, ანუ, უფრო სწორად, ჭის გარშემო ზეთისხილის ბაღებია. მის ჩრდილქვეშ ისვენებენ ბერები იმ დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, რომელიც ქალაქის გარშემო სხვადასხვა ტაძრების მოსანახულებლად უხდებათ. ქალაქ ლალიბელას (რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეში როხა ერქვა) ხუთიათასიან მოსახლეობას უმთავრესად ბერები, ეკლესიის მსახურები და მათი ოჯახის წევრები შეადგენენ. ქალაქში სიწყნარეა. ათასობით ტურისტი აკითხავს მას ყოველდღიურად და ისინიც მდუმარედ ათვალიერებენ ამ საოცრებას. მათ სპეციალური თვითმფრინავი ემსახურება, ქალაქის მოსახლეობას კი — ჯორები, ეკლესიის მსახურთა ერთგული ცხოველები.

ლალიბელას მცხოვრებლებს უყვართ მოყოლა ლეგენდისა გულუხვ მეფეზე, რომელმაც მთათა განმგებელი ურიცხვი ოქროთი დაასაჩუქრა, რათა მას ტაძარი აეგო. ტურისტებისთვის ეს მონათხრობი, როგორც გაფრთხილება, ისე ჟღერს: „დროა, ფული გაიღო, რათა მოინახულო ეს საოცრება!“

კლდოვანი კლდეების გაყოლებით სპეციალურ ნიშებში დაკრძალულნი არიან ბერები. ყოველივე ეს ზეთისხილის ბაღებთან ერთად სავანე-პანთეონის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის სიმშვიდეს ოდნავ თუ არღვევს „წმინდა ფუტკრების“ ზუზუნი, რომლებიც მრავლად ცხოვრობენ ქვის კედლებში. იქიდან კი გადმოედინება თაფლი. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ეს თაფლი ადამიანს მარადიულ ახალგაზრდობას ანიჭებს.

სატაძრო კომპლექსების მონახულების შემდეგ ერთ ლეგენდასაც მოგიყვებიან: მეფე ლალიბელას ქალაქ როხაში ტაძრები რომ აეშენებინა, მეშვიდე ცა შემოუვლია, დაუთვალიერებია და მხოლოდ ამის შემდეგ აუგია ეს უნიკალური კომპლექსი.



ხელის ლაბორატორია

ინგლისურ ფირმა „ბიბიში“ შექმნეს ხელსაწყო, რომელიც ზომავს წყალს, სხვადასხვა ხსნარისა და ნიადაგის ტემპერატურას, მჟავიანობასა და ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს (ამ მაჩვენებლით, კერძოდ, ხასიათდება ნიადაგში ჟანგბადის შემცველობა). ყოველივე ამას სულ რაღაც რამდენიმე წამი სჭირდება. ცხრავოლტიანი ბატარეა, რომლითაც ხელსაწყოა აღჭურვილი, უზრუნველყოფს მის მუშაობას ასი საათის განმავლობაში.

ნეიტრონის ახალი „პროფესია“

უცხოეთის აეროპორტებში უკვე გამოჩნდა ახალი ხელსაწყო—ასაფეთქებელი მასალების ნეიტრონული აღმომჩენი. მისი ზემოქმედებით შესასწავლი საგანი ასხივებს განსაზღვრული სიგრძის გამა-სხივებს, რომელსაც აანალიზებს კომპიუტერი და ადგენს საგნის შემადგენელ ნივთიერებას. საეჭვო შემთხვევაში კომპიუტერი იძლევა განგაშის სიგნალს.

ადამიანი არ არის დამნაშავე?!

მედონის ობსერვატორიის (საფრანგეთი) თანამშრომლებმა დაასკვნეს, რომ ანტარქტიდის თავზე ოზონის ხვრელის გაჩენაში ადამიანს ბრალი არ მიუძღვის.

ანტარქტიდაში 1958 წელს ცისა და ვარსკვლავების სპექტრის ანალიზის შედეგად ასტრონომებმა აღმოაჩინეს, რომ სამხრეთის ზოლის ატმოსფეროში არც ადრე იყო საკმარისი ოზონი. როგორც ცნობილია, ოზონის შემცირებას უკავშირებენ ფრეონს, რომელიც ჰაერში აეროზოლის बალონებიდან და გადაყრილი ძველი მაცივრებიდან ხვდება. 1958 წელს კი აეროზოლის ბალონები და მაცივრები არცთუ ფართოდ იყო გავრცელებული.

არქივში გაკეთებული აღმოჩენა ხელს აძლევს მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელიც თვლის, რომ ოზონის ხვრელი ბუნებრივი მოვლენაა და მის აღმოჩენამდე (1985 წ) დიდი ხნით ადრე არსებობდა.

ლაზერმა სძლია კიბოს

ამერიკელი ექიმების ლეკსიკონში ახალი ტერმინი გაჩნდა — ფდთ, ფოტოდინამიური თერაპია — ავთვისებიანი სიმსივნის აკურნალობის ახალი საშუალება. რაში მდგომარეობს ფდთ-ს არსი? ავადმყოფის ორგანიზმში შეჰყავთ ხინათლისადმი მგრძნობიარე. აპარატი, რომელსაც ცხოველთა ჰემოგლობინიდან იღებენ. აპარატი ცნობილია წარმოებული ჰემატოპორფირინის (წჰპ) სახელწოდებით. ჯანმრთელ ქსოვილში იგი არ ჩერდება, დაავადებულში კი გროვდება და საკმაოდ დიდხანს ყოვნდება. კიბოთი დაავადებულ ქსოვილში, რომელშიც დაგროვილია წჰპ, ინფრაწითელი დიაპაზონის მქონე ლაზერის ზემოქმედებით კიბოიანი უჯრედები ნადგურდება.

ნარჩენები ნარჩენების წინააღმდეგ

პოლიმერული ნაკეთობების გამომშვები საწარმოების გამდინარი წყლები, დიდი ხანია, ეკოლოგთა სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა. ასეთი წყლების გაწმენდის ახალ მეთოდებს გვთავაზობენ ქიმიური ქარხნის „ქემირის“ სპეციალისტები. მათ აღმოაჩინეს, რომ პოლაკრილამიდის წყალხსნარის ერთ-ერთ მოდიფიკაციას შეუძლია შეასრულოს თავისებური კოაგულიანტის როლი. მის საფუძველზე შექმნილ ფხვნილის მაგვარ პრეპარატს დაარქვეს „ფენოპოლი“. იგი უვნებელია და მისი მოქმედება უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული კოაგულიანტებისა. ფენოპოლს იყენებენ სხვადასხვა საწარმოების გამდინარი წყლების გასაწმენდად. იგი გროვებად ჰკრავს და წყალსატევის ფსკერზე ძირავს თიხის, ცელულოზისა და სხვა ნივთიერებებს ნაწილაკებს (ფენეთი).

შვლის ნუკრი

შვლის ნუკრი ზღაპრებშიც კი უიშვიათესი ცხოველია, მაგრამ თუკი ძალიან მოიწადინებ, იგი იცხოვრებს შენს გვერდით, შენსავე ბინაში.

დაგჭირდება მხოლოდ დრაფის, ფეტრის ან მაუდის ჩამონაჭრები, 2-3 სმ სისქის პოროლონი, მავთული, ბამბა და ფერადი ძაფი „ირისი“ ან № 20 გორგალისებური, 2 სმ სიგანის გასაწყობი ყაითანი.

ძირითადი სამუშაო: ქსოვილისგან გამოჭერი ნუკრის თავ-ტანის ორივე კიდურების რვავე დეტალი და ყურებისა და კუდის შიდა მხარეები. ახლა გასაწყობი ქსოვილი მოიმარჯვე. გამოჭერი მისგან კუდის, ყურების, ჩლიქებისა და რქების დეტალების გარე ნაწილები. ამავე ქსოვილისაგან გამოჭერი 2 სმ. სიგანის ზოლები ნუკრის ტან-ფეხის შესაერთებლად, ამისათვის მკვიდრი ქსოვილის დეკორატიული ყაითანიც შეგიძლია გამოიყენო.

კარგად დააკვირდი კონტურს და შეეცადე, ილუსტრაციის მიხედვით პოროლონისაგან გამოჭრა 5 სმ-ით დაპატარავებული ჩონჩხედი შვლის ნუკრის ტანისა (ერთი დეტალი) და კიდურებისათვის (ოთხი დეტალი). კონტურების გაყოლებაზე ამ ხუთივე დეტალს საკილოვე ნაკერით შემაერთებელი ზოლი ჩააყოლე. ცალ მხარეს ღიად დატოვე მუცლის შუა ნაწილი. ეს დაგეხმარება, რომ ნუკრის სხეულში ჩონჩხედი აკურატულადაც „ჩადგა“ და მოხერხებულადაც გამართო.

შეეცადე, ნუკრი ძალიან გამხდარი არ გამოგივიდეს. ამისათვის პოროლონის ორსავე მხარეს ბამბა უნდა ჩააფინო, რაღა თქმა უნდა, ზომიერად და საკუთარი გემოვნების მიხედვით. შემდეგ კი ნუკრს მუცელი საკილოვე ნაკერით ამოუკემსე.

ამავე წესით უნდა შეიკეროს კიდურებიც. ზოლი ფეხების ქვედა ნაწილებში დატოვებული ღიობებიდან თითოეულ მათგანში შეგიძლია პოროლონის ჩონჩხედი შეაცურო. რაღა თქმა უნდა, ბამბით მათი ამოვსება აღარ არის საჭირო.

საგანგებოდ მინიშნებული ადგილებიდან ჩადგი ნუკრის სხეულში მავთულის ორი ნაწყვეტი. გაათანაბრე ისინი, გააყოლე პოროლონს და ნუკრის ოთხივე კიდურის შიდა მხარეებზე გადმოუშვი. ფეხები ნუკრის ტანს ზედა ნაწილებით უნდა მიემაგროს.

ნახაზის მიხედვით შეუკერე ნუკრს რქები და ჩლიქები და მათ გვერდით დეტალებზე ზოლი ან ყაითანი ჩააყოლე. გამოაკარი ჩლიქებს პოროლონის ნაჭრები, ჩამოაცვი ისინი ფეხებიდან გარკვეულ დაშორებაზე გამოყოფილ ბოლოებგაღუნულ მავთულებს და შემდეგ მიაკერე ფეხებს. რქები ბამბით მსუბუქად დატენე და ნუკრის თავს შუბლის მხარეს მიამაგრე.

ახლა კი, როცა იგი უკვე ფეხზე დგას, შეგიძლია კიდეც გაალამაზო ფერადი ჩამონაჭრების აპლიკაციებით. უპირველეს ყოვლისა, მუყაოსა და ფერადი ხავერდის ქაღალდისაგან თვალების დეტალები გამოუჭერი. მერე ეს დეტალები ლამაზად „აკინძე“ და ნუკრს თვალების ადგილებზე მიამაგრე. კარგი იქნება, თუ შეძლებ და თვალებს თავისი განთქმული წამწამებითაც დაუმშვენებ. ისინი ხელოვნური ან ნამდვილი ბეწვის ერთი ბეწო ჩამონაჭრებით სულ იოლად კეთდება.

და აი, ის უკვე შენ შემოგცქერის — ხალისიანი, მხიარული, რომანტიული... ვაჟას შვლის ნუკრი. მოეფერე, ისევ უკან არ გაგექცეს, თავის ზღაპარში.



კროსვერი



თარაზულად: 5. კილიანი ხორბალი; 6. ვერცხლისფერი ლითონი; 7. პორეულის ღერღილი; 9. პატკი; 11. დროებითი იზოლაცია; 14. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 15. სუბტროპიკული ყვავილოვანი მცენარე; 16. რაიმე საქმიანობაში ვისიმე მონაწილეობის ხვედრითი წილი; 17. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა.

შვეულად: 1. მანქანის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელიც ამზადებს საბუშაო ნარევს და გადასცემს ძრავას ცილინდრს; 2. ქიმიური ელემენტი; 3. ხის დიდი ჯურჭელი; 4. უკანდახევა სიძნელეთა წინაშე, პოზიციების დათმობა; 8. ინგლისში უმაღლესი წოდების მემკვიდრეობითი ტიტული; 10. გამოკრული განცხადება წარმოდგენის, კონცერტის, ლექციის შესახებ; 12. უფეროო გამკვირვალე მინერალი; 13. ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

შეადგინა ალ. ბორბიშელმა

გამოცანები

წინ მიიწევს მარადის
ხან სწრაფად, ხან ზოზინით,
ჩვენ კი უკან მივყვებით
უეთესის ლოდინით.

●

ახატული, ჩახატული,
არც ცხენი, არც — ხახედარი.
ცხოველი არ მეგულება
სილამაზით მისი დარი.

ალ. ბორბიშელი

ოკეანეა — არ ღელავს,
ტყეები — არა შრიალებს,
მდინარე — გაყინულია,
ვულკანი — არა გრიალებს.
უხდება, როცა შეხედავ,
სხვადასხვა ფერის ნაზავი...
მაღაზიაში ვიყიდე,
გავაკარ ხალიჩასავით.

●

მწყობრში ჩამდგარან ნულები,
ერთურთში ჩახლართულები.

●

ხელ-ფეხი არ მაქვს,
ტანი მაქვს.
ხშირი თმა-წვერით
ვფასდები.
კუთხეში ვდგავარ
უჩუმრად.
შენს სამსახურში
გავცვდები.

●

ჯერ ტანსაცმელი გავხადე.
მერე დავკერი დანით და
თქვენს მტერს, რაც ამასობაში
მე მწარე ცრემლი დამდინდა.

გ. მარცვალაშვილი

ფარადები

ვარსკვლავთა მთლიან სისტემას
რაც ჰქვია, გეცოდინება,
კიდური ხმოვნის შეკვეცა
თავად შარადამ ინება.
ბოლო თანხმოვნით მეხუთე
ბგერაც შეცვალო, იქნება!
რაკის წარმტაცი ქალაქი
დასკვნით ნაწილად გკირდება —
პასუხად დიდი პოეტის
სახელი გამობრწყინდება.

●

უსიერი ტყიდან
დიდ დარბაზში მოხვდა
და ზურმუხტის მხრები
მოიკაზმა კოხტად. —
მერე თუკი სიტყვის
შუა ბგერას წაშლი,
წყალში საცურაოდ
გამოდგება მაშინ.

შ. ამირანაშვილი

ცოცხა ინსპექტორების გასასვლელები

თავსატეხი

1-2. აი; 2-4. ირი; 3-5. რიო; 4-7. იონი; 5-7. ონი; 6-8. ნიუ; 7-10. იურა; 8-10. ურა; 9-12. რალი; 10-12. ალი; 11-1. ლია; 12-1. ია; 8-7. რიონი; 8-12. ურალი.

სახალისო მათემატიკა

შორენა 19 წლისაა, ნინო — 20, თეა — 21, ნანა — 22 წლისა.

სამივე ამოცანა ამოხსნა ოცმა მოსწავლემ.

ვინ ვინ არის — დათო ლოლაძე, ბესიკ აბაშიძე, ლადო ეძგვერაძე.

რამდენი იყო? — დედამ შვილებს 54 ქლიავი დაუტოვა.

გულივერის საუზმე — ყავა.

კროსვორდი

შვეულად: 1. ხოკო; 2. კატა; 3. ოფოფი; 5. თევზი; 6. ირემი; 7. ხახვი; 8. ბავში; 10. წერილი; 12. ყინული; 16. ქვევრი; 17. მედუზა.

თარაზულად: 4. ობობა; 7. თბილი; 9. არწივი; 11. სეტყვა; 13. ისარი; 14. ია; 15. ბუ; 18. ციყვი; 19. მელია; 20. ზვავი; 21. ბურთი.

მთავარი რედაქტორი ბალერი ჯინჭარაძე

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ მდივანი), ნინო ბეზარაშვილი, ბურამ ბასიტაშვილი, მანანა გელაშვილი, ავთანდილ ბურბენიძე, დოდო ეადაჭარია, იოსებ სამსონაძე, ნანა ფაკელენიშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ბაბულია ფელია, კეთევან ჟილაშვილი, ბიკი ჟიჟინაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას 14.
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 95.61.81. პ/მგ მდივნის — 95.53.05.

გადაეცა ასაწყობად 10. 07. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 11. 92 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბანი, 5,85. შეკვ. 1247 ტირაჟი 12800.

ფურნალი აწყვეს და დაბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „ახალგაზრდის“ სტამბაში.

100 3
6 26/90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინათ თქვენი საყვარელი ჟურნალის გამოწერას სკოლაში „გაძალებდნენ“. ახლა კი, თავად უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და გააფორმოთ ხელმოწერა. თუ ყველა თქვენგანი, ვისაც გულით უყვარს ეს ჟურნალი და არ სურს „ნაკადულს“ დახურვის საფრთხე დაემუქროს, დაიყოლიებს თავის მშობელს, რომ 1998 წლისათვის „ნაკადულის“ გამოსაწერად ფული გაამეტებინოს, იგი არ ინანებს, რადგან მომავლისათვის ჩვენი ჟურნალი ბევრ სიურპრიზს გიმზადებთ.

მომავალ წელს „ნაკადულის“ ერთი ნომერი 15 მანეთი ეღირება, 6 თვით ხელმოწერა კი სულ რაღაც 90 მანეთი დაგიჯდებათ.

ინდექსი 76157

ფასი 6 მან.